

პაატა გუგუშვილის ექონომიკის ინსტიტუტი

რამაზ აბესაძე, ეთერ კაკულია

მცირე ბიზნესის  
მაკროეკონომიკური  
რეგულირების მექანიზმი  
საქართველოში

პაატა გუგუშვილის ექონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა  
თბილისი 2008

(უაკ) 338.22 + 330.101.541] (479.22)

## ს - 323

მონოგრაფიაში გამოკვლეულია მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების ორიენტირები და პრაქტიკული პრობლემები. განსაზღვრულია მცირე ბიზნესის არსი, მნიშვნელობა და კრიტიკული მექანიზმები; გაანალიზებულია მცირე ბიზნესის სახელმწიფო მსარდაჭერის გამოცდილება საზღვარგარეთის ქვეყნებში; აგებულია პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმის ორიენტირები და განსაზღვრულია საქართველოში მისი პრაქტიკული რეალიზაციის დონისძიებათა სისტემა; გამოვლენილია საქართველოში მისი ფორმირების კანონზომიერებები და სახელმწიფო რეგულირების თავისებურებები.

წიგნი გათვალისწინებულია მეცნიერების, სტუდენტებისა და პრაქტიკოსებისათვის, ასევე ყველა იმ პირთათვის, ვინც დაინტერესებულია გარდამავალი პერიოდის მცირე ბიზნესის განვითარებისა და მისი მაკროეკონომიკური რეგულირების პრობლემებით.

სამეცნიერო რედაქტორები:

ემდ, პროფ. გიორგი ბერულავა,

ემდ, პროფ. მურმან კვარაცხელია

რეცენზენტები:

ემდ, პროფ. გახტანგ ბურდული,

ემპ, დოც. ნანული არევაძე

© პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა  
2008

ISBN 978 – 9941 – 9060 – 1 – 5

**Paata Gugushvili Institute of Economics**

**Abesadze Ramaz, Kakulia Eteri**

# **Macroeconomic Regulation**

## **Mechanism of Small Business**

### **in Georgia**

© PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

**TBILISI 2008**

(გვ3) 338.22 + 330.101.541] (479.22)  
ლ - 323

Theoretical and practical problems of macroeconomic regulation of small business are studied in the monograph. The essence, significance and criteria of small business are defined; the experience of state support of small business in foreign countries is analyzed; theoretical model of macroeconomic regulation mechanism of small business development for postcommunist countries is constructed and the system of measures of practical realization in Georgia is defined. The regularities of its formation and state regulation features in Georgia are exposed.

The book is intended for scientists, students and practitioners for those interested in the problems of small business development and its macroeconomic regulation in the transition economy of Georgia.

**Scientific editors:**

Doctor of economics, **Giorgi Berulava**

Doctor of economics, **Murman Kvaratskhelia**

**Reviewers:**

Doctor of economics, **Vachtang Burduli**

Candidate of economics, **Nanuli Arevadze**

© PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

TBILISI 2008

ISBN 978 – 9941 – 9060 – 1 – 5

## შესაგალი

ეკონომიკის კომუნისტური და საბაზრო სისტემის მრავალწლიანი თანაარსებობა მე-20 საუკუნის დასასრულს კომუნისტური რეჟიმის კრახით და საბჭოთა კავშირის დაშლით დამთავრდა. მის შემადგენლობაში მყოფმა ქვეყნებმა, მათ შორის საქართველომ, სახელმწიფო დამოუკიდებლობა მოიპოვეს და საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების გზას დაადგნენ. ბუნებრივია, ისინი ურთულესი პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ: საჭირო იყო ეროვნული ეკონომიკის ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბება, საბაზრო ტიპის ინსტიტუტების შექმნა, ქვეყანაში სრულიად უცხოფენომენის – ბიზნესის ფორმირება და ა.შ.

ძველი ეკონომიკური კავშირების გაწყვეტის, ხოლო აბლის ჯერ არარსებობის გამო, მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილმა საწარმოებმა მუშაობა შეწყვიტეს, რასაც სახელმწიფოს მთელი ეკონომიკის მოშლა მოჰყვა.

მთავრობის მიერ ქვეყნის ეკონომიკის საბაზრო სისტემაზე გადასვლის მიმართულებით გატარებული დონისძიებების მიუხედავად, სასურველი შედეგი ჯერ კიდევ არაა მიღწეული.

მოსახლეობამ, სტიქიურად, გაუცნობიერებლად, ლეგალურად თუ არალეგალურად, ხელი მოჰკიდა მცირე ბიზნესს, მაგრამ ეროვნული ეკონომიკის გაუმჯობესების საქმე-

ში მან დღემდე ვერ შეძლო თავისი ადგილის დამკვიდრება. თუმცა, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილება ცხად-ყოფს, რომ ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში მცირე ბიზნესს არსებითი როლის შესრულება შეუძლია.

ეკონომიკის ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის მცირე ბიზნესის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის, რომ აქ იქმნება ახალი სამუშაო ადგილები, ინერგება უახლესი ტექნოლოგიები და მომსახურება, მისი მეშვეობით ხდება მსხვილი კორპორაციების გარკვეულ საჭიროებათა დაკმაყოფილება და ეკონომიკის სპეციალიზებული საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფა. იგი იძლევა უნარიანი ბიზნესმენების გამოვლენის შესაძლებლობას. მის დიდ როლზე მეტყველებს ისიც, რომ დღეისათვის მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მცირე ბიზნესზე მოდის წარმოებული პროდუქციის ნახევარზე მეტი.

განსაკუთრებით დიდია მცირე ბიზნესის როლი პოსტ-კომუნისტური ტრანსფორმაციის დროს, ვინაიდან იგი არის უმუშევრობის შემცირებისა და, საერთოდ, ეკონომიკური სტაბილიზაციის უმნიშვნელოვანები ფაქტორი.

მცირე ბიზნესის ესოდენ დიდი მნიშვნელობა, ასევე საბაზო ძალებისადმი მისი სისუსტე (რესურსების სიმცირე, ინვესტიციების მიღების სირთულე და სხვ.) განაპირობებს მისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის ქმედითი მექანიზ-

მის არსებობის აუცილებლობას. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმს, რომლის დანიშნულებაა ქვეყნის ეკონომიკაში მცირე ბიზნესის უპირატესობათა რეალიზაციის უზრუნველყოფა და მისი განვითრებისათვის აქტიური ხელშეწყობა.

პრობლემის აქტუალობა ასევე გამომდინარეობს იქიდან, რომ ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში თითქმის შეუსწავლელია მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების საკითხები.

ცხადია, „ბიზნესს“ კომუნისტური ეკონომიკური სისტემა არ ცნობდა. ამდენად, ბუნებრივია, მისი მაკროეკონომიკური რეგულირების პრობლემა მეცნიერთა შესწავლის საგანს არ წარმოადგენდა. საქართველოში აღნიშნული პრობლემის გარშემო პირველად გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან გამოჩნდა სტატიები, რომლებიც ამ სფეროში საბაზრო სისტემის ქვეყნებში არსებული გამოცდილების გაცნობასა და შესწავლას ემსახურებოდა. გასული საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისიდან ქვეყანაში უკვე გამოიცემა ნაშრომები ბროშურებისა და მონოგრაფიების სახით, თუმცა მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების პრობლემები მათში ნაკლებადაა შესწავლილი. ეს წიგნი სწორედ ამ ხარვეზების აღმოფხვრის ერთ-ერთი

მცდელობაა.

ავტორები დიდი სიამოგნებით მიიღებენ ყველა სამართლიან შენიშვნას, რომელსაც თავიანთ შემდგომ მუშაობაში გაითვალისწინებენ.

## თავი I. მცირე პიზნები და მისი მაპროეკტომიპური ობიულირების თეორიული პროგლემები

### § 1.1. მცირე პიზნების არსი, მნიშვნელობა და პრიტერიულებები

ბიზნესი ინგლისურენოვანი ტერმინია, მის სამშობლოდ ეკონომიკურ ლიტერატურაში აღიარებულია ამერიკის შეერთებული შტატები. ამ ტერმინმა დღეისათვის მსოფლიოს ყველა ქვეყანა მოიცვა და უამრავ მონათესავე ტერმინთა მნიშვნელობა შეითავსა: პროფესია, საქმე, მეწარმეობა, გარიგება, საქმიანი წრეები, საქმიანი ცხოვრება, უბრალოდ, წყარო შემოსავლისა და ა.შ. [137, გვ.11]. დღეისათვის ეკონომიკურ ლიტერატურაში ბიზნესის უამრავი განმარტება არსებობს [16; 59; 97; 101 და სხვ.]. მკვლევართა უმრავლესობა ბიზნესს მოგების მიღების წყაროდ მიიჩნევს. ზოგიერთი ავტორი არამომგებიანი ბიზნესის არსებობასაც უშვებს. მაგალითად, დ. ნიდლი ბიზნესს განიხილავს, როგორც ფართო ცნებას, რომელიც მოი-

ცაგს როგორც მომგებიან (როგორიცაა ფირმები და ბანკები), ასევე არამომგებიან საწარმოებს (მაგალითად, სკოლები და სააგადმყოფოები). მცდარია შეხედულება, რომ ბიზნესი მხოლოდ და მხოლოდ მოგებაზეა ორიენტირებული, ბიზნესის სისტემები და მეთოდიკა მოქმედებს ყველა ტიპის ორგანიზაციაში [59, გვ. 2]. ამ მოსაზრებას შეიძლება დავეთანხმოთ, ვინაიდან ასეთი ბიზნესსისტემის არსებობისას ბიზნესმენი ვერ იღებს მოგებას, მაგრამ იღებს შემოსავალს.

„ბიზნესისა“ და „მეწარმეობის“ ტერმინთა შესახებ ეკონომიკურ ლიტერატურაში სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული შეხედულებაარსებობს. ჩვენ ამ ავტორებთან პოლემიკაში არ შევალთ, თუმცა მიგვაჩნია, რომ ბიზნესი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მეწარმეობა. ბიზნესი შეიძლება იყოს როგორც ინოვაციური, ისე არაინოვაციური. ინოვაციური ბიზნესი არის მეწარმეობა. თუმცა, მეწარმეობაც თავის-თავად ბიზნესია, ვინაიდან მას მოაქვს შემოსავალი.

ბიზნესის ცნების განმარტების მრავალფეროვნება გამომდინარეობს თვით ბიზნესის მნიშვნელობის მრავალფეროვნებიდან. ამდენად, ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებულ განმარტებებს ჩვენ ვიზიარებთ. მაგრამ, ამავე დროს, მიგვაჩნია, რომ ბიზნესი არის საბაზრო ეკონომიკისათვის იმანენტურად დამახასიათებელი საქმიანობის სფერო, სადაც ვლინდება საბაზრო ეკონომიკის მექანიზმი. მაშასადამე, ბიზნესი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დამყარებული სამეწარმეო

საქმიანობაა, რომელიც მოიცავს წარმოების სრულ ციკლს და რომელსაც მოაქვს შემოსავალი.

ეკონომიკურ ლიტერატურაში განიხილება ბიზნესის სამი ძირითადი ფორმა: წვრილი, საშუალო და მსხვილი, თუ მცა, მსოფლიოს ეკონომიკის გლობალიზაციაში შექმნა ბიზნესის სრულიად ახალი ფორმა, საერთაშორისო, ანუ გლობალური ბიზნესი.

ამდენად, დღეს მსოფლიო საბაზო ეკონომიკის ქვეყნებში ბიზნესი ფუნქციონირებს მცირე, საშუალო, მსხვილი და გლობალური ბიზნესის ფორმით. ბიზნესის ამ ფორმებს შეესაბამება მცირე, საშუალო, მსხვილი საწარმოები და ტრანს-ეროვნული კორპორაციები.

მცირე ბიზნესი თავისი მოცულობით ეკონომიკის ერთ-ერთ მსხვილ აგრეგატს წარმოადგენს. იგი როგორც ბიზნესისტემის, ასევე მთელი ეკონომიკური სისტემის ფორმირების, განვითარებისა და სტაბილურობის ერთ-ერთი პირველ-წყაროა.

მცირე ბიზნესი, როგორც ტერმინი, წარმოდგება არა იქიდან, რომ მცირე ბიზნესი, ერთობლიობაში, პროდუქციის მცირე რაოდენობას ქმნის, არამედ იქიდან, რომ მის ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენს მცირე საწარმო. წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების მონაცემები მოწმობს, რომ მცირე ბიზნესში იწარმოება ამ ქვეყნების მშპ-ს ნახევარზე მეტი.

საერთოდ, ბიზნესის პირველწელოს წარმოადგენს „ოჯახური მრეწველობა, როგორც საკუთარი ხელოსნური ოჯახური წარმოება, რომელიც არის წარმოების პირველი და უმველესი ფორმა, რომლისგანაც შემდგომ სხვა ფორმები განვითარდა“ [21, გვ. 47].

მცირე ბიზნესის ორგანიზაციულ თბიექტს წარმოადგენს მცირე საწარმო. მცირე საწარმო, წარმოების ეს უმველესი ფორმა, როგორც კატეგორია, პირველად 1931 წელს გამოიყენა ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრმა – მ. მილანმა დიდი ბრიტანეთის სამრეწველო და საფინანსო მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოსვლისას. აშშ-ში მცირე საწარმოს პირველი განმარტება გამოჩნდა 1948 წელს კანონში – “გარკვეული სახეობის მომსახურების შესახებ” და 1953 წელს კანონში – “მცირე ბიზნესის შესახებ”.

მცირე ბიზნესის საწარმოთა ზომის განსაზღვრა არსებითია, რათა ხელისუფლებამ შეძლოს სწორი პოლიტიკის შემუშავება მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად. მცირე ბიზნესისათვის საწარმოების მიეუთვნებისას აღნიშნულ კანონში განისაზღვრა შემდეგი რაოდენობრივი კრიტერიუმები [132, გვ.12]: საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობა (ყველაზე მეტად გავრცელებული კრიტერიუმი); წარმოების წლიური მოცულობა; რეალიზაციის წლიური მოცულობა; აქტივების საბოლოო წლიური საბალანსო დირებულება; საწარმოს წილი

## ბაზარზე.

დიდ ბრიტანეთში 1971 წელს შეიქმნა მცირე ბიზნესის გამოკლევის კომისია. მისი მუშაობის შედეგი ცნობილია “ბოლტონის ანგარიშის” სახელწოდებით. ამ ანგარიშში მოცემული იყო მცირე ფირმის განსაზღვრის პირველი სერიოზული მცდელობა. სიძნელეები იმაში მდგომარეობდა, რომ მრეწველობაში მიღებული კრიტერიუმის (დასაქმებულთა რაოდენობა) გამოყენება შეუძლებელი იქნებოდა სხვა დარგებში, ვთქვათ, საცალო ვაჭრობაში, სადაც სავსებით განსხვავებული კრიტერიუმებია საჭირო. „ბოლტონის ანგარიშის“ მიხედვით, მცირე საწარმოს განსაზღვრისათვის შემდეგი კრიტერიუმები იქნა მიღებული: მრეწველობაში, მშენებლობასა და სამთო საქმე/დამუშავებაში – დასაქმებულთა რაოდენობა; საცალო ვაჭრობაში, საბითუმო ვაჭრობაში, ავტომობილებით ვაჭრობასა და მომსახურებაში – წლიური ბრუნვის მოცულობა, საგზაო ტრანსპორტში – სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა; საზოგადოებრივ კვებაში – ყველა საწარმო, ერთგვარი ტიპის მაღაზიებისა და ლუდის ქარხნების გარდა.

1994 წელს მცირე ბიზნესის ამგვარი შეფასების წინააღმდეგ გამოვიდა ჯ. სოლორი. იგი ამტკიცებდა, რომ მცირე ბიზნესის შეფასების ზემოთ მოყვანილ კრიტერიუმებს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რადგანაც იგი ეფუძნება პრო-

დუქციის მოცულობას, რომელზეც გავლენას ახდენს ტექნოლოგიური ცვლილებები. თავად უპირატესობას ანიჭებს ევროპაგშირის მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციას, სადაც ძირითად კრიტერიუმებს წარმოადგენს დასაქმებულთა რაოდენობა.

ამ მარტივი შემოთავაზების მიუხედავად, კვლავაც არსებობს პრობლემები, კერძოდ, თუ ფირმა ბიზნესის ერთ სახეობაში ჩაითვლება მცირედ, იგივე ფირმა შეიძლება სხვა სახეობაში შედარებით მსხვილ საწარმოდ ჩაითვალოს. ასე მაგალითად, მცირე ფირმა 100 დასაქმებულით მრეწველობაში, მსხვილ საწარმოდ ჩაითვლება ვაჭრობაში.

ვფიქრობთ, ზემოთ აღწერილი მცირე საწარმოს განსაზღვრასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის ერთერთი მცდელობაა ამერიკელი მკვლევრების მიერ შემოთავაზებული მცირე საწარმოს განმარტება, რომლის მიხედვითაც, ისინი არ უნდა წარმოადგენდნენ დომინანტს (წამყვანს) თავიანთ სფეროში, ამასთან, მათი წლიური რეალიზაციის მოცულობა და დასაქმებულთა რაოდენობა უნდა იყოს მცირე ამავე დარგის სხვა ფირმებთან მიმართებაში [137, გვ. 100]. აშშ-ში განასხვავებენ ორი ტიპის მცირე საწარმოს: მცირე საწარმოებს, რომელთაც გაფართოების შესაძლებლობა არ აქვთ (მათ „სიცოცხლის უზრუნველმყოფ“ საწარმოებსაც უწოდებენ – პირადი და ოჯახური მცირე ბიზნესი)

და მცირე საწარმოებს, რომლებიც საწყის ეტაპზე იქმნება მცირე კაპიტალის დაბანდებით, შემდგომ მისი გაფართოების მიზნით („სწრაფად განვითარებადი” საწარმოები).

აშშ-ში ამჟამად მცირე საწარმოები ძირითადად ორი კრიტერიუმით ფასდება: დასაქმებულთა რაოდენობით და წლიური ბრუნვის მოცულობით. დასაქმებულთა რაოდენობა იცვლება 1-დან 500 კაცამდე, ხოლო წლიური ბრუნვა – 3-დან 12 მილიონ დოლარამდე [153, გვ. 2].

გერმანიაშიც მცირე ბიზნესის საწარმოების შეფასების კრიტერიუმად მიღებულია დასაქმებულთა რაოდენობა და წლიური ბრუნვის მოცულობა. აშშ-გან განსხვავებით, აქ მცირე ბიზნესის საწარმოები დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით ოთხ ჯგუფად იყოფა: 20-დან 49-მდე, 50-დან 99-მდე, 100-დან 199-მდე, 200-დან 499-კაცამდე, ხოლო წლიურმა ბრუნვამ უნდა შეადგინოს 3,5-დან 11,5 მლნ-მდე DM.

იაპონიის მრეწველობაში მცირე ბიზნესს მიეკუთვნება კომპანიები დასაქმებულთა რიცხოვნობით 300 კაცამდე და საწესდებო კაპიტალით 100 მლნ იენამდე; საბითუმო ვაჭრობაში, შესაბამისად, 100 კაცამდე და 30 მლნ იენამდე და საცალო ვაჭრობაში 50 კაცამდე და 10 მლნ იენამდე.

საფრანგეთში მცირე საწარმოებს მიაკუთვნებენ საწარმოებს, დასაქმებით 10-დან 50 კაცამდე [132, გვ. 12].

საინტერესოა პოსტკომუნისტური ქვეყნების მაგალითე-

ბიც:

ბელორუსიაში მცირე საწარმოებს განეკუთვნება კომპანიები დასაქმებულთა საშუალო სიობრივი რიცხოვნობით: მრეწველობასა და ტრანსპორტში – 100; სოფლის მეურნეობასა და სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში – 60; მშენებლობასა და საბითუმო ვაჭრობაში – 50; საცალო ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში – 30; არასაწარმოო სფეროს სხვა დარგებში – 25 კაცამდე.

ამასთან, ის მცირე საწარმოები, რომლებიც რამდენიმე სახის საქმიანობას ეწევიან, იმ საქმიანობის მიხედვით განისაზღვრება, რომელსაც კვარტალში რეალიზებული პროდუქციის მოცულობაში მეტი ხვედრითი წილი უჭირავს.

რუსეთის ფედერაციაში მცირე საწარმოების კრიტერიუმად აღებულია დასაქმებულთა რაოდენობა: მრეწველობაში, ტრანსპორტში და მშენებლობაში – 100; სოფლის მეურნეობასა და სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში – 60; საბითუმო ვაჭრობაში – 50, საცალო ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში – 30 კაცამდე.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, როგორც ჩანს, დღუისათვის არ არსებობს მცირე საწარმოს ზომის განსაზღვრის ერთიანი მეთოდიკა, მისი შეფასების ერთნაირი კრიტერიუმი. თუმცა, ვფიქრობთ, საყოველთაო კრიტერიუმად შეიძლება ვალიაროთ საწარმოში (ფირმაში) დასაქმებულთა რაო-

დენობა, თუმცა მათი სტატისტიკური სიდიდე სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია, რაც გამოწვეულია ეკონომიკის განსხვავებული მასშტაბებითა და განვითარების დონით. საწარმოების მცირე ბიზნესზე მიკუთვნების უამრავი მეთოდიდან არც ერთი მეთოდი არ ჩაითვლება უნაკლოდ. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ამერიკელი სპეციალისტების [137, გვ. 100] მიერ შემოთავაზებული მცირე საწარმოს შეფასების მიდგომები შედარებით ხსნის ამ სიძნელეებს, მაგრამ ისიც არაა ხარვეზებისგან დაზღვეული.

აღნიშნული სიძნელეების თავიდან აცილებაში, ვფიქრობთ, დაგვეხმარება მცირე ბიზნესის განმარტება და მათი კრიტერიუმების სტატისტიკური სიდიდეების ჩვენეული შეფასება. მიგვაჩნია, რომ მცირე ბიზნესზე საწარმოების მიკუთვნებისას უნდა ამოვიდეთ ქვეყნის მასშტაბიდან და მისი ეკონომიკური განვითარების დონიდან, ასევე დარგობრივი თავისებურებებიდან (საქართველოს მაგალითზე ამ საკითხს განვიხილავთ III თავში). კრიტერიუმებად კი უნდა ავიდოთ: დასაქმებულთა რაოდენობა და რეალიზებული პროდუქციის მოცულობა. მცირე ბიზნესისადმი საწარმოთა მიკუთვნების საკითხის გადასაწყვეტილ მიგვაჩნია, დარგების მიხედვით გავიანგარიშოთ საერთოდ ეკონომიკაში ერთ საწარმოზე მოსული ზემოაღნიშნულ კრიტერიუმთა სიდიდეები. მცირე საწარმოს მივაკუთვნოთ ის, რომლის მაჩვენებლებიც ნაკლე-

ბი იქნება საშუალოზე, საშუალოს – ომლის მაჩვენებლებიც ტოლი იქნება მიღებული საშუალო სიდიდისა, ხოლო მსხვილ საწარმოს – ის, ომლის მაჩვენებლებიც მეტი იქნება საშუალოზე. პერსპექტივის გათვალისწინებით, შესაძლებელია, მონაცემები შევცვალოთ საშუალო სიდიდუების ცვლილების შესაბამისად.

მცირე ბიზნესისადმი საწარმოთა მიკუთვნების კრიტრიუმების სიდიდეების გადამოწმება უნდა ხდებოდეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების, ქვეყანაში მიმდინარე ხოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების შესაბამისად. იგი შეიძლება მოიცავდეს 5 – 10 წლიან ინტერვალს.

ეკონომიკაში მცირე ბიზნესის განვითარების რეალური სურათის დანახვა აუცილებლად მოითხოვს ქვეყანაში შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების არსებობას და ამ მიმართულებით ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას.

ეკონომიკაში მცირე ბიზნესის მნიშვნელობის შეფასება, უწინარესად, მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე (მშპ, დასაქმებულთა რიცხოვნობა, ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები, იმპორტი, ექსპორტი, უმუშევრობა, ინფლაცია და ა.შ.) მისი გავლენის დადგენაში უნდა გამოიხატებოდეს.

ამერიკელი სპეციალისტების [121, გვ. 106] თვალსაზრისით, მცირე ბიზნესის მნიშვნელობა ეკონომიკაში გამოიხა-

ტექნიკური მომსახურების შექმნაში; ასალი ტექნოლოგიებისა და მომსახურების დანერგვაში; მსხვილი კორპორაციების გარკვეულ საჭიროებათა დაკმაყოფილებაში; სპეციალიზებული საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფაში.

როგორც 1.1. ცხრილიდან ჩანს, წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობის 50%-მდე და მშპ-ის 50%-ზე მეტი მცირე ბიზნესზე მოდის.

ბოლო 10 წლის განმავლობაში, აშშ-ში შექმნილი სამუშაო ადგილების ნახევარზე მეტი მოდის იმ ფირმებზე, სადაც დასაქმებულთა რიცხვი არ აღმატება 100 კაცს (აյ მცირე ბიზნესზე მოდის გადამამუშავებელი მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 21, მშენებლობის – 80, საბითუმო ვაჭრობის – 86, ხოლო მომსახურების სფეროს – 81%).

1990 წელს სამუშაო ძალის საერთო მოცულობაში მცირე ბიზნესს ეჭირა აშშ-ში – 40, ხოლო გერმანიაში – 49 პროცენტი [153, გვ.4].

ცხრილი 1.1 [132, გვ.13]

მცირე ბიზნესის როლი ცალკეული ქვეყნების ეკონომიკაში

ქვეყნები	მცირე და საშუალო საწარმოების რიცხოვნობა	დასაქმებულთა რიცხოვნობა	მცირე და საშუალო საწარმოების წილი (%)
----------	---	-------------------------	---------------------------------------

	ათასი ერთგ- ული	ყოველ ათას მცხოვ- რებზე	(მდნ კაცი)	დახაქმე- ბულობა საერთო რიცხოვნო- ბაში	მშპ-ში
დიდი ბრიტანეთი	2930	46	13,6	49	50–53
გერმანია	2290	37	8,5	46	50–54
იტალია	3920	68	16,8	73	57–60
საფრანგეთი	1980	35	15,2	54	55–62
გვროვაგშირის ქვეყნები	5777	45	68,0	72	63–67
აშშ	19 300	74	70,2	54	50–52
იაპონია	6450	50	39,5	78	52–55
რესენის ფედერაცია	837	6	8,1	10	10–11
ბელორუსის რესპუ- ბლიკა	27	3	0,3	8	7–8

აღნიშნული მონაცემები ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ მცირე ბიზნესს აქვს უნარი, ფართო მასშტაბებით უზრუნველყოს შრომითი რესურსების გამოყენება. სწორედ ამაში ვლინდება მცირე ბიზნესის სოციალური როლი და როგორც მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ერთ-ერთი მძლავრი საშუალება. მცირე საწარმოს, თავისი საქმიანობის კიდევ ერთი არსებითი თვისებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეკონომიკურ ზრდაში. ეს არის საქონლისა და მომსახურების ახალ სახეობათა დანერგვა. ამერიკის ნაციონალური სამეცნიერო ფონდის შეფასებით, მნიშვნელოვანი დამუშავებების (განსაკუთრებით ახალი ნაწარმის შექმნა) 98 %-ს ახორციელებს მცირე ბიზნესი. ეს განსაცვიფრებელი რიცხვია, რადგან ქვეყანაში კვლევასა და დამუშავებაზე

გამოყოფილი სახსრების საშუალოდ 5%-ზე ნაკლებს ხარჯავს მცირე საწარმოები. მცირე ბიზნესის (მცირე საწარმოების) ეფექტიანობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ისინი ერთეულ დანახარჯზე (1 დოლარზე) ნერგავენ 17-ჯერ მეტ სიახლესა და გამოგონებას, ვიდრე მსხვილი საწარმოები, რომლებზედაც ახალი ტექნოლოგიების მხოლოდ 10 % მოდის (დანარჩენ 90 %-ს მცირე საწარმოები და დამოუკიდებელი გამომგონებლები ნერგავენ) [153, გვ.2].

როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, მცირე საწარმო შეუცვლელია ეკონომიკის ინოვაციური განვითარების სფეროში. იგი ორიენტირებულია ტექნოლოგიური, ტექნიკური და ორგანიზაციული სიახლეების შემუშავება-დანერგვაზე, რომლის გარეშეც შეუძლებელია ბაზარზე გასვლა და საწარმოების ეფექტიანი ფუნქციონირება. ამ მიმართულებით უცხოეთში ჩატარებული ემპირიული კვლევების შედეგად იმ ფირმების მაღალი აქტიურობა იქნა ნაჩვენები, რომლებშიც დასაქმებულთა რიცხვი არ აღემატება 100 კაცს. აშშ ნაციონალური სამეცნიერო ფონდის შეფასებით, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ყოველ დოლარზე, ფირმები, სადაც დაკავებულია არაუმეტეს 100 კაცისა, 4-ჯერ მეტ სიახლეებს ნერგავდა, ვიდრე ფირმები, სადაც დასაქმებულია 1000-დან 10 000-მდე ადამიანი, და 24-ჯერ მეტს, ვიდრე კომპანიები, სადაც დაკავებულია 10 000 კაცზე მეტი [132, გვ.18].

მცირე ბიზნესი ქმნის სპეციალიზაციისა და კოოპერაციის მაღალ დონესა და ნაყოფიერ სამეწარმეო კლიმატს. იგი სწრაფად გამოსყიდვადია და ა.შ.

ახალი პროდუქციის დანერგვისა და ახალი სამუშაო ადგილების უზრუნველყოფის გვერდით, მცირე ბიზნესი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსხვილი კორპორაციების საქმიანობაში მათი მომარაგებით, პროდუქციის გასაღებით და მათთვის მომსახურების გაწევით.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხშირად არსებობს მცირე და მსხვილი ბიზნესის ინტეგრაციის (დაახლოების) ობიექტური აუცილებლობა. განვითარებულ ქვეყნებში მცირე და მსხვილი ბიზნესის ურთიერთობების ძირითადი ფორმებია: ლიზინგი; სუბარენდა; ფრანჩაიზინგი; ლიცენზიური შეთანხმებანი და ვენტურული დაფინანსებები.

ამერიკის სამეწარმეო პრაქტიკაში მთელ რიგ უმსხვილეს საწარმოთა სტრუქტურაში დიდი ადგილი უჭირავს მცირე საწარმოებთან ურთიერთობას. მცირე ფირმები ხელს უწყობს მსხვილ კომპანიებს, იყვნენ მოქნილნი და უბიძგებს მათ უახლოესი ტექნოლოგიების დანერგვისაკენ.

იაპონიაში ურთიერთობა მცირე და დიდ ფირმებს შორის განსხვავებულ ხასიათს ატარებს. აქ მცირე საწარმოთა

უმრავლესობა სუბარენდული<sup>1</sup> სისტემით არის დაკავშირებული დიდ ბიზნესთან. იაპონიაში მცირე ბიზნესი მსხვილი ბიზნესისათვის მოქნილობისა და შემოქმედებითი ფხიანობის წყაროს წარმოადგენს. აქ მათი ურთიერთობა ურთიერთშევსების საფუძველზეა აგებული და მიმართულია მთელი ეკონომიკისა და მისი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის სრულყოფისაკენ.

მოქმედი სუბარენდული სისტემა, მსხვილი ფირმების მომარაგების საიმედოობის გადიდებასთან ერთად, მით უფრო აგრესიული კონკურენტული ბრძოლის საშუალებას იძლევა.

ამდენად, მცირე საწარმოები ხელს უწყობს მსხვილი საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას და ამით მთელი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საერთაშორისო არენაზე.

მნიშვნელოვანი განსხვავება მცირე და მსხვილ ბიზნესს შორის ვლინდება არა მხოლოდ ოპერაციათა მასშტაბებში, არამედ ბიზნესის ორგანიზაციაში. მაგალითად, კადრების განყოფილების შექმნა ისეთ საწარმოებში, სადაც დასაქმებულთა რიცხვი 10 კაცია, მიზანშეწონილი არაა, აქ მართვის როგორც ოპერატიულ, ისე სტრატეგიულ ფუნქციებს ასრუ-

---

<sup>1</sup> სუბარენდა (sublease) – არენდირებული ქონების ნაწილის გადაცემა მესამე პირისათვის არენდით. ამ შემთხვევაში არენდატორი მეანაბრის როლში გამოდის.

ლებს ხელმძღვანელი – კომპანიის მესაკუთრე. მცირე საწარმოებში, როგორც წესი, არსებობს მმართველური გადაწყვეტილების მიღების მხოლოდ ერთი ცენტრი. ასეთ საწარმოებში (ფირმებში), რესურსების სიმცირის გამო, დაგეგმვის პერიოდი მოკლეა და არ აღემატება ერთ წელს. ამდენად, აღინიშნება შემდეგი დამოკიდებულება: რაც ნაკლებია საწარმოს ზომები, მით ნაკლებია მმართველური გადაწყვეტილებების ციკლი.

მრავალი მცირე ფირმის არსებობა განპირობებულია იმით, რომ ისინი უზრუნველყოფენ მომხმარებლების დაკმაყოფილებას იმ სპეციალიზებულ საქონელსა და მომსახურებაზე, რომელთა სერიული წარმოება ან მსხვილი მომსახურების რგოლების შექმნა ეკონომიკურად გაუმართლებელია. ასეთი საქონლის ბაზარი, ცხადია, არაა დიდი, მაგრამ მცირე ფირმები, რომლებიც მომხმარებელს უნიკალური სახის საქონელს აწვდიან, პოულობენ თავიანთ ნიშას ბიზნესის სამყაროში, რითაც ხელს უწყობენ ქვეყანაში ჯანსაღი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებას.

მცირე ბიზნესის ძირითად თავისებურებას წარმოადგენს მისი მაღალი მოქნილობა ეკონომიკურ გარემოში მიმდინარე ცვლილებებისადმი.

მცირე საწარმოები მცირე მოცულობის რესურსებს განკარგავენ. ამიტომ მათ განსაკუთრებულ თავისებურებას წარ-

მოადგენს მაღალი მგრძნობელობა მუდმივი დანახარჯების სიდიდის ცვლილებებთან.

მცირე ბიზნესის კიდევ ერთ-ერთი თავისებურება მდგომარეობს გაკოტრების მაღალ მაჩვენებლებში – მცირე საწარმოების თითქმის 50% იხურება საქმიანობის პირველ ორ წელს. წარმატებულია მცირე ბიზნესის მხოლოდ 15%. გაკოტრება გამოწვეულია რიგი სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორებით, მაგრამ, ამავე დროს, გაკოტრების პროცესი ეკონომიკური მექანიზმის ფუნქციონირების განუყოფელი ნაწილია. იგი იძლევა საშუალებას, თავი დავალწიოთ არაეფექტიან მეწარმეობას, ამავე დროს, იძლევა უნარიანი ბიზნეს-მენების გამოვლენის შესაძლებლობას. ამიტომაც, საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფოები ცდილობენ, გაკოტრება რაც შეიძლება ნაკლებად მტკიცნეული იყოს ბიზნეს-მენებისათვის. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, მოიძებნოს გამაწონასწორებელი ბალანსი ბიზნესმენის საქმიან აქტიურობასა და ბიზნესმენის მინიმალური პასუხისმგებლობის დონეს შორის. ამასთან, არსებითია სახელმწიფოს მხრიდან მცირე საწარმოს გაკოტრების სწორი მექანიზმის შემუშავება, რათა დავიცვათ საზოგადოება ეკონომიკური რესურსების არაეფექტიანი გამოყენებისაგან. ამდენად, უნდა გამოიყოს მცირე ბიზნესის ერთ-ერთი თვისება, რომ აქ ხორციელდება ეკონომიკური რესურსების გამოყენების ექსპერი-

მენტი.

გამოყოფენ მცირე საწარმოთა ეკონომიკური სტრატეგიის სხვადასხვა ტიპებს, რომლებიც განსაზღვრავს მათ ადგილს ეროვნული ეკონომიკის აღწარმოებაში. ესენია: ვიოლენტური, პატიუნტური (ნიშის შემქმნელი), კომუტანტური (შემცირებლური), ექსპლერენტული (პიონერული).

ვიოლენტური სტრატეგია ეყრდნობა კონკურენციას დაბალი წარმოების დანახარჯების საფუძველზე; ამ დროს იწარმოება საშუალო ხარისხის სტანდარტული პროდუქცია.

პატიუნტურ სტრატეგიას ირჩევენ მცირე საწარმები, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ, დასპეციალდნენ მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებაზე, რომელიც ორიენტირებულია სპეციფიკურ მოთხოვნაზე და დომინირებს ბაზრის ვიწრო სეგმენტზე.

კომუტანტური სტრატეგიის შერჩევისას მცირე ფირმები ორიენტაციას იდებენ მცირე მოცულობის ხანმოკლე მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. ამდენად, მათ, მოთხოვნილების ცვლილებების შესაბამისად, ხშირად უწევთ საქმიანობის სახეობის შეცვლა.

ექსპლერენტული სტრატეგია დამახასიათებელია ინოვაციური ფირმებისათვის. მცირე საწარმოები ასეთი სტრატეგიით ორიენტირებულნი არიან ახალი პროდუქციისა და ტექნოლოგიის შემუშავებაზე, მათ დანერგვასა და ამის საფუძველზე მაღალი მოგების მიღებაზე.

თუკი გაერთიანდებიან მცირე საწარმოები, რომლებიც იცავენ ზემოთ დასახელებული ოთხი ტიპის სტრატეგიას ერთი ბაზრის შიგნით, მაშინ კონკურენტულ გარემოს ექნება შემდეგი სახე: დარგის საფუძველს (საყრდენს) წარმოადგენს მცირე საწარმოები ვიოლენტური სტრატეგიით, რომლებიც უზრუნველყოფენ მოთხოვნის ძირითად ნაწილს, საშუალო ხარისხის სტანდარტიზებული პროდუქციის წარმოებით. დიფერენცირებული მოთხოვნის საბაზრო ნიშები შეივსება მცირე საწარმოებით, რომელთა სტრატეგია პატიენტურია. დარგის ეკონომიკურ დინამიკას უზრუნველყოფს მცირე საწარმოები ექსპლურენტული სტრატეგიით, რომლებიც შეიმუშავებენ პროდუქციისა და ტექნოლოგიის ახალ სახეობას; აუიოტაჟური მოთხოვნისა და მოთხოვნა-მიწოდების დროებითი დაუბალანსებლობისას დარგში გამოჩნდება მცირე საწარმოები კომუტაციური სტრატეგიით, რომლებიც უპირატესად სავაჭრო-საშუალებლო არასპეციალიზებული ფირმებია, რომლებსაც იზიდავს ბაზარზე დამატებითი მოგების შესაძლებლობა [132, გვ. 17].

ამდენად, დარგის დაბალანსება სხვადასხვა სტრატეგიების მქონე მცირე საწარმოებით, ქმნის ჯანსაღ კონკურენციულ გარემოს. ეს უკანასკნელი კი, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ქვეყნის ეკონომიკის ზრდისა და განვითარების ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია. მაშასადამე, მცირე ფირმებს შესწევთ უნარი, დაეხმარონ დარგში ჯანსაღი

კონკურენციული გარემოს ჩამოყალიბებას.

მცირე ბიზნესის ამოცანაა, ხელი შეუწყოს საქონლისა და მომსახურების სრულყოფილი ბაზრის ჩამოყალიბებას. იგი არის საბაზრო ეკონომიკის ბიზნესისტემის პირველწელი, რომელიც ფუნქციონირებს ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის ტემპებს, მთლიანი ეროვნული პროდუქციის ხარისხსა და სტრუქტურას. ეს მოვლენა თანამედროვე ბაზრის ინფრასტრუქტურის შექმნის მნიშვნელოვანი საფუძველია. თავისი არსით იგი ტიპურად საბაზრო ბუნების მატარებელია.

საბაზრო მექანიზმის სფეროში მცირე ბიზნესის როლი იმაში ვლინდება, რომ იგი ახერხებს ბრძოლას მონოპოლიასთან, რასაც აღწევს ცვალებად საზოგადოებრივ მოთხოვნაზე სწრაფი რეაგირების შესაძლებლობით, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია მისი მოქნილობით.

მცირე ბიზნესით ხორციელდება საზოგადოებრივი მოთხოვნის სრულყოფილი დაკმაყოფილება ბაზრის ნიშების შევსების ხარჯზე, რომელთა იგნორირებას ახდენს მსხვილი და საშუალო ბიზნესი. მცირე საწარმოები უზრუნველყოფენ მსხვილი ფირმების წარმოების შესაძლო სპეციალიზაციას. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, ბოლო წლებში, მსხვილმა საწარმოებმა წვრილი სპეციალიზებული საწარმოების სასარგებლოდ თავი დააწებეს დამხმარე და დამამზადებელი კიწრო საწარმოო რგოლების შექმნას.

საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის სფეროში მცირე ბიზნესი მასთან დაკავშირებულ და დასაქმებულ ადამიანებს უყალიბებს მესაკუთრის ფსიქოლოგიას, უნარს, დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება საკუთარ ძალებზე დაყრდნობით. მცირე ბიზნესი ადამიანს ეხმარება პიროვნების რეალიზაციაში, საშუალებას აძლევს იგრძნოს თავი, როგორც როული ამოცანების გადაჭრის უნარის მქონებ.

საზოგადოების სოციალური სტრუქტურის სფეროში მცირე ბიზნესი წარმოადგენს ეგრეთ წოდებული საშუალო ფენის ფორმირების საფუძველს, რომელიც დღეისათვის საბაზრო ტიპის საზოგადოების ძირითადი ნაწილია.

მცირე ბიზნესი აყალიბებს საგადასახადო შენატანების დიდ მასას, მოსახლეობის დიდ ნაწილს უზრუნველყოფს არსებობის საშუალებებით, ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს.

კონკურენტული გარემოს შექმნის სფეროში მცირე საწარმო ახერხებს ზეწოლას მსხვილ საწარმოებზე და ამით სტიმულს აძლევს მათ ინოვაციურ საქმიანობას. ისინი თავიანთი განსხვავებული სტრატეგიებით ხელს უწყობენ დარგის კონკურენტუნარიანი გარემოს შენარჩუნებას. მცირე ბიზნესს აქვს შემდეგი კონკურენტული უპირატესობანი: დინამიკურობის მაღალი დონე; გადაწყვეტილების მიღების ოპერატიულობა; კაპიტალის სწრაფი გადასროლის შესაძლებლობა; მცირე აუნაზღაურებადი (დაუბრუნებადი) დანაპარგები; კაპიტალზე დაბალი მოთხოვნილება; პროდუქციის ასორტიმენ-

ტსადა წარმოებაში სწრაფი ცვლილებების შეტანის უნარი; მოკლე ტექნოლოგიური ციკლი; დამამთავრებელ წარმოება-ში მარაგების სიმცირე; საშუალებების სწრაფი ბრუნვა (რაც ადიდებს შემოსავლებს, ამცირებს ამოსყიდვის ვადებს, ამცირებს ეკონომიკური რისკის დონეს); წარმოების ორგა-ნიზაციისა და მართვის უკიდურესად რაციონალური სტრუქ-ტურის გამო, დამატებითი (ზედნადები) ხარჯების სიმცირე; პროდუქციის გასაღების მდგრადობა კონკრეტულ მომსმა-რებელზე ორიენტაციის წყალობით; სწრაფი შემცუებლობა ბაზრის მოთხოვნის ცვლილებებთან; მმართველობითი ინფო-რმაციის გადაცემის მაღალი სისწრაფე (რაც მცრე ფირმებს აძლევს შესაძლებლობას, ოპერატიულად შეძლონ რეაგირება კონკურენციის პირობების ნებისმიერ ცვლილებაზე).

ამასთან, მცირე საწარმოები ფლობენ მთელ რიგ არ-სებით ნაკლოვანებებს, რაც იწვევს მათი კონკურენტუნარი-ანობის დაქვეითებას, რომელიც განაპირობებს მცირე საწარ-მოების გაკოტრების მაღალ პროცენტს.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან და შესაბამისი ანალი-ზიდან გამომდინარე, შეიძლება ვისაუბროთ მცირე ბიზნესის განვითარების სამ მიმართულებაზე:

1. როდესაც მცირე საწარმო ახდენს მასშტაბების კონსერვაციას, შემდგომი სტატუსკვოს შენარჩუნებით;
2. როდესაც მცირე საწარმო აქტიურობას ადიდებს ნელ-ნელ;

3. როდესაც ხდება მცირე საწარმოების სწრაფი განვითარება და მათი გარდაქმნა საშუალოდ, ხოლო შემდეგ მსხვილ კომპანიად.

გერმანიაში მცირე საწარმოების მესაკუთრეთა გამოყოფების შესაბამისად 50% არ გეგმავს გაფართოებას, 35% გეგმავს ნელ-ნელა მყარ ზრდას და მხოლოდ 10% გეგმავს სწრაფ განვითარებას ახალი პროდუქციის წარმოების ხარჯება [153, გვ. 4].

## § 12. მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის ბამოცდილება საზღვარგარეთის შემცირები

საბაზო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების უმთავრესი მექანიზმები თავისი ბუნებით მაკროხასიათისაა [11, გვ. 1]. ადამიანები უკვე აღარ ხელმძღვანელობენ იმ მოსაზრებით, რომ ყველაზე უკეთ ეკონომიკას არეგულირებს ის სახელმწიფო, რომელიც ყველაზე ნაკლებად არეგულირებს მას [140, გვ. 188]. არა მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკური მეცნიერება, არამედ გამოცდილებაც და პრაქტიკაც ადასტურებს, რომ საბაზო ეკონომიკა, რომლის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს მეწარმე, წარმატებულად ფუნქციონირებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სამეწარმეო საქმიანობას ეფექტურად არეგულირებს სახელმწიფო. ამ მოსაზრებას დღესდღეობით ეთან-

ხმება ეკონომისტთა და პოლიტიკოსთა უმრავლესობა. ეკონომიკა წარმატებულად ფუნქციონირებს იმ შემთხვევაში და იმ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ორმხრივი ურთიერთობაა, სადაც სახელმწიფო გვევლინება ეკონომიკის რეგულატორის როლში. რაც შეეხება მსოფლიო, ანუ გლობალურ ბიზნესს, მისი წარმომადგენლების, ტრანსეროვნული კორპორაციების, საქმიანობა სცილდება ეროვნული სახელმწიფოს საზღვრებს და საკუთარ ქვეყანასთან მათი კავშირი სულ უფრო და უფრო სუსტდება. მაგრამ, ჩვენი შესწავლის ობიექტს წარმოადგენს მცირე ბიზნესი, ამდენად, არსებით ყურადღებას გავამახვილებოთ მისი განვითარების სახელმწიფოებრივი ხელშეწყობის აუცილებლობასა და ამ სფეროში განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაზე.

მცირე ბიზნესი უნდა წარმოვიდგინოთ ორგანიზმის მსგავსად, ამდენად, როგორც ცოცხალმა ორგანიზმა, ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, უნდა შეძლოს გარემოსთან ადაპტაცია. გარემო მოიცავს მთელ რიგ მახასიათებლებს, რომლებიც ურთიერთზემოქმედებენ ერთმანეთზე და, ამავე დროს, ერთდროულად ან ცალ-ცალკე ასევე ზემოქმედებენ მცირე ბიზნესზე.

მცირე ბიზნესს ურთიერთობა უწევს ადგილობრივ გარემოსთან, რომლის სამართლებრივ რეგულირებას ახორ-

ციელებს მუნიციპალური ხელისუფლება. უფრო მაღალი საფეხური – ეს არის ცენტრალური ხელისუფლება, აქ თავს იჩენს ისეთი მოვლენები, როგორიცაა: სახელმწიფო სამართალი, ინფლაცია, ბანკის საპროცენტო განაკვეთი, დასაქმების სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, უმუშევრობა, საგადასახადო პოლიტიკა და ა.შ. შემდგომი საფეხურია საერთაშორისო გარემო, სადაც თავს იჩენს ფირმაზე ზეეროვნული წარმონაქმნების (როგორიცაა მსოფლიო საგაჭრო ორგანიზაცია, ევროგაერთიანება, ევროკავშირი, მსოფლიო ბანკი და ა.შ.) ზემოქმედება.

მცირე ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების (მხარდაჭერის) აუცილებლობის შესახებ მოსაზრებას დღესდღეობით საბაზრო ეკონომიკის მრავალი მკვლევარი [115; 116; 117; 118; 127; 135; 140 და სხვ.] და სახელმწიფო მოღვაწე ეთანხმება. აზრთა სხვადასხვაობას მეცნიერებს შორის მცირე ბიზნესის სახელმწიფო რეგულირებისა და მხარდაჭერის მხოლოდ ფორმები და მასშტაბები იწვევს.

ბიზნესი, თავისი არსით, წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის ხერხემალს, ამდენად, საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მოცულობა, ფორმები, მიზნები და მეთოდები, ცხადია, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ახდენს მასზე გავლენას.

მცირე ბიზნესთან მიმართებაში, საბაზრო ეკონომიკის

ქვეყნებში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები ძალზე ახლოსაა ერთმანეთთან.

ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესმა, რომელიც მიმდინარეობს პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში, სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობის შესწავლის საკითხით თვისებრივად ახლებურად დააყენა. ამდენად, იგი ჩვენი ქვეყნის მეცნიერთა [1; 11; 26; 32; 47; 60; 61; 68; 106; 110; 111 და სხვ.] კვლევის საგანი გახდა.

სახელმწიფო საქმიანობა საბაზრო ეკონომიკის შინაგანი შემადგენელი ნაწილი კი არ არის, არამედ მას ავსებს. სხვა სიტყვებით, სახელმწიფოს „დანიშნულება” იმ ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაა, რომელთა გადაჭრა ბაზარს არ ძალუქს, რის გამოც სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობა მისი (ბაზრის) იძულებითი დანამატის როლში გამოდის [61, გვ. 97].

საბაზრო ეკონომიკის სუბიექტებზე სახელმწიფო ეკონომიკური მხარდამჭერი საქმიანობა მეტწილად მაკრობუნების მატარებელია. კერძოდ, მცირე ბიზნესზე, როგორც ეკონომიკის სუბიექტზე (მსხვილ ინგრედიენტ-აგრეგატზე), წამყვანი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებანი მეტწილად მაკრობუნებით ხასიათდება.

პრაქტიკულად, ყველა განვითარებულ ქვეყანაში მცირე საწარმოების სახელმწიფო რეგულირების თავისებურებები

ასახულია (თავმოყრილია) სპეციალურ საკანონმდებლო აქტებში: „წვრილი ბიზნესის შესახებ აქტი” (აშშ); „ძირითადი კანონი მცირე და საშუალო საწარმოების შესახებ” (იაპონიაში); „კარტელური უფლება” (გერმანია) და ა.შ.

მცირე ბიზნესი – ეს არის აშშ-ის ეკონომიკის საფუძველი, ამიტომაც არის უამრავი არაკომერციული ორგანიზაცია და სამთავრობო სტრუქტურა, რომელთა საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს მცირე ბიზნესისათვის დახმარების გაწევა და მხარდაჭერა, რათა მან ქვეყნის ეკონომიკაში თავისი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდროს.

აშშ-ში მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის წამყვანი ორგანიზაციაა 1953 წელს კონგრესის მიერ შექმნილი „მცირე ბიზნესის აღმინისტრაცია” (The U.S Small Business Administration), მისი რეგიონული და ადგილობრივი განყოფილებები. გარდა ამისა, მასში მონაწილეობენ კონგრესის კომიტეტები მცირე ბიზნესის საქმეში და მრავალი სპეციალური ორგანო სამინისტროებში, უწყებებსა და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში.

SBA (მბა)-ს ფედერაციულ აპარატში დასაქმებულია 1100 ადამიანი. გარდა ამისა, აშშ თითოეულ შტატში ფუნქციონირებს რეგიონული განყოფილება 30–40 ადამიანის შემადგენლობით. მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს სესხის მოძიება მცირე ბიზნესისათვის, სესხს

იგი თვითონ არ განკარგავს, ის გამოდის თავდების როლში კომერციულ ბანკებთან ურთიერთობის დროს. SBA ოპერირებს მთელ რიგ პროგრამებს, თითოეულ მათგანს აქვს თავისი კონკრეტული მიზანი, მოქმედების არე, კლიენტურა, მონაწილეობის პირობები. ერთგვაროვანი პროგრამების გაერთიანება ხდება ბლოკებში. ამასთან, ყოველწლიურად მიდის როგორც უკვე მოქმედი მიმართულებების განახლებისა და განვითარების, ასევე ახალი მიმართულებების შექმნის პროცესი. მაგალითად, შედარებით ტრადიციულს და ფართომასშტაბიანს ამ მიმართულებებიდან წარმოადგენს: ბიზნესით დაინტერესებული ქალებისა და ეროვნული უმცირესობის მხარდაჭერის, ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოების განვითარების, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულებაში დახმარების გაწევის, ადგოკატური მომსახურების გაწევის პროგრამები და სხვა.

SBA-ს სესხის გაცემის პროგრამებიდან ყველაზე პოპულარულია პროგრამა, რომლის მიხედვითაც მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია თავდებად უდგება იმ მცირე საწარმოებს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ახერხებენ სესხის აღებას. SBA-ს გარანტიის მაქსიმალური თანხა უდრის ერთ მილიონ დოლარს.

გარდა ამისა, SBA, ხელშეკრულების დადების საფუძველზე, აქტიურად ერევა მთელი რიგი დამოუკიდებელი

კომერციული და არაკომერციული სტრუქტურების საქმიანობაში.

იმ შემთხვევაში, როცა თავდებობით მიღებულ სახსრებზე გადასახადის გრაფიკი დაირღვევა, საქმეში ერთვებიან SBA-ს წარმომადგენლები, ბიზნესმენს სთავაზობენ კომპრომისულ გადაწყვეტილებას ვალების გადახდაზე, თუ ბიზნესმენი უარს იტყვის „თანამშრომლობაზე“, იგი ავტომატურად ხვდება „შავ სიაში“, რის შემდგომ მასზე კრედიტის გაცემა შეიზღუდება.

SBA-ს საქმიანობას აფინანსებს ფედერალური მთავრობა.

SBA-ს ფონდი შემდეგნაირად ნაწილდება. ფონდების 72% მიდის მცირე ბიზნესის განვითარების „7A“ პროგრამაზე; 19,6% – მოქმედ მცირე საწარმოების შემდგომ განვითარებასა და მოდერნიზაციაზე. აქ „504“ პროგრამით ხდება მცირე საწარმოებზე დახმარების გაწევა მოწყობილობების მოძიებასა და სამშენებლო სამუშაოების განხორციელებაში და ა.შ. შესაძლებლობის ყველაზე დაბალი ფასებით -7,2%-ით ფინანსდება ორი ან მეტი კომპანიის ერთიანი ინვესტირებით შექმნილი მცირე საწარმოები. 0,5% მიდის მიკროკრედიტებზე, რომლებიც, როგორც წესი, არ არის მომგებიანი, აქედან გამომდინარე, ცხადია, ისინი დაუბრუნებადია.

აშშ მთავრობის მიერ მხოლოდ 2003 წელს მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად გამოყოფილი იყო 240 მილიარდი დო-

ლარი.

გაბატონებულია აზრი იმის შესახებ, რომ ბიზნესში არ-სებობას ინარჩუნებს (ცოცხლობს) უძლიერესი, მაგრამ აუშ-ში თვლიან, რომ მხარდაჭერა მცირე ბიზნესზე აუცილუ-ბელია, რადგანაც ის ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს და იხდის გადასახადს ბიუჯეტში.

ყველაზე მსხვილ სახელმწიფო დამკვეთს წარმოადგენს აშშ მთავრობა. სწორედ მათ შეიძინეს 2003 წელს 247 მილი-არდი დოლარის საქონელი, მათ შორის მცირე ბიზნესმა მი-იღო სახელმწიფო ხელშეკრულებით 62,7 მილიარდ დოლარ-ზე მეტი შემოსავალი.

ამერიკის კანონმდებლობით, მცირე და მსხვილ ბიზნესს შორის არსებობს სუბარენდული ურთიერთობა.

SBA-ში არსებობს განყოფილება, რომელიც აწარმოებს პოტენციური მომწოდებელი ფირმების რეესტრს, იძლევა შე-საბამის სერტიფიკატებს (ეს თავისებური საბუთია, რომე-ლიც უჩვენებს მცირე ბიზნესის უფლებებს სახელმწიფო შე-ავეთის შესრულებაზე).

სახელმწიფო ხელშეკრულებას მცირე საწარმო ღებუ-ლობს კონკურსის წესით. ძირითად კრიტერიუმს წარმოად-გენს პროდუქციის ფასი.

არსებობს სპეციალური Web-საიტი, სადაც უფასოდ ქვეყ-ნდება ინფორმაცია მოსალოდნელ კონკურსზე. კონკურსები

ტარდება მთელი წლის განმავლობაში. სხვა ქვეყნის წარმომადგენლებსაც შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა, თუ მათზე არ არის სპეციალური შეზღუდვები.

მცირე ბიზნესის წილი სახელმწიფო შეკვეთების საერთო მოცულობაში შეადგენს 15–20%.

მცირე ბიზნესის ადმინისტრაციაში (SBA) შექმნილია კონსულტანტთა ასოციაცია – SCORE. აქ მუშაობენ გამოცდილი კონსულტანტ-პრაქტიკოსები, რომლებიც უფასოდ ეწვიან კონსულტაციებს, თუ როგორ უნდა დაიწყონ ბიზნესი, გადალახონ სიძნელეები ფირმის მართვაში, კონსულტაციას ეწვიან ფინანსებისა და გადასახადების საკითხებზე. საჭიროა მხოლოდ წინასწარ დარეკვა და შეხვედრაზე შეთანხმება. ინდივიდუალური კონსულტაციების გვერდით SCORE ატარებს სემინარებს, რომლის ღირებულება მინიმალურია – 30–40 დოლარი 5 ლექცია. სემინარები ტარდება ოქმაზე: „როგორ დავიწყოთ ახალი ბიზნესი”, „ბიზნესგეგმის შედგენა”, „მარკეტინგის მომსახურების დაგეგმვა”.

გარდა ამისა, მეწარმეებს შეუძლიათ ისარგებლონ ბიბლიოთეკით, კომპიუტერებით, ინტერნეტით, სხვადასხვა ცნობარებით.

აშშ არსებობს ორგანიზაცია, მეწარმეთა ცენტრი – „რენჯსანსი”. ყოველწლიურად ცენტრის უფასო მომსახურებით სარგებლობს 1000 ადამიანი.

ცენტრთან არსებობს ბიზნესინკუბატორი და ქალთა ბიზ-

ნესცენტრი. ინკუბატორში ყოფნის სანგრძლივობაა 1-დან 3 წლამდე. 2005 წლის მონაცემებით, ინკუბატორში იმყოფებოდა 15 მცირე საწარმო.

აშშ-ში ფუნქციონირებს „ქალთა ტექნოლოგიური ცენტრი”. მისი შემოსავლების 50% ყალიბდება სამეწარმეო საქმიანობით მიღებული (სწავლება, ფასიანი კონსულტაციები) შემოსავლებიდან და 50% კერძო პირებისა და კომპანიების შეწირულობების ანგარიშზე.

მეწარმე ქალები იღებენ პროფესიულ კონსულტაციებს ფირმის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის საკითხებზე, განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე, Web-საიტის შექმნაზე, ინვესტორების მოძიებაზე და ა.შ.

ასოციაცია იცავს მომუშავეთა უფლებებს (სამუშაო დღის სანგრძლივობას, ჯანდაცვის საკითხებს, დამსაქმებელთა მხრიდან კომპენსაციების გაცემას და ა.შ.), აღწევს ლიცენზიების გაფორმებისას ბიუროკრატიული პროცედურების შემცირებას, მონაწილეობს მცირე ბიზნესისათვის „სამართლიანი” გადასახადების დაწესებაში, ებმარება სახელმწიფო კონტრაქტების მიღებაში, საერთაშორისო ეკონომიკურ საქმიანობაში, დაკავებულია მცირე საწარმოებში მომუშავეთა კვალიფიკაციის დონის ამაღლების საკითხებით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აშშ ხელისუფლება მცირე ბიზნესში უმთავრესად ქმნის პირობებს (გარკვეული მექანიზმით) მისი სრულყოფილი განვითარებისათვის, ჯან-

მრთელი კონკურენციისათვის, ეხმარება მცირე საწარმოების პროდუქციის მოძრაობას და ა.შ.

მერიასთან არსებული ქალაქის განვითარების განყოფილება დახმარებას უწევს მცირე საწარმოებს სესხის მიღებაში.

მათ მიერ შემუშავებულია სესხის გადაცემის სამი პროგრამა. სესხები 25 ათასი დოლარის რაოდენობით, შეუძლია მიიღოს მცირეშემოსავლიანმა ოჯახებმა, ასევე დამწყებმა მეწარმეებმა.

სესხები 100 ათასი დოლარის ოდენობით, როგორც წესი, გაიცემა მცირე საწარმოებზე, მოწყობილობების (საქონლის) შესაძნად, რემონტისათვის, მშენებლობის ან არენდისათვის. ამის აუცილებელი პირობაა ახალი სამუშაო ადგილის შექმნა. ვალად აღებულ ყოველ 35 ათას დოლარზე მცირე საწარმოები ვალდებული არიან, შექმნან თუნდაც 1 სამუშაო ადგილი და შექმნილი სამუშაო ადგილებიდან არანაკლებ 51%-სა უნდა იყოს მცირეშემოსავლიან მცხოვრებთა წარმომადგენელი.

შედარებით მსხვილი სესხი (100 ათას დოლარზე მეტი) შეიძლება გაიცეს იმ მცირე საწარმოებზე, რომლებიც მონაწილეობენ ქალაქის სპეციალურ პროგრამაში, რომელიც მიმართულია ეკონომიკის განვითარებისაპერ (ქალაქის კეთილმოწყობა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა).

სესხის მისაღებად აუცილებელია: ბიზნესგეგმის წარ-

დგენა, საკუთარი ფინანსური გარანტიების ჩვენება და – მომავალში ვალის გადახდის უნარი. ამერიკელი მეწარმეები, რომლებსაც სურთ თავიანთი საქონლის ექსპორტირება, შეუძლიათ მიმართონ აშშ ვაჭრობის სამმართველოს, რომელსაც ჰყავს თავისი წარმომადგენლობა 24 ქვეყანაში. მათ საიტებზე განთავსებულია ბაზრის მდგომარეობა თითოეულ ამ ქვეყანაში. საიტზე არის სპეციალური განყოფილება, რომლის მეშვეობით შესაძლებელია, ბიზნესით დაინტერესებულმა პირადად მონახოს პარტნიორი, მიიღოს ტექნიკური დახმარება, გაიაროს საგანმანათლებლო კურსები.

აშშ-ის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ, რესურსებით მოუმარაგებლობის პირობებში, მცირე ბიზნესის არსებობის უმნიშვნელოვანების ფაქტორს წარმოადგენს მისი მხარდაჭერი თავისებური ქსელის ჩამოყალიბება, რომელიც შეიცავს: ფინანსურ, მატერიალურ-ტექნიკურ, საინფორმაციო და საკონსულტაციო მხარდაჭერას.

დღეს აშშ-ში აღნიშნული ქსელის შექმნისკენ არის მიმართული ფედერალური ხელისუფლების, შტატების, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, საზოგადოებრიოების, უნივერსიტეტების, კერძო ბიზნესის ძალები.

მცირე ბიზნესის ინვაციური აქტიურობის სტიმულირების პოლიტიკა ტარდება სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე, დაწყებული ფედერალური მთავრობით, დამთავრებული მუნიციპალიტეტებით. ინვაციის სფეროში სახელ-

მწიფო პოლიტიკაში მთავარ მიმართულებას წარმოადგენს თავისებური საინოვაციო კლიმატის, ე.ი. ხელსაყრელი ეკონომიკური, სამართლებრივი, საორგანიზაციო, ფსიქოლოგიური და სხვა პირობების შექმნა, რაც საჭიროა ახალი ფირმების წარმოქმნისა და განვითარებისათვის, განსაკუთრებით ისეთების, რომლებიც დაკავებულნი არიან სამეცნიერო-ტექნიკური სიახლეების გენერირებით, ათვისებითა და კომერციალიზაციით.

მცირე ბიზნესის მიმართ სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკის მთავარი მიზანია ფინანსური ნაკადების რეგულირება ისე, რომ მცირე საწარმოებისათვის მისაწვდომი გახდეს ფინანსური წყაროები. აქ გამოიკვეთება ორი მიმართულება: ბიუჯეტიდან მიზანმიმართული სუბსიდირება (ფედერალური სააგენტოებისა და უწყებების მეშვეობით) და მცირე საწარმოების საინოვაციო საქმიანობის ფინანსირებისათვის კერძო კაპიტალის მოზიდვა.

მცირე ბიზნესის სუბსიდირების პროგრამებს ძირითადად ახორციელებს ორი ფედერალური სააგენტო: მცირე ბიზნესის აღმინისტრაცია (SBA) და ნაციონალური სამეცნიერო ფონდი (National Science Foundation – NSF) [121, გვ. 174].

მცირე ინოვაციური ბიზნესისათვის სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის მეორე უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს კერძო კაპიტალის მოზიდვა. იგი, ძირითა-

დად, გენჩურული კომპანიების მეშვეობით ხორციელდება. გენჩურული ფინანსირება აშშ-ში ფართოდ გავრცელდა 70-იანი წლებიდან. აქ დღეისათვის მოქმედებს სამი ტიპის გენჩურული კომპანია: კორპორაციული (მსხვილი კორპორაციების შვილობილი კომპანიები); დამოუკიდებელი; მცირე ბიზნესის ინვაციური კომპანიები. მცირე ფირმებში გენჩურული კომპანიების მონაწილეობის წილი იშვიათად აღემატება 50%-ს.

აშშ-ში 80-იანი წლების ბოლოდან დაიწყო საგადასახადო ბეგარის უფრო საშედავაოო პირობების შემუშავება, უპირველესად ინვაციური მცირე ბიზნესის წასახალისებლად. რაც შეეხება საამორტიზაციო შედაგათებს, მცირე ფირმებისათვის ნებადართულია ძირითადი კაპიტალის ღირებულების ჩამოწერა არათანაბარ ნაწილებად ან ერთდროულად საამორტიზაციო პერიოდის განმავლობაში. საერთოდ, საგადასახადო და საამორტიზაციო შედაგათები ფართო მასშტაბით არ გამოიყენება, რადგან აშშ-ში ბევრად უფრო მნიშვნელოვნად ითვლება მცირე ბიზნესისათვის მისი ფორმირების საწყის პერიოდში მხარდაჭერა.

ევროპის ქვეყნებში მცირე ბიზნესის მხარდაჭერად გვემდინებიან ეკონომიკის სამინისტროს ფარგლებში არსებული სპეციალური განყოფილებები და დეპარტამენტები.

ბრიტანეთში, განსაკუთრებით მე-20 საუკუნის 70-იანი

წლებიდან, იწყება მცირე ბიზნესზე სახელმწიფო მხარდაჭერის შედარებით ფართომასშტაბიანი პოლიტიკის გატარება. ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროსთან შექმნილია „მცირე ფირმების სამსახური”.

1971 წელს გამოქვეყნებულმა „მცირე ფირმათა გამოკვლევის კომისიის ანგარიშმა” საფუძველი ჩაუყარა ინგლისში სახელმწიფოს მხრიდან მცირე ბიზნესის მხარდამჭერი ღონისძიებების გაფართოებას.

„მცირე ბიზნესის სამსახური” მცირე ფირმებს ხელს უწყობს: საქმიანობის დაწყების ორგანიზებაში, კრედიტების მიღებაში, სხვადასხვა ორგანიზაციებთან და მსხვილ საწარმოებთან ხელშეკრულებების დადებაში, კადრების მომზადებასა და კონსულტაციების გაწევაში.

ბრიტანეთში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მცირე და საშუალო ბიზნესისათვის კადრების მომზადებას. ამ მიმართულებით პრესტიჟულად ითვლება ბიზნესის საუნივერსიტეტო სკოლები სხვადასხვა ქალაქებში (ლონდონში, მანჩესტერში, გლაზგოში, დიურამსა და კორვიკში). აქ დაინტერესებულ პირებს 16 კვირის განმავლობაში ასწავლიან ეკონომიკის ზოგად პრობლემებს და საკუთარი საქმის გახსნის საფუძვლებს. ყოველწლიურად ამ სკოლებს ამთავრებს 200 ადამიანზე მეტი.

იაპონიაში მცირე ბიზნესის განვითარებას თავისი სპე-

ციფიკა აქვს. მცირე ბიზნესისათვის დამახასიათებელია სუ-  
ბარენდული სისტემის ფართო განვითარება. მცირე და უმ-  
ცირესი საწარმოები იღებენ და ასრულებენ შეკვეთებს  
მსხვილი ფირმებისაგან. არსებობს მცირე და საშუალო სა-  
წარმოების რეგულირებისა და სტიმულირების ოთხი ცენ-  
ტრი: ცენტრალური ხელისუფლება, ხელისუფლების ადგილო-  
ბრივი ორგანოები, მსხვილი ბიზნესი, მცირე ბიზნესის დამო-  
უკიდებელი გაერთიანებები.

ცენტრალური ხელისუფლების ხაზით, მცირე ბიზნესის  
საქმიანობით დაკავებულია საგარეო ვაჭრობის და მრეწვე-  
ლობის სამინისტროს შემადგენლობაში არსებული მცირე  
საწარმოების სამმართველო.

ხელისუფლების როგორც ცენტრალური, ისე ადგილობ-  
რივი თრგანოები მცირე ბიზნესის შექმნისა და განვითა-  
რების სტიმულირებას ახდენენ: სესხის, საკრედიტო გარან-  
ტიების, საგადასახადო შეღავათების, კადრების სწავლების  
და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მეშვე-  
ობით. ამის გარდა, მცირე ბიზნესის საწარმოებს ეძლევათ  
დაუბრუნებადი ფინანსური დახმარება, მხოლოდ ისეთი სა-  
მეცნიერო-ტექნიკური პროგრამების განხორციელებაზე, რო-  
გორიცაა: წარმოების ტექნიკური დონის ამაღლება (ამ დო-  
ნისძიებების დაფინანსებას ეწევა ერთდღოულად როგორც  
ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლება); წარმო-

ების ტექნოლოგიების სრულყოფა მთლიანად იმ დარგებში, სადაც ეს შედარებით ცუდად გამოიყურება (იაპონიაში, მაგალითად, კვების მრეწველობაში აღნიშნულს აფინანსებს ხელისუფლება); უნივერსიტეტებსა და სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან ერთობლივად ახალი სამეცნიერო ტექნიკისა და ტექნოლოგიების შემუშავება (ეს დონისძიება ფინანსირდება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ).

იაპონიაში სხვადასხვა სახელისუფლებო ორგანოები საშედავათო პროცენტით გასცემენ სესხებს ისეთი პროექტებისგანსახორციელებლად, როგორიცაა: ახალი სახის პროდუქტისა და ახალი ტექნოლოგიის შემუშავება (ფინანსირდება ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოების ხაზით); ახალი სახის წარმოებისა და ტექნიკის შემუშავება (ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების ხაზით). მცირე საწარმოების აღორძინება ცალკეული რეგიონების ეკონომიკის განვითარებისათვის (ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების ხაზით). მცირე ბიზნესის საწარმოებს შორის სამრეწველო და ტექნიკური კოოპერაციის ხელშეწყობა (ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების მიერ).

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსურ მხარდაჭერას ეწევა იაპონიის მცირე ბიზნესის საფინანსო კორპორაცია. მცირე საწარმოებს, ძირითადი და საბრუნავი კაპი-

ტალის გასაზრდელად ის სთაგაზობს გრძელვადიან სესხებს (ერთ წელზე მეტი ვადით), შედავათიანი პირობებით.

მცირე და უმცირესი კომპანიების კრედიტებით მომსახურებაზე სპეციალიზებულია იაპონიის ნაციონალური ფინანსური კორპორაცია, რომელიც ფლობს ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატის უზარმაზარ ქსელს (500-ზე მეტს), ის ყოველწლიურად 500 მილიარდ იუნაიტებულ სესხებს გასცემს.

იაპონიაში არის სპეციალიზებული დაწესებულება – ბანკი „სოკო-ჩუკინი“, რომელიც აფინანსებს მცირე და საშუალო საწარმოების კოოპერატივების საქმიანობებს.

იაპონიის „მცირე ბიზნესის საფინანსო კორპორაცია“ და „ნაციონალური საფინანსო კორპორაცია“ კიდევ უფრო შედავათიანი პირობებით აძლევენ კრედიტებს სპეციალური პრიორიტეტული პროგრამების დაფინანსებისათვის. მაგალითად, საშუალო და მცირე საწარმოების სტრუქტურული გარდაქმნებისათვის (რესტრუქტურიზაციისათვის), გარემოს დაცვისა და ენერგოდამზოგველი წარმოების განვითარებისათვის.

ამასთან, იაპონიის სახელმწიფო მცირე და საშუალო საწარმოებისათვის უზრუნველყოფს კომერციული საფინანსო კომპანიებიდან კრედიტების აღების გარანტიასა და დაზღვევას „დამატებითი საზოგადოებრივი დაკრედიტების სისტემის“ მეშვეობით. ეს სისტემა უზრუნველყოფს კაპიტალის გადადინებას კომერციული საფინანსო ინსტიტუტებიდან მცი-

რე და საშუალო ბიზნესის კომპანიებისაკენ.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი გერმანიის სწრაფად მზარდი ეკონომიკის საფუძველს, გერმანელი სპეციალისტების შეფასებით, სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესი წარმოადგენს.

დასავლეთის განვითარებული ქვეყნების სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპი მცირე ბიზნესთან დამოკიდებულებაში თითქმის ერთგვაროვანია. სახელმწიფო კონკურენციისაგან არ იცავს არაეფექტურის საწარმოებს.

გერმანიაში შესაძლებლობის მიხედვით ხდება მცირე საწარმოთა მისაწვდომობის გაიოლება ახალ ტექნოლოგიებსა და კაპიტალთან. მთელი ეკონომიკის ინტერესებისა და ხანგრძლივი პერსპექტივების გათვალისწინებით, უპირატესობა ენიჭება საწარმოს დამოუკიდებლობას და არა სახელმწიფოს მხრიდან მის მხარდაჭერას.

მცირე და საშუალო მეწარმეობის საკითხების გადაწყვეტა განიხილება ფედერალურ დონეზე, ზოგიერთი საკითხის დელეგირება (განხილვა) ხდება ქვედა დონის ადმინისტრაციულ სტრუქტურებში. ამ საკითხების უურადღებით შესწავლის შემდგომ, მცირე ბიზნესის მიმართულებით არსებული სპეციალური კვლევითი ორგანიზაციების რეკომენდაციებისა და სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით, მიიღება შესაბამისი საკანონმდებლო აქტი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინვესტიციებს, რომელთა არარსებობა ხელს უშლის ახალი საწარმოების შექმნასა და არსებულის შეთანაწყობას ეკონომიკაში მიმდინარე მუდმივ ცვლილებებთან.

გერმანიაში მცირე ბიზნესის მხარდაჭერის რიგი ფუნქციები გადაცემულია სპეციალიზებულ ბანკებზე, მათ შორის ყველაზე ძლიერია KFW – Kreditbanken fur Wiedez aufbau – ბანკების ჯგუფი. აღნიშნული ბანკების ჯგუფის მიღწეული შედეგები და ინფორმაცია მათ გეგმებზე, მცირე ბიზნესის ინვესტირებისა და მხარდაჭერის სფეროში, ასევე შედარებითი ანალიზი ინვესტიციის ეფექტიანობის შესახებ, რეგულარულად ქვეყნდება სპეციალურ ჟურნალებში.

KFW ბანკების ჯგუფში 2003 წელს შეიქმნა სპეციალიზებული მცირე და მსხვილი ბიზნესის ბანკი, რომლის მიზანია მცირე და საშუალო საწარმოებთან უფრო ძლიერი თანამშრომლობა.

კრედიტის გაცემის წესრიგი ერთი და იგივეა ყველასთვის ყოველგვარი უპირატესობის გარეშე, მხოლოდ საწარმოს კრედიტუნარიანობა წარმოადგენს მისთვის კრედიტის მიღების აუცილებელ პირობას. ბანკის მიერ პირდაპირი დახმარება ხორციელდება: სახელმწიფოს ინვესტიციური დანამატებით; შედავათებით და დაკრედიტებით, რომელიც გამოიყენება ფედერალურ და რეგიონულ დონეზე, საინვესტიციო

კომპანიების საქმიანი ჩარგვებისა და საბანკო გარანტიების სახით, რომელსაც აფინანსებს სახელმწიფო.

თავისებური საკრედიტო სუბსიდია ან ფარული ფინანსური დახმარება უზრუნველყოფს ინვესტორის პროექტის სტაბილურ და თანაზომიერ დაფინანსებას მყარი დაბალი განაკვეთით. დაკრედიტების ხანგრძლივობა არ აღემატება 10 წელს, პირველი ორი წელი საწარმო გათავისუფლებულია გადასახადებისაგან. აღებული თანხის დაბრუნება შეიძლება ნებისმიერ დროს. მაგრამ საშუალებების ნაწილი უნდა იყოს ინვესტორის საკუთრება. შეღავათიანი კრედიტის წილი ჩვეულებრივ შეადგენს 50%-ს და დამოკიდებულია პროექტის მიზანზე.

ადგილობრივი პროგრამების დაკრედიტება ხშირად KFW ბანკების განაკვეთიდან შედარებით შეღავათიანი პირობებით ხორციელდება. დოტაცია შეადგენს კრედიტის თანხის 3–10%-ს. მათი მიღების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ამ კრედიტების მიზნობრივი გამოყენება.

გერმანიაში სამეცნიერო-კვლევითი, ბუნების დაცვის, საყოფაცხოვრებო და საგარეო ეკონომიკური სახელმწიფო პროგრამების სახელშეკრულებო კონტრაქტები და მხარდაჭერის ღონისძიებათა მეტი წილი ორიენტირებულია მცირებიზნებზე. აქ სპეციალური დებულება არეგულირებს მცირე და საშუალო ფირმების მონაწილეობას სახელმწიფო შეკვეთების შესრულებაში. თუკი მცირე ფირმები ჩათვლიან, რომ

გვერდი აუარეს სახელმწიფო შეკვეთებს განაწილებისას, მათ შეუძლიათ, საჩივრით მიმართონ შესაბამის ორგანოებს ფედერალურ და ადგილობრივ დონეზე.

ვედერალური და ოეგიონული მნიშვნელობის მცირე და  
საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამები ამჟამად გერ-  
მანიაში ხორციელდება სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ.  
მათ შორის მნიშვნელოვანია:

1. დამწევები საწარმოებისათვის მხარდაჭერის პროგრამას ძალიან ხშირად საკუთარი ბიზნესის გახსნის დაბრკოლებას წარმოადგენს საკუთარი სახსრების უკმარისობა და მათი სესხად აღების სიძნელეები. გერმანიაში, ამ პროგრამის შესაბამისად, დამწევებ მეწარმეს შეუძლია მიიღოს 1 მლნ მარკამდე (პროექტის ღირებულების მაქსიმუმ 50%) კრედიტი, წლიური 5%-იანი განაკვეთით, 20 წლის ვადით. ამასთან, ინვესტიციების 40%-ის მიღება შეიძლება გარანტიის გარეშე, უპროცენტოდ, პირველ ორ წელიწადს და პირველი ათი წელიწადი სესხის ღირებულებისაგან გათავისუფლებით. ასე-თი დაკრედიტის რისკს თავის თავზე იღებს სახელმწიფო.

## 2. საწარმოს განვითარების პროგრამა:

ბიცილებენ სრულ რისკს მათ მიერ დაბანდებულ სახსრებზე.

3. რეგიონული პროგრამები: პროგრამები, მიმართული გერმანიის აღმოსავლეთის მიწების ეკონომიკის აღდგენაზე, ეკონომიკურად განვითარებულ რაიონებთან არსებული განსხვავების აღმოფხვრის მიზნით. მათში ხშირად გამოიყენება ამორტიზაციის შედავათიანი წესები ტრადიციული სუბსიდიებისა და კრედიტების გამოყენებასთან ერთად.

4. ეკოლოგიური პროგრამები: აქტიური მხარდაჭერა აქვს იმ საწარმოებს, რომლებიც ითვალისწინებენ გარემოს დაცვის დონისძიებებს;

5. მეცნიერულ-ტექნოლოგიური და ინოვაციური პროგრამები. ინსტიტუტები და უნივერსიტეტები ნაყოფიერად თანამშრომლობენ მცირე ბიზნესთან, რომელიც ხშირად ეყრდნობა სხვადასხვა სახის გამოგონებებსა და ინოვაციებს.

6. საზღვარგარეთ ინოვაციებისა და ექსპორტის პროგრამები:

მათი მეშვეობით ხდება იმ საწარმოების მხარდაჭერა, რომლებიც თავიანთი საქონლისა და მომსახურების ექსპორტირებას ეწევიან, ასევე მათი, ვინც ეწევა წარმოების ორგანიზებას სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ. 2005 წლის მონაცემებით, გერმანიის მთლიანი ეროვნული პროდუქტის თითქმის 1/3 შემოდის საზღვარგარეთიდან. ქვეყანას ექსპორტის მოცულობით მსოფლიოში მეორე ადგილი უკავია [146, გვ.

5]. ეკონომიკის ამ სექტორისათვის დამატებითი ზრდის პოტენციალი წარმოიშვა ევროპავშირის გაფართოების შემდგომ.

გერმანია იმ ქვეყნების რიცხვში შედის, რომლებსაც მაღალი ეკონომიკური პოტენციალი აქვთ. ეჭვს გარეშეა, მნიშვნელოვანი როლი ქვეყნის ასეთი სტატუსის მოპოვებაში ითამაშა მცირე და საშუალო ბიზნესმა: მათ წილად მოდის ინვესტიციებისა და მშპ-ს თითქმის ნახევარზე მეტი. ამასთან, სახელმწიფოს რჩება მხოლოდ მარეგულირებელი როლი და მისი საქმიანობა არავითარ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება საბაზრო ეკონომიკისა და თავისუფალი მეწარმეობის პრინციპებს [146, გვ. 4–6]. მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პოლიტიკა ტარდება არა მარტო ჩვენ მიერ განხილულ ქვეყნებში, არამედ ყველა სხვა განვითარებულ ქვეყნაში, სადაც მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად შექმნილია განშტოებული ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს: ბანკებს, სადაზღვეებო, ლიზინგურ, ფაქტორინგულ, კონსალტინგურ, კენტურულ, აუდიტორულ კომპანიებს, ტექნოპარკებს, ბიზნესინკუბატორებს, სამრეწველო ტექნოლოგიურ ცენტრებს, საარბიტრაჟო სასამართლოს და სხვ.

## თავი II. მცირე ბიზნესის განვითარების

# თანამედროვე დოც საქართველოში

## § 2.1. მცირე გიზნესის ფორმირების ტენდენციები

### საქართველოში

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესებმა დღის წესრიგში სრულიად ახალი თვისებრივი პრობლემები დააყენა. თუ საქართველო XIX საუკუნის ბოლოს ბატონიშვილი სისტემიდან, რომლის ნიადაგში იდო კაპიტალისტური ელემენტის ჩანასახი, კაპიტალიზმზე გადადიოდა, XX ს. 90-იანი წლებიდან მას მოუწია კომუნისტური ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა, რომლის ანალოგი მსოფლიო ეკონომიკაში არ არსებობდა.

საბჭოთა ეკონომიკის არსებითი თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ მისი არსებობა და განვითარება გარე სამყაროსთან, მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებთან იზოლაციის პირობებში მიმდინარეობდა და მისი კონკურენტუნარიანობა დაბალი იყო. პროდუქციის დაბალი ხარისხის გამო ადგილი პქონდა ფარული გზებით უცხოეთიდან შემოტანილი საქონლით „სპეცულაციას“. არ არსებობდა მომხმარებელზე ორიენტირებული წარმოება. საბჭოთა სისტემა გარე სამყაროსთან კონკურენციულ ურთიერთობაში მოდიოდა მხოლოდ სამხედრო პროდუქციით. ამ სახეობის პროდუქციის გარდა, საერთაშორისო კონკურენტუნარიანი პროდუქციის ასორტიმენტი მეტად უმნიშვნელო იყო. მბრძანებლურ-

ადმინისტრაციულ ეკონომიკურ სისტემაში თითოეული ეკონომიკური აგენტის საქმიანობის რეგლამენტირება ცენტრიდან ხდებოდა, ყურადღება გადატანილი იყო იმაზე, თუ რადა როგორ ეწარმოებინათ, ხოლო თუ ვისთვის უნდა ეწარმოებინათ, არ გაითვალისწინებოდა. ბიზნესი ითვლებოდა, როგორც ეკონომიკისათვის მიუღებული, კანონგარეშე მოვლენა.

საბჭოთა ეკონომიკურ სისტემაში ყველაზე დაბალი იყო ინდივიდუების ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი, მაშინ, როცა საბაზრო ეკონომიკური სისტემა ეკონომიკის განვითარების საყოველთაო პრინციპად აღიარებს პიროვნების ეკონომიკურ თავისუფლებას.

საბჭოური სისტემის საბაზრო რელსებზე გადასვლა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო, როცა საბჭოთა კავშირში გამოცხადდა ეგრეთ წოდებული „პერესტროიკა”. საბჭოთა იმპერიაში იყო მცდელობა კერძო საკუთრებაზე ეტაპობრივად, თანდათანობით, შემგუებლური პრინციპით გადასვლისა, რაც იმაში გამოიხატა, რომ „პერესტროიკის” პირველ ეტაპზე საწარმოებში ინერგებოდა სამეურნეო ანგარიშიანობის პრინციპები, რის საფუძველზეც საწარმოებს ეძლეოდათ უფლება, გადასულიყვნენ თვითდაფინანსებასა და თვითრეგულირებაზე, რამაც მბრძანებლურადმინისტრაციული ეკონომიკის პირობებში შედეგი ვერ გამოიღო.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როგორც

მთელ საბჭოთა კავშირში, ასევე საქართველოში, პიროვნების ეკონომიკური თავისუფლების ამაღლებისა და კერძო სექტორის განვითარების მიზნით, დაიწყო განსახელმწიფო ებრიობისა და პრივატიზაციის პროცესი, განხორციელდა სახელმწიფო ქონების ვაუზერიზაცია. ამ დონისძიებების გატარებისას ქვეყნის ხელმძღვანელობის მხრიდან უამრავი შეცდომა იქნა დაშვებული – ზოგი უცოდინრობით, ზოგიც შეგნებით.

კანონი უპირატესობას ანიჭებდა საწარმოს თანამშრომლების ქონების პრივატიზება განეხორციელებინათ „ამხანაგობის”, „კოოპერატივების” და „სააქციო საზოგადოების” შექმნის გზით. ამასთან, თუკი აქ დასაქმებულ პირებს არ ექნებოდათ პრივატიზების საფასურის დაფარვის შესაძლებლობა, გარედან მოეწვიათ პირი, რომელიც ურთიერთშეთანხმებული წილის საფასურად გადაიხდიდა პრივატიზების (საწესდებო კაპიტალის) ღირებულებას.

ასეთი სახით შექმნილი „ამხანაგობები” ხშირად სასამართლო დავით მთავრდებოდა. შეუთანხმებლობა გამოწვეული იყო იმით, რომ მოწვეული პირი, რომელმაც პრივატიზების თანხის დიდი ნაწილი გაიღო, დაინტერესებული იყო წარმოება საბაზო პრინციპებით განვითარებულიყო. საწარმოში დასაქმებულთა დიდი ნაწილი კი ვერ თმობდა საქმიანობის ძველებურ მეთოდებს.

მცირე საწარმოების არცოუ მცირე ნაწილი გადადიოდა კორუმპირებული ფენის ხელში.

ქვეყანაში განსახელმწიფოებრიობის პირველ საფეხურზე სოფლის მოსახლეობას უსასყიდლოდ გადაეცა საკარმიდამო ნაკვეთები, ქალაქის მოსახლეობას (შემდგომი პრივატიზაციის უფლებით) კი – კომუნალური ბინები, კოოპერაციული ბინები, მისი ღირებულების სრული დაფარვის შემდეგ, მფლობელის საკუთრებაში გადავიდა.

ქვეყანაში კერძო საკუთრების განვითარების ხელშეწყობის მიზნით გატარებული ზემოთ აღნიშნული განსახლებწიფოებრიობისა და პრივატიზაციის პარალელურად, განხორციელდა ფასებისა და საგარეო ურთიერთობის ლიბერალიზაცია.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ძველი კავშირურთიერთობების მოშლამ, შინაომებმა და ბრძოლამ ტერიტორიული მთლიანობისათვის, ძლიერ დაასუსტა ქვეყანა, დაეცა წარმოების მოცულობა.

მაგალითად, ელექტროენერგიის წარმოებამ 1996 წელს, 1990 წლის 51, ქვანახშირის წარმოებამ – 2, ფოლადისა და ცემენტის წარმოებამ – 6, მინერალური სასუქების წარმოებამ 52 პროცენტი შეადგინა; შალისა და აბრეშუმის წარმოება თითქმის შეწყდა; ფეხსაცმლის, პურისა და ფუნთუშეულის, ყურძნის ღვინის, ნატურალური ჩაის წარმოება შესაბამისად 1300; 3,4; 7,5; 48-ჯერ შემცირდა და ა.შ. [71, გვ.13].

ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო მოსახლეობა იძულებული გახდა, მიბრუნებოდა მისთვის ძველ საქმიანობას: ოჯახურ წარმოებას, ხელოსნობას, ვაჭრობას. მათმა დიდმა ნაწილმა თავი მოიყარა ცენტრალურ ქალაქებში, სადაც ხალხმრავალ ადგილებში მომრავლდა სავაჭრო ჯიხურები თუ დახლები, ჰიგიენური სალონები, წვრილი სავაჭრო მაღაზიები, სახელოსნო წარმოებები და ა.შ.

ამდენად, ლეგალური თუ არალეგალური ფორმით, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ხელი მოჰკიდა „სიცოცხლის უზრუნველმყოფ“ მცირე ბიზნესს. სწორედ ამ წლებში საქართველოში ვლინდება მცირე ბიზნესის უნარი, ეკონომიკური კრიზისის დროს ხელი შეუწყოს სოციალური და პოლიტიკური სტაბილიზაციის დამყარებას, მოსახლეობის დასაქმებას.

საქართველოში მცირე ბიზნესის ფორმირებას განსაკუთრებულად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზაციის პროცესი პირველად საბჭოური მცირე საწარმოებით დაიწყო. მხოლოდ 1993 წელს პრივატიზებული საწარმოების საერთო რაოდენობიდან მცირე იყო – 98,4%. სულ 1993–2000 წლებში პრივატიზებულ საწარმოთა საერთო რიცხვში მცირე საწარმოების ხვედრითმა წილმა 92,7% შეადგინა [73, გვ.150].

„სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ“ კანონის დაყრდნობით მიღებულ იქნა პრივატიზაციის სხვადასხვა ფორმების შესახებ დებულება „სახელმწიფო ქონების კონკურსის, აუქციონის, იჯარაგამოსყიდვის, პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების მართვის უფლების კონკურსის ფორმით გადაცემის შესახებ“. მიღებული დებულების შესაბამისად, პრივატიზება ხდებოდა აუქციონის, კომერციული კონკურსის, საინვესტიციო კონკურსის, იჯარა-გამოსყიდვის, პირდაპირი მიყიდვის ფორმით. თუ როგორ განაწილდა სხვადასხვა ფორმით პრივატიზებული მცირე საწარმოები, ნაჩვენებია 2.1.1 ცხრილში.

როგორც ჩანს, მცირე საწარმოების პრივატიზების დროს ყველაზე მეტი ხვედრითი წილი უკავია აუქციონის ფორმით პრივატიზებას.

როგორც კონკურსის, ასევე იჯარა-გამოსყიდვის ფორმებით საწარმოების პრივატიზაციის დროს სახელმწიფოს ან ადგილობრივი ოვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-მდე აღწევდა, ხოლო პირდაპირი მიყიდვის წესით პრივატიზება სახელმწიფოსთან სახელშეკრულებო ურთიერთობებით ხდებოდა, რომლის დარღვევის შემთხვევაში საწარმოს მფლობელი ჯარიმდებოდა ქონების საბოლოო ფა-

სის 10%-ით [94, გვ. 13].

საქართველოს რესპუბლიკაში 1993 წლამდე მიღებულიქნა კანონები და მთავრობის დადგენილებები, რომლებმაც ხელი შეუწყო ქვეყანაში კერძო სექტორის ჩამოყალიბებასა და მეწარმეობის განვითარებას. მათგან შეიძლება აღინიშნოს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ (1991) და მთავრობის დადგენილებები: „სახელმწიფო საწარმოთა შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ (1992),

### ცხრილი 2.1.1

საქართველოში პრივატიზებული მცირე საწარმოების  
რაოდენობა და მათი განაწილება პრივატიზაციის  
ფორმების მიხედვით (1993–2000) [72; 73]

	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000
პრივატიზებული მცირე საწარმოები მათ შორის:	1312	1370	4701	2247	1474	1910	1450	883
აუქციონით				720	341	660	632	401
კომერციული				549	278	483	28	114
კონკურსით								
საინვესტიციო								
კონკურსით				3	8	16	3	2
სხვა სახით				966	869	769	787	366

„ფასიანი ქაღალდების შესახებ დროებითი დებულების და-  
მტკიცების თაობაზე“ (1992), „ინდივიდუალური მეწარმეო-

ბისა და ინდივიდუალური საწარმოების დებულების დამტკიცების თაობაზე“ (1993), „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ (1993).

1995 წლის 1 მარტამდე „მეწარმეობის შესახებ“ კანონის მოთხოვნილების შესაბამისად, კერძო სამართლებრივი წესით შექმნილი საწარმოები დაექვემდებარა ხელახალ რეგისტრაციას 1996 წლის 1 იანვრამდე. რეგისტრირებული ერთობლივი საწარმოები კი გარდაიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებად. აღნიშნული მოთხოვნებით გამომდინარე, საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა 1995 წლის 11 აპრილს მიიღო დადგენილება (№196), რითაც უნდა უზრუნველყოფილყო საწარმოთა ხელახალი რეგისტრაცია. რეგისტრაცია მოხდა არა სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებში (მერია, გამგეობა), სადაც საწარმოებმა პირველადი რეგისტრაცია გაიარეს და ამისათვის საკმაოდ დიდი კანონიერი თუ უკანონო ხარჯები გაიღეს, არამედ რაიონული სასამართლოების ნებართვის გავლით, საჯარო რეესტრში (რომელიც 1994 წელს შეიქმნა). მეორადი რეგისტრაციისათვის დამწყებ მეწარმეებს ხელახლა დასჭირდათ ახალი მოსაკრებლების შეტანა, საბუთების შეცვლის, ბეჭდისა და შტამპის დამზადებისა და სხვა ხარჯების გაწევა. მრავალი ახლად შექმნილი მცირე ფირმა, ფინანსების უქონლობის გამო, დროულად ვერ გატარდა რეგისტრაციაში და ამის გამო გაუქმებულად გამოცხადდა. საწარ-

მოთა ხელახალმა რეგისტრაციამ ხელი შეუწყო მათი საქ-  
მიანობის კანონდაქვემდებარებას, მაგრამ, მეორე მხრივ, ხე-  
ლი შეუშალა ბიზნესის ფორმირებას.

ქვეყანაში მცირე ბიზნესის ფორმირების ერთ-ერთ შემა-  
ფერებები მოვლენად შეიძლება დასახელდეს ის, რომ 1999  
წლამდე არ იყო კანონით რეგლამენტირებული მცირე სა-  
წარმოს ცნება, მისი შეფასების კრიტერიუმები და მათი  
სტატისტიკური სიდიდეები. 1999 წლამდე, სტატისტიკის სა-  
ხელმწიფო დეპარტამენტის გრადაციით, მცირე საწარმოების  
კრიტერიუმად მიღებული იყო დასაქმებულთა რაოდენობა დარ-  
გობრივ ჭრილში. მცირე საწარმოს მიეკუთვნებოდა მრეწ-  
ველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, კავშირგაბ-  
მულობის საწარმოები დასაქმებულთა რიცხვით – 50 კაცამ-  
დე; მშენებლობაში – 35 კაცამდე; განათლებისა და სამეც-  
ნიერო პროფილის ორგანიზაციებში – 30 კაცი; საბითუმო  
და საცალო ვაჭრობაში და მომსახურების სფეროში – 20  
კაცი; სხვა ორგანიზაციებში – 25 კაცი.

1999 წლის 23 ივლისს საქართველოში ქალაში შევიდა  
კანონი „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“, რომლის  
მიხედვით, მცირე საწარმოების შეფასების კრიტერიუმად,  
დასაქმებულთა რიცხოვნობასთან ერთად, აღიარებულ იქნა  
საწარმოს წლიური ბრუნვის მაჩვენებელი, რომელთა სტატი-  
სტიკური სიდიდე დარგობრივ ჭრილში არ აღემატება შემ-  
დეგ ზღვრულ ოდენობას: მრეწველობაში – 40 დასაქმებუ-  
ლსა და 500 ათას ლარს; მშენებლობაში – 20 დასაქმებუ-

ლსა და 300 ათას ლარს; ტრანსპორტსა და კავშირგაბმუ-  
ლობაში – 20 დასაქმებულსა და 200 ათას ლარს; სოფლის  
მეურნეობაში – 20 დასაქმებულსა და 150 ათას ლარს; საბი-  
თუმო და საცალო ვაჭრობაში – 10 დასაქმებულსა და 50  
ათას ლარს; განათლებაში, ჯანმრთელობის დაცვასა და  
კულტურაში – 25 დასაქმებულსა და 60 ათას ლარს; სხვა  
სახის ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას – 15  
დასაქმებულსა და 100 ათას ლარს [83, გვ. 30].

მცირე საწარმოს ეს მეტად მიუღებელი და არასწორი  
კრიტერიუმები, როგორც ჩანს, გაითვალისწინა მთავრობამ  
(ცხადია, მეტად დაგვიანებით). ამ კანონის მიღების მეოთხე  
წელს მასში შეიტანეს ცვლილებები, რომლის მიხედვითაც  
კანონში მცირე საწარმოდ განისაზღვრება „მეწარმეთა შესა-  
ხებ“ კანონში მოცემული ყველა სახის ორგანიზაციულ-სა-  
მართლებრივი ფორმის საწარმო ეკონომიკის ნებისმიერ სექ-  
ტორში, რომელშიც დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემა-  
ტება 20 კაცს და წლიური ბრუნვა – 500 ათას ლარს.

აღსანიშნავია, რომ მცირე საწარმოების სიდიდის გან-  
საზღვრა დასაბუთებას მოკლებულია. ამის დასტურია ის,  
რომ 1998–2007 წლებში დასაქმებულთა რაოდენობისა და  
წლიური ბრუნვის მიხედვით საწარმოების სტატისტიკური  
მონაცემები (იხ. ცხრ. 2.1.2) ეკონომიკური საქმიანობის სახე-  
ების მიხედვით სულ სხვა სურათს იძლევა. ასე მაგალითად,  
თუ მრეწველობაში კანონით 1999-იდან 2001 წლამდე, ერთ  
მცირე საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობა განსაზღვრუ-

ლი იყო არაუმეტეს 40 კაცით, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვა – 500 ათასი ლარით, აღნიშნულ კანონში ცვლილებების შეტანის შემდეგ 2002 წლიდან დასაქმებულთა ოპდენობა განისაზღვრა 20 კაცით, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მაჩვენებელი დარჩა უცვლელი. ფაქტობრივად 2001-2007 წლებში დასაქმებულთა საშუალო რიცხვი საქმიანობის სახეების მიხედვით იცვლება 3-დან 4 კაცამდე, ხოლო წლიური საშუალო ბრუნვა ფაქტობრივად შეადგენს 40 ათასი-დან 50 ათას ლარს (იხ. ცხრ. 2.1.2).

ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით განსაზღვრული მცირე ფირმების კრიტერიუმების სტატისტიკური სიდიდეები ფაქტობრივ მონაცემებზე საგრძნობლად მაღალია.

ამდენად, იგი (სტატისტიკური სიდიდეები) ქვეყნის ეკონომიკაში არსებული რეალური სურათის შესწავლის და გაანალიზების გარეშეა შემოღებული. ამასთან უნდა განვმარტოთ, რომ მცირე საწარმოების კრიტერიუმთა სტატისტიკურმა სიდიდეებმა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონის შესაბამისად უნდა განიცადოს ცვლილება.

ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით საწარმოთა რაოდენობის სტრუქტურაში 1998–2007 წწ. მონაცემებით, პირველი ადგილი უჭირავს საბითუმო და საცალო ვაჭრობას, აგრომობილების, საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი სარგებლობის ნივთების რემონტს – 30,4% (1998) და 42,9% (2007), მეორე ადგილზე მოდის დამამუშავებელი მრეწველობა 29,8% (1998) და ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯა-

რა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა – 13,1% (2007), მესამე ადგილზეა ოპერაციები უძრავი ქონებით და ერთჯერადი კომერციული საქმიანობა – 9,6% (1998). ამ სტრუქტურაში სოფლის მეურნეობა წინ უსწრებს მხოლოდ თევზჭერას, საფინანსო შუამავლობას; ელექტროენერგია, გაზი და წყალმომარაგება 1998 წელს შეადგენდა 0,4% (425 საწარმოს), ხოლო 2007 წელს – 0,2% (45 საწარმოს).

**საქართველოს ერთ მცირე საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობა და ბრუნვის საშუალო  
მოცულობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით**

		დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა ერთ მცირე საწარმოში						საშუალო წლიური ბრუნვა ერთ მცირე საწარმოში (მლნ ლარი)					
		1998	1999	2001	2002	2005	2007	1998	1999	2001	2002	2005	2007
1	სულ	9.9	4.3	3.4	3.1	3.4	3.6	0.07	0.05	0.04	0.02	0.03	0.05
2	ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით												
3	სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	1.8	9.5	6.3	6.2	6.3	4.7	0.01	0.01	0.01	0.01	0.02	0.03
4	თევზურა, მეთევზურობა	10.3		8	6.1	6.5	6.1	0.01		0.01	0.01	0.02	0.05
5	სამორმოპოვებითი მრეწველობა	16.5	14.5	11.9	8	7.3	7.3	0.03	0.15	0.09	0.06	0.05	0.1
6	დაბამუშავებელი მრეწველობა	9.7	8.5	10.8	5.2	1.3	4.8	0.03	0.05	0.08	0.06	0.01	0.05
7	კლენერგიის, აირის და წყლის წარმო- ქანაგრძაწილება	24	19.6	19.6	10.5	10.9	12.3	0.07	0.15	0.19	0.05	0.06	0.1
8	მშენებლობა	16	11.5	10.2	9.3	9.6	8.5	0.09	0.09	0.13	0.08	0.09	0.08
9	გაჭრობა, ავტომობილების, საყოფაც- ხოვებით ნაწარმის და პირადი მოხმა- რების საგნების რემონტი	6.3	2.5	1.9	1.8	2.2	2.2	0.12	0.04	0.04	0.02	0.03	0.05
10	სასტუმროები და რესტორნები	7.8	3.6	3.7	4.1	4.2	3.5	4.7	0.02	0.01	0.01	0.02	0.04
11	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	14.7	8.3	7.8	6.8	6.7	3.9	0.15	0.15	0.13	0.04	0.06	0.05
12	საფინანსო შემაცვლობა				4.3	3.4	4.1	...	0.06		0.03	0.02	0.04
13	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწვა	8.7	6.3	5.3	5.5	5.4	4.5	0.03	0.02	0.03	0.02	0.02	0.04
14	განათლება	17.3	13.6	13	10.7	10.1	9.6	0.02	0.02	0.01	0.01	0.01	0.03
15	ჯანდაცვისა და სოც. დახმარება	13	11.7	10.9	8.2	8.6	6.4	0.01	0.01	0.02	0.01	0.02	0.02
16	საქმიანობის დანარჩენი სახეები	10.6	7.8	5.9	5.6	5.7	4.5	0.22	0.02	0.02	0.01	0.02	0.03

საქართველოს ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით, მცირე საწარმოების დიდი ნაწილი თავს იყრის ქ. თბილისში, 1998 წელს თბილისზე მოდიოდა მთელი მცირე საწარმოების 47,7%; იმერეთზე – 14,2%, აჭარის ა.რ. – 6,3%, სამეგრელო-ზემო სვანეთზე – 6,7%. მაშინ, როდესაც მცირე საწარმოების საერთო რაოდენობიდან რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეზე მოდიოდა 1,4%, მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის მხარეზე შესაბამისად – 2,3% და 2,5%. 2007 წელს მცირე საწარმოების საერთო რაოდენობიდან ქ. თბილისზე მოდიოდა 28,7%; იმერეთზე – 15,9%; ქვემო ქართლის მხარეზე – 10,6%; სამეგრელო-ზემო სვანეთზე – 8,4%; აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაზე – 11,5%; ხოლო რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთზე – 1,4%; მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთზე შესაბამისად – 2,1% და 3,7% [55; 75; 156].

მაშასადამე, როგორც მონაცემების ანალიზიდან ჩანს, ქვეყანაში მცირე საწარმოების გაადგილების სურათი როგორც საქმიანობის სახეების, ასევე ქვეყნის რეგიონების მიხედვით, არც ისე სახარბიელოდ გამოიყურება. მთავრობის მხრიდან საჭიროა განხორციელდეს მაკრობუნების დონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს მცირე საწარმოების გაადგილებას პერიფერიულ რეგიონებში.

ეკონომიკური საქმიანობის სახეებიდან, უახლოეს წლებში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს –

მეურნეობაში მცირე ბიზნესის ფორმირებას. იმავე დასკვნამდე მივყავართ ანალიზს მცირე საწარმოებში წარმოებული პროდუქციის მოცულობის მიხედვით. 2005–2007 წლებში მცირე საწარმოების პროდუქციის საერთო მოცულობაში სოფლის მეურნეობა, ნაღირობა, მეტყველეობის წილად მოდის მხოლოდ 2%; სამთომოპოვებით მრეწველობასა და კარიერის დამუშავებაზე – 1,6%; ელექტროენერგიას, გაზსა და წყალმომარაგებაზე – 0,6%.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მიხედვით, 2007 წელს, მცირე საწარმოებში გამოშვებული პროდუქციის საერთო მოცულობის 52,2% მოდის მხოლოდ თბილისზე [55; 156].

2004 წელს საქართველოში მცირე ბიზნესზე მოდიოდა: მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 9; ძირითადი კაპიტალის 14; დასაქმებულთა რიცხოვნობის 10; საწარმოთა საერთო რაოდენობის 89,7% [55; 75].

შესაბამისი მაჩვენებლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში მცირე ბიზნესის ზრდის ტემპი 1998-2004 წლებში დაბალია, რაც განპირობებული იყო საერთო ეკონომიკური ჩამორჩენით და მცირე ბიზნესისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის თითქმის არარსებობით.

საქართველოში მცირე ბიზნესში არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ

იგი ჯერ კიდევ ფორმირების პირველ საფეხურზეა. ამასთან, მისი განვითარება არასტაბილურია.

## § 2.2. მცირე ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების თანამედროვე პროცესები საქართველოში

ქვეყნის ორიენტირებამ საბაზო ეკონომიკაზე თავის-თავად მოითხოვა შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნა. საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტების უმრავლესობა პირდაპირ ან ირიბად ეხება ბიზნესთან დაკავშირებულ როგორ და მრავალმხრივ ურთიერთობებს. ასეთებს განეკუთვნება: საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ;“ სამოქალაქო სამართლის, სისხლის სამართლის, საგადასახადო და საბაჟო კოდექსები; ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი; კანონები „ეროვნული ბანკისა“ და „კომუნიკაციული ბანკების“ შესახებ, კანონი „სახელმწიფო პრივატიზაციის შესახებ“ და მრავალი სხვა; საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ მიღებული მრავალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, პარლამენტის მიერ რატიფიცირებული მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულება, შეთანხმება და კონვენცია, რომელთა ნორმები არეგულირებს ბიზნესთან დაკავშირებულ საქმიანობას.

სამეწარმეო საქმიანობის რეგულირება და საწარმოთა

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების რეგლამენტირება ძირითადად დაფუძნებულია საქართველოს კანონზე „მეწარმეთა შესახებ”.

საქართველოს ისტორიაში კანონი „მეწარმეთა შესახებ” არის პირველი კანონი კერძო სამართლში, რომელიც თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილებას შესაბამება. იგი აწესრიგებს მეწარმეთა მოწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს და განსაზღვრავს მათ სტრუქტურას. ამასთან, ამ კანონით ხდება მეწარმეებისა და ინვესტორებისათვის რეალური საერთო სამართლებრივი საფუძვლის შექმნა და მისი უზრუნველყოფა. კანონის ზოგად ნაწილში მოწესრიგებულია ის საკითხები, რომლებიც საერთოა ყველა სახის საწარმოსათვის. ამ კანონის კერძო ნაწილი, მის წინამორბედ (1991 წ. კანონი სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ) კანონთან შედარებით, საშუალებას იძლევა, საბაზრო ეკონომიკაში საწარმოთა შექმნის მსურველებს ნათლად წარმოუდგინოს საწარმოთა ფორმები იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რომელიც თითოეულ მათგანს ახასიათებს.

„მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონი ყველა ფორმის ბიზნესისათვის (მსხვილი, საშუალო, მცირე) ადგენს საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს და ახდენს მათი დაფუძნების რეგლამენტირებას.

ამ კანონის მიხედვით, საქართველოში დაშვებულია საწარმოთა შემდეგი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები: ინდივიდუალური საწარმო, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს); კომანდიტური საზოგადოება (კბ), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს); სააქციო საზოგადოება (სას) ან კოოპერატივი.

ინდივიდუალური საწარმოს დამფუძნებელია მხოლოდ ინდივიდუალური მეწარმე ან ფიზიკური პირი. სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგადოების დამფუძნებელია ორი ან მეტი ფიზიკური პირი; კომანდიტური საზოგადოების დამფუძნებელია: 1. პერსონალურად პასუხისმგებელი პირები, ანუ კომპლექსტარები, რომლებიც შეიძლება იყვნენ ფიზიკური პირები. 2. კომანდიტები, რომლის პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე დადგენილია მის მიერ შეტანილი საგარანტიო ფასით. კომანდიტი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, ასევე სახელმწიფო. სააქციო საზოგადოების დამფუძნებლებია აქციონერები. აქციების მფლობელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი და სახელმწიფო. კოოპერატივის დამფუძნებლები შეიძლება იყვნენ მეპაიები, ფიზიკური ან იურიდიული პირები. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამფუძნებლები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები, ასევე სახელმწიფო.

საქართველოს ტერიტორიაზე ნებადართულია ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მცირე საწარმოთა საქმიანობა, თუ ნორმატიული აქტით პირდაპირ არ არის აკრძალული.

„მეწარმეთა შესახებ” კანონის მიხედვით, სამეწარმეო საქმიანობის ძირითადი ნიშნებია: მართლზომიერი საქმიანობა; არაერთჯერადი საქმიანობა; მოგების მიღება; საქმიანობის განხორციელება დამოუკიდებლად; საქმიანობის ორგანიზებულად წარმართვა.

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით შექმნილი საწარმო ნებადართულ საქმიანობას ეწევა სისტემატურად და უვადოდ. მეწარმეობის საქმიანობას იურიდიულად მართებულს ხდის რეგისტრაციის პროცესის დასრულება.

„მეწარმეთა შესახებ” კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, სამეწარმეო საქმიანობად არ ითვლება: სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო და სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მ.შ. საგადასახადო კონსულტაციათ), სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა. სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობათა რეგისტრაცია კი სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ წარმოებაში დასაქმებულია ოჯახისარაწევრი ხუთი პირი მაინც. კანონის ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ ფიზიკურ პირებზე, იურიდიული პირების

მიერ განხორციელებული ჩამოთვლილი საქმიანობა განიხილება სამეწარმეო საქმიანობად [81, გვ. 33].

საქართველოში მცირე საწარმოთა განვითარებისა და მხარდაჭერის ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძვლები განსაზღვრულია 1999 წლის 23 ივნისის კანონში „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“. 1999 წლამდე ეკონომიკის სამინისტროში არსებობდა მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის ფონდი, რომელიც გაუქმდა აღნიშნული კანონით და ამავე კანონით შეიქმნა მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფდა სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას ამ მიზნით. ცენტრი კანონით წარმოადგენდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელსაც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ჰქონდა ცენტრალური და რეგიონული ოფისები. მისი წარმომადგენელი იყო დირექტორი. მის საქმიანობას წარმართავდა მცირე საწარმოთა საკოორდინაციო საბჭო, რომელიც ქვეყნის 13 სხვადასხვა სახელმწიფო მართვის ინსტიტუტის წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული. მასში შედიოდა ეკონომიკის, ფინანსთა, ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სურსათის, შრომისა და დასაქმების სამინისტროების, რეგიონებში რეგიონირებული ორგანიზაციების წარმომადგენლები, სახელმ

წიფო კანცელარიისა და ეროვნული ბანკის წარმომადგენლები. საბჭოს წევრებსა და საბჭოს მიერ წარდგენილ დირექტორს ამტკიცებდა ქვეყნის პრეზიდენტი 2 წლის ვადით.

მცირე საწარმოებს კანონი „მცირე საწარმოების მხარდაჭერის” შესახებ უფლებას აძლევდა, კერძო მეწარმეობისათვის სახელმწიფო მხარდაჭერასა და განვითარებასთან დაკავშირებული ერთობლივი ამოცანების გადაწყვეტის მიზნით, შექმნათ კავშირები და ფონდები.

ქვეყანაში მცირე საწარმოებისადმი არ არსებობს რაიმე განსაკუთრებული საგადასახადო შედავათები. ისინი სარგებლობენ მხოლოდ საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული შედავათებით, რომელიც დადგენილია ზოგიერთი სახის ეკონომიკურ საქმიანობაზე.

სახელმწიფოს მხრიდან შედავათები მცირე საწარმოებს ეძლეოდათ ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების გამარტივებული სისტემის გამოყენებაში, ამასთან, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობისას სარგებლობდნენ კანონით გათვალისწინებული შედავათებით.

მცირე საწარმოებს შეეძლოთ ბალანსისა და მოგებაზარალის ანგარიშის ნაცვლად ინვენტარიზაციის საფუძველზე შეედგინათ ქონებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი და შემოსავლების ანგარიში, საგადასახადო კანონმდებ-

ლობის შესაბამისად. 2006 წლის 22 ივნისს, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის საფუძვლზე, აღნიშნული შედავათები გაუქმდა.

კანონი „მეწარმეთა შესახებ“ ახდენს საწარმოთა დაფუძნების, რეგისტრაციის, ლიკვიდაციისა და რეესტრში გატარების რეგლამენტირებას. ასევე იგი არეგულირებს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით საწარმოს მართვა-ხელმძღვანელობას; პარტნიორთა უფლება-მოვალეობას; საწარმოს საწესდებო კაპიტალის დაფინანსებას; არეგულირებს სამეწარმეო საქმიანობის შემოწმების პირობებს და დავებს.

მცირე ბიზნესის (მეწარმეობის) სუბიექტები არიან ბაზარზე თავისუფლად მოქმედი და კაპიტალის ერთპიროვნული მფლობელები – ფიზიკური პირები. აგრეთვე, ფირმის კაპიტალის მფლობელები და თანამფლობელები, რომლებიც გამოდიან იურიდიული პირების სახით (სპს; კს; შპს; სს და კოპერატივი).

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, „სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას“.

საქართველოს კონსტიტუციის, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის გარდა, მცირე ბიზნესის განვითარება, მისი რეგულირება და მასზე ხელშეწყობა ეფუძნება ქვეყანაში მიღუ-

ბელ ყველა არსებითი მნიშვნელობის კანონსა და კოდექსს, რომელთა შორის აღსანიშნავია კანონები: „მშრომელთა უფლებების”, „მრომის”, „გარემოს დაცვის”, „აუდიტორული საქმიანობის”, „საკუთრების”, „მიწის”, „დაზღვევის”, „კოლექტიური ხელშეკრულების”, „დასაქმების”, „საინვესტიციო საქმიანობის”, „გაკოტრების”, „საგადასახადო სისტემისა და გადასახადების შესახებ”, საგადასახადო კოდექსი, საბაჟო კოდექსი და სხვა.

გვინდა შევნიშნოთ, რომ კანონმა „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ”, მართალია, მოახდინა მცირე ბიზნესის ზომების დაზუსტება, მაგრამ ვერ უპასუხა დროის (1999–2001) მოთხოვნებს, რამაც განაპირობა ის, რომ 2002 წლის კანონით მოხდა მასში ცვლილებების შეტანა და განისაზღვრა მცირე ბიზნესის ზომა ახალი პარამეტრებით და სტატისტიკური სიდიდით; ამასთან, უნდა ითქვას, რომ აღნიშნულმა კანონმა ვერ შეძლო საკუთარი თავის რეალიზება მცირე ბიზნესის შემდგომი განვითარებისა და ხელშეწყობის თვალსაზრისით.

საქართველოს პარლამენტმა, ნაცვლად აღნიშნული კანონის სრულყოფისა, 2006 წელს გააუქმა ეს კანონი ისე, რომ სანაცვლოდ ჯერჯერობით ახალი კანონი არ მიუღიათ. კანონთან ერთად გაუქმდა მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი.

დღეისათვის, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არ არსებობს მცირე ბიზნესის მარეგულირებელი სპეციფიკური საკანონმდებლო ბაზა და მაკროეკონომიკური რეგულირების რაიმე ორგანო.

ეკონომიკურ ლიტერატურაში [59; 137; 139] განასხვავებენ შიდა და გარე ბიზნესგარემოს. მცირე ბიზნესის შიდა გარემო – ეს არის მისი სამეურნეო ორგანიზმი, რომელიც მოიცავს მის ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფს, ადგილმდებარეობის და საქმიანობის მიუხედავად. შიდა გარემოს ელემენტებია: რესურსები (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური); წარმოების ტექნოლოგია და ორგანიზაცია; საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია, წარმოება, გასაღების საქმიანობის შედეგები.

მცირე ბიზნესის გარე სამყაროს წარმოადგენს ბაზარი, რომელსაც სწავლობს მარკეტინგი. მცირე ბიზნესის ყველაზე სუსტი მხარე ისაა, რომ ფინანსური სიმცირის გამო (განსაკუთრებით „სიცოცხლის უზრუნველმყოფი“ მცირე ბიზნესი) ვერ ახერხებს საბაზო პირობების ანალიზს, ბაზარზე საქონლის დამკვიდრების გზებისა და მეთოდების დამუშავებას. იგი მოკლებულია საკუთარი ბიზნესის „ბაზარზე“ ინფორმაციას, ე.ი. მარკეტინგულ მომსახურებას. ამ მხრივ, რაიმე მნიშვნელოვანი მარეგულირებელი მექანიზმი საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს. თუმცა მარკეტინგის

ცალკეული საკითხები სამართლებრივად რეგულირებულია, მაგალითად: კანონები „რეკლამის“ შესახებ; „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“; რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ტერიტორიაზე მომხმარებელთა უფლებების დაცვის ეკონომიკურ, სამართლებრივ და სოციალურ საფუძვლებს.

ფულის მიმოქცევის კანონი, ეკონომიკის ეს ობიექტური ეკონომიკური კანონი მოქმედებს ნებისმიერ ეკონომიკურ საზოგადოებაში. საბაზრო ეკონომიკურ საზოგადოებაში ფული ბრუნავს ფინანსური ინსტიტუტების და, უპირველესად, ბანკების მეშვეობით. ისინი ქმნიან ფულის ბრუნვის საფუძველს, დაკავშირებული არიან ეკონომიკის ნებისმიერ სექტორთან, დარგთან. მათი მეშვეობით უზრუნველიყოფა ყველა ფორმის ბიზნესის (დაფინანსება) დაკრედიტება.

საბაზრო სისტემაზე გადასვლის შემდგომ, პრინციპულიდ შეიცვალა საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემა. საბანკო სისტემა მოიცავს ეროვნულ (ცენტრალურ) და კომერციულ ბანკებს.

საქართველოში, 2007 წლისათვის, ფუნქციონირებდა 19 კომერციული ბანკი და მათი 124 ფილიალი [155, გვ. 117]. საბანკო სისტემის ასეთი ფართო ქსელის არსებობა არ არის ცუდი, მაგრამ მათ მიერ მცირე ბიზნესზე და, განსაკუთრებით დამწყებ მეწარმეებზე დაწესებული შედავათები არ არის დამაკმაყოფილებელი. მათი წლიური

საპროცენტო განაკვეთი ეროვნულ გალუტაზე მოკლეფადიან და გრძელვადიან სესხებზე შესაბამისად შეადგენდა 22,5 და 19,7 %-ს, ხოლო უცხოურ გალუტაზე კი – 18,3 და 16,1%-ს [155, გვ. 119].

ეროვნული ბანკი, თავისი საკრედიტო ფულადი სისტემის მარეგულირებელი ფუნქციით, უზრუნველყოფს ეროვნული ვალუტის მსყიდველობითუნარიანობას, ხელს უწყობს ფასების სტაბილურობას, ეს უკანასკნელი კი არსებით გავლენას ახდენს ქვეყანაში ბიზნესის განვითარებაზე. საერთოდ, საბანკო სისტემის როლი მაღალია ბიზნესის და განსაკუთრებით კი მცირე ბიზნესის განვითარებაში.

მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის სამართლებრივი რეგულირება, სახელმწიფოს მხრიდან ანტიმონოპოლიური პოლიტიკის, მონოპოლიური საქმიანობის, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აკრძალვისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების სისტემის შემუშავება და პრაქტიკული რეალიზაცია. ეს იგივეა, რაც მცირე ბიზნესისათვის ჯანსაღი კონკურენციული გარემოს შექმნა. აღნიშნული მიმართულებით საქართველოში პირველი ნაბიჯები გადაიდგა 1992 წელს სახელმწიფო საბჭოს მიერ „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ“ დეკრეტის მიღებით; შემდგომ, 1996 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „მონოპოლიური საქმი-

ანობის და კონკურენციის „შესახებ”; აღნიშნული კანონით იკრძალება კონკურენციის შეზღუდვა და არაკეთილსინდი-სიერი კონკურენცია; ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილად განიხილება კანონი „რეკლამის შესა-ხებ”, მიღებული 1998 წელს, რომლის მიზანია რეკლამის სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, რაც, თა-ვისთავად, საერთოდ კონკურენციულ გარემოს ჩამოყალი-ბებაზე მოქმედებს. ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას მიე-კუთვნება ასევე სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა და სამოქალაქო კოდექსის და ცალ-კული კანონების ის ნაწილები, რომლებიც კონკურენციის სფეროს უკავშირდება.

დღეისათვის საქართველოში ანტიმონოპოლიური სამსა-ხერი თითქმის გაუქმებულია, რაც დიდ დაბრკოლებებს ქმნის კონკურენციის განვითარების გზაზე.

თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობაში დაზღვევის ინსტიტუტს აკისრია მნიშვნელოვანი ფუნქცია, განსაკუთ-რებით ბიზნესის სფეროში.

საქართველოში, 1990 წლიდან დღემდე, მიღებულია მრა-ვალი სადაზღვევო საქმიანობის მარეგულირებელი ზოგადი ნორმა, რომლებიც შეტანილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. ამასთან, მიღებულია სხვადასხვა კანონი: 1995 წლის 21 მარტის საქართველოს კანონი „სახელმწიფო სა-

გალდებულო დაზღვევის „შესატანის შესახებ”, 1997 წლის 15 აპრილის კანონი „სამედიცინო დაზღვევის შესახებ”, 1997 წლის 3 მაისის კანონი „დაზღვევის შესახებ”, 1997 წლის 26 ივნისის კანონი „ავტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ”, 1998 წლის 30 ოქტომბრის კანონი „სახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ”, 1999 წლის 3 თებერვლის კანონი „პარლამენტის წევრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევისა და საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ”.

მცირე ბიზნესმა თავისი ფუნქციონირებისას უნდა უზრუნველყოს ყველა იმ რისკების დაზღვევა, რომელიც კი მოსალოდნელია და რომლის დაზღვევაც შესაძლებელია. აღსანიშნავია, რომ ბიზნესში არის რისკების გარკვეული სახეობა, რომელთა დაზღვევა საქართველოში კანონით არ რეგულირდება ამ მიმართულებით, ზემოთ ჩამოთვლილი დაზღვევის კანონები შეიცავს ნაკლოვანებებს. საქართველომ აქ უნდა ისარგებლოს აშშ-სა და ევროპის ქვეყნების გამოცდილებით და ქვეყანაში უნდა შემუშავდეს ბიზნესის დაზღვევის სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა.

მცირე ბიზნესის (ფერმერული მეურნეობის) განვითარების რეგულირება უშუალოდ ემყარება სასოფლო-სამეურნეო მიწების, მიწის საკუთრებასა და გამოყენებასთან დაკავ-

შირებული ურთიერთობების სამართლებრივ რეგულირებას. ამ მიმართულებით საქართველოში საკანონმდებლო ბაზის შექმნას საფუძველი ჩატყარა 1992 წლის 18 იანვარს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის №48 დადგენილებით: „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ”. ამის შემდგომ მიღებულ იქნა რიგი კანონები: „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკუთრების შესახებ” (1996 22 მარტი); „სასოფლო-სამეურნეო მიწების იჯარის შესახებ” (1996 28 ივლისი); „მიწის რეგისტრაციის შესახებ” (1996 14 ნოემბერი); „ფიზიკური პირების და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებად გამოცხადების შესახებ” (1998 28 ოქტომბერი); „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ” (1997 2 ოქტომბერი); „მიწების მელიორაციის შესახებ” (1997 16 ოქტომბერი) და სხვა.

სახელმწიფოს მარეგულირებელი მექანიზმით მცირებიზნესს, ხელშეწყობის გარდა, უნდა დაეკისროს მოვალეობები, რაც გამოისახება გარემოს დაცვით. მეწარმისა და ბუნების ურთიერთობა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სამართლებრივად

რეგულირდება.

ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს კანონი „გარე-მოს დაცვის შესახებ” (1996 10 დეკემბერი). საქართველო მი-ერთებულია საერთაშორისო გარემოსდაცვით კონვენციებთან გლობალური, რეგიონული და ორმხრივი ხელშეკრულებებით.

კანონი გარემოს დაცვის შესახებ მოითხოვს: საქმიანო-ბის სუბიექტმა თავად აწარმოოს გარემოს დაბინძურების ინტეგრირებული კონტროლი და მონიტორინგი. იგი სამეცუ-ნეო ობიექტის მესაკუთრეს არ ათავისუფლებს იმ ვალდებუ-ლებათა შესრულებისგან, რომლებიც ყოფილ მესაკუთრეს პქონდა დაკისრებული.

საქართველოში დღეს ერთ-ერთ პრობლემას წარმოად-გენს ინვესტიციების მოზიდვა მცირე ბიზნესში, მცირე ბიზ-ნესის დაკრედიტება. ამის ხელშემწყობ მექანიზმად მსოფლი-ოში აღიარებულია ფასიანი ქაღალდების ბაზარი.

ფასიანი ქაღალდების მეშვეობით შესაძლებელია ფულა-დი კაპიტალის ან სხვა მატერიალური ფასეულობების ერთი სუბიექტიდან მეორეზე გადაცემა. მისი ეს თვისება ინვეს-ტორს კაპიტალის სწრაფი დაბანდებისა და მისი უკან სწრა-ფად დაბრუნების შესაძლებლობას აძლევს.

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგული-რების სამართლებრივი უზრუნველყოფა და ინსტიტუციური მოწყობა დაიწყო 1992 წლიდან საქართველოს ფინანსთა

სამინისტროს მიერ დამტკიცებული „საფინანსო ორგანოებში აქციებისა და ობლიგაციების რეგისტრაციისა და კონტროლის წესით”. ამით რეგულირდებოდა „შრომითი კოლექტივების” საწარმოთა და სააქციო საზოგადოებათა აქციები და ობლიგაციები.

1998 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ”, რომელიც მაღაზი შევიდა 1999 წლის 5 თებერვალს. ამ კანონით ფასიანი ქაღალდების ბაზარს აწესრიგებს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია. თუმცა, ქვეყანაში დღეისათვის ფასიანი ქაღალდების ბაზარი განუვითარებელია.

მცირე ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების არსებული მდგომარეობის გაცნობიდან ჩანს, რომ ქვეყანაში არსებული კანონების და კანონქვემდებარე აქტების სისტემა უფრო მეტად ზოგადი დებულებების მატარებლია და უშუალოდ მცირე ბიზნესს არ მოიცავს. მაგალითად, ბიზნესთან დაკავშირებულ სამართალდარღვევათა (მათ შორის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა) რეგულირება ხდება სისხლის სამართლის კოდექსით (სსკ) და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, სადაც გათვალისწინებულია ადმინისტრაციული გადაცდომები ბიზნესის სფეროში.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ნებისმიერი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ორგანიზებული საწარმოო საქმიანობათა სახელმწიფო რეგულირება ხდება მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციების (მსოფლიო ბანკი; ევროპავშირი; ევრაზიის ფონდი; ამერიკული „მსოფლიო კორპუსი”; ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო) თანადგომით და მხარდაჭერით. მათ მიერ მოწოდებული რეკომენდაციების ცხოვრებაში გატარებით.

მსოფლიო ბანკი, პროექტის – „ვაკეთოთ ბიზნესი” – ეგიდით, მსოფლიოს 145 სახელმწიფოში სწავლობს ქვეყნებში არსებულ მდგომარეობას ბიზნესში და ამ ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებათა საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს. ბიზნესში არსებული მდგომარეობა სპეციალური მეთოდებითა და მეთოდოლოგიით ფასდება. მასალების დამუშავების საფუძველზე დგება მოხსენება. მოხსენებაში – „ბიზნესი 2004 წელს – სამეწარმეო საქმიანობის რეგულირება” – მაჩვენებლები წარმოდგენილი იყო ხუთ განუფილებად: კომპანიის შექმნა, მუშების დაქირავება და გათავისუფლება, ხელშეკრულებების შესრულების უზრუნველყოფა, კრედიტის მიღება და კომპანიების ლიკვიდაცია. ამ ხუთი მაჩვენებლით გაიცემოდა რეკომენდაციები მსოფლიო ბანკის მიერ ბიზნესის რეგულირებაზე. სწორედ ამ რეკომენდაციებით შეძლო საქართველომ ბიზნესის (საწარმოების, ფირმების) რეგისტრაციისას მთელი 10 წლის

განმავლობაში არსებული მახინჯი ფორმის გამოსწორება. 2004 წლისათვის შემუშავდა საწარმოს რეგულირების გამარტივებული ფორმა – „ერთი ფანჯრის” პრინციპით მუშაობა, რაც გულისხმობს საწარმოს დაარსებისათვის საჭირო ინსტანციების ერთ ადმინისტრაციულ შენობაში თავმოყრას.

- რეგისტრაციის პროცესიდან გამოირიცხა სასამართლო;
- მოხდა რეგისტრაციის პროცესის კომპიუტერიზაცია;
- დაცული იქნა „დუმილით თანხმობის” პრინციპი კომპანიის რეგისტრაციის საქმეში, რაც იმაში მდგომარეობს, რომ, თუ კომპანიის რეგისტრაციისათვის წარდგენილი დოკუმენტაციის შემოწმებას ვერ ახერხებს რეგისტრაციის ორგანიზაცია 2 დღეში და პასუხს არ აძლევს კომპანიის, ფირმის შემქმნელს, მაშინ ფირმა ითვლება რეგისტრირებულად. დუმილით თანხმობის ეს მეთოდი პირველად იტალიაში გამოიყენეს.

მოხდა საქმეთა წარმოების სტანდარტიზაცია.

აღნიშნულის გამო საქართველო, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2004 წელს რეგისტრაციის ყველაზე სწრაფი პროცედურის მაჩვენებლის მიხედვით მოხვდა ქვეყნების 20%-ში [134, გვ. 30].

გარდა ზემოთ მოცემული ხუთი მაჩვენებლისა, მოხსენება „2005 წლის ბიზნესი” განიხილავს დამატებით კიდევ ორ

განყოფილებას – საკუთრების რეგისტრაცია და ინვესტორების დაცვა.

კომპანიის შექმნის პირობების გაუმჯობესება მსოფლიო ბანკის რეკომენდაციათა საფუძველზე, ხელს უწყობს საწარმოთა ლეგალიზებას, ხოლო ამ უკანასკნელს კი აქვს ორმხრივი ეფექტი. ერთი მხრივ, რამდენადაც ოფიციალურად რეგისტრირებულ საწარმოებს (მეწარმეებს) არ სჭირდებათ დამალვა, მათ შეუძლიათ თავისუფლად განვითარდნენ და მიაღწიონ ოპტიმალურ სიდიდეს. მსოფლიო გამოცდილება (პრაქტიკა) ცხადყოფს, რომ გადასახადების 1%-ით შემცირება იწვევს საწარმოთა რაოდენობის ზრდას 3,7%-ით, რეალიზაციის ზრდას 0,9%-ით და დასაქმებულთა ზრდას 1,1%-ით [134, გვ. 31].

აღნიშნული ხუთი მაჩვენებლის მიხედვით, ბიზნესის განვითარების შეფასების დეტერმინანტთა შედარებისთვის ჩვენ შერჩევით ავიღეთ ქვეყნები, რომლებიც ხასიათდებიან განვითარების მაღალი დონით (გერმანია, საფრანგეთი, იაპონია) და დაბალი დონით (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა), საშუალოზე დაბალი დონით (რუსეთი). აქ მოყვანილი მონაცემებით, ბიზნესის დაკრედიტების სისტემა უველაზე კარგად არის განვითარებული გერმანიასა და იაპონიაში. ხოლო დაბალგანვითარებულ ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო, აზერბაიჯანი, უკრაინა, სომხეთი, აქ კრე-

დიტზე ინფორმაციის მისაწვდომობის ინდექსი ნულის ტოლია.

ამდენად, მცირე ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი უმ-თავრესი ხელშემწყობი მექანიზმის – საკრედიტო სისტემის დარეგულირების მიზნით, სამთავრობო დონისძიებების გატა-რებაა აუცილებელი.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ცენტრის, “ფონდი დია საზოგადოება – საქართველოს” ეკონომიკური განვითარების პროგრამის (2006–2008) პრიორიტეტებია: მცი-რე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა; აქტიური მონაწი-ლეობის მიღება საქმიანობაში ყველა შესაძლო თანამედრო-ვე ეკონომიკური მეთოდებისა და მექანიზმების გამოყენებით, რომელიც მიმართულია უმუშევრობის დონის შესამცირებ-ლად. ამ პროგრამის ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი პროექტი აფხაზეთში.

ნავარაუდევია სხვადასხვა საფინანსო და ბიზნესინსტი-ტუტებს შორის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობისათ-ვის შესაფერისი მექანიზმების დამუშავება. ეს მექანიზმები უზრუნველყოფს საბაზო ბიზნესმენეჯმენტის უნარ-ჩვევების მიღებას მოსახლეობის მიერ, ასევე განაპირობებს ფინანსუ-რი რესურსების ხელმისაწვდომობას. გალის რაიონში, ბიზნეს-საქმიანობის გაძლიერების მიზნით, დადგენილია სპეციალუ-რი კონკურსების ჩატარება საუკეთესო ბიზნესპროექტების გამოსავლენად.

ევრაზიის ფონდი ჩამოყალიბდა 1992 წელს იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყო დემოკრატიული საბაზრო ინსტიტუტების განვითარებისათვის საბჭოთა კავშირის 12 დამოუკიდებელ სახელმწიფოში, მათ შორის საქართველოში, ფონდი თავის საქმიანობას ახორციელებს საოფისე ქსელით, ერთ-ერთი ასეთი ოფისი გახსნილია ქ. თბილისში. თავისი პროგრამის განხორციელების ძირითად საშუალებას წარმოადგენს მცირე გრანტები. ამ დროისათვის ფონდი ახორციელებს მთელ რიგ ისეთ დონისძიებებს, როგორიცაა „დახმარების (სესხების) პროგრამა მცირე ბიზნესისათვის“ და ა.შ.

ამდენად, საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების არსებული მდგომარეობის შესწავლიდან ჩანს, რომ ქვეყანაში იგრძნობა მცირე ბიზნესის სამართლებრივი ვაკუუმი, სახელმწიფო მხარდამჭერი ორგანიზაციების არარსებობა; ანალიზიდან ჩანს, რომ საჭიროა, ქვეყნის მცირე ბიზნესის სტრუქტურის სრულყოფა ეკონომიკური საქმიანობისა და რეგიონების მიხედვით. საჭიროა გატარდეს ისეთი სამართლებრივი, ადმინისტრაციული და ეკონომიკური ხასიათის დონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს მცირე ბიზნესის განვითარებასა და ლეგალიზებას.

### თავი III. მცირე ბიზნესის მაპროეკტობური

**რეგულირების მექანიზმის თეორიული მოდელი  
და მისი პრაქტიკული რეალიზაციის ძირითადი  
მიმართულებები და გზები საქართველოში**

**§ 3.1. მცირე ბიზნესის ბაზითარების  
მაპროგრნომიკური რეგულირების მექანიზმის  
თეორიული მოდელი**

მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონიმიკური რეგულირების მექანიზმი რთული სისტემაა. მისი დანიშნულებაა ქვეყნის ეკონომიკაში მცირე ბიზნესის უპირატესობათა რეალიზაციის უზრუნველყოფა და მისი ოპტიმალური განვითარების ხელშეწყობა.

მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმის სისტემის ჩამოყალიბების მიზანს წარმოადგენს საბაზრო მექანიზმის მაკროეკონომიკური თუ მიკროეკონომიკური ბუნების მატარებელი იმ ნეგატიური თვისებების ნიველირება, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს მცირე ბიზნესის განვითარებაზე.

მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი – ეს არის ერთიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მცირე ბიზნესის განვითარებას კონკურენციულ გარემოში. მან ხელი უნდა შეუწყოს მცირე ბიზნესის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო გარე-

მოს შექმნას და ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში მისთვის განკუთვნილი აუცილებელი ადგილის დამკვიდრებას.

მცირე ბიზნესის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების სახელმწიფოები მოწოდებული არიან, მრავალმხრივი დახმარება აღმოუჩინონ მას. ეს განპირობებულია იმით, რომ მისი განვითარების მინდობა საბაზრო ძალებისადმი საჭირო შედეგს არ მოგვცემს. აუცილებელია მცირე ბიზნესის მხარდაჭერა ფინანსური სახსრების მოზიდვაში, ინფორმაციულ უზრუნველყოფაში, მარკეტინგულ მომსახურებაში, კვალიფიციური კადრების მომზადებაში და სხვა. იგი მხარდაჭერას საჭიროებს აგრეთვე იმიტომ, რომ აქ დაბალია პროდუქციის დივერსიფიკაციის დონე, ფლობს მცირე საწესდებო კაპიტალს და რესურსებს. დაბალია მენეჯმენტის დონე, მკვეთრად რეაგირებს საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებაზე და ა.შ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მცირე ბიზნესის განვითარებას პოსტკომუნისტური ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. აქ იგი გვევლინება, როგორც უმუშევრობის აღმოფხვრის და მეწარმეობრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. მაგრამ ამ ქვეყნებში მის განვითარებას კიდევ უფრო მეტი წინააღმდეგობები ელობება, ვიდრე სხვა ქვეყნებში, რასაც განაპირობებს: კორუფციის მაღალი დონე, ეკონომიკური რეფორმის

დროს დაშვებული შეცდომები, საერთოდ, ტრანსფორმაციის სიძნელეები და სხვა.

ამდენად, მცირე ბიზნესის მხარდაჭერის გაძლიერება სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანები ნაწილი უნდა იყოს, რისი განხორციელებაც მცირე ბიზნესის განვითარების სახელმწიფო რეგულირებითა შესაძლებელი, განსაკუთრებით კი მაკროეკონომიკური რეგულირებით.

მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირება გულისხმობს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და მაკონტროლებელ ღონისძიებათა და მათი განხორციელების მეთოდებისა და ინსტრუმენტების სისტემას, მას ახორციელებენ სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოები ამ სფეროს მხარდაჭერისა და სრულყოფის მიზნით, რომლის საბოლოო ამოცანა მთელი ეკონომიკის სტაბილიზაცია და მისი შემდგომი განვითარებაა.


მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი უნდა მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს: საკანონმდებლო უზრუნველყოფას; რეგულირების ინდიკატორთა (მაჩვენებელთა) სისტემას; რეგულირების ღონისძიებათა სისტემას; რეგულირების მეთოდებისა და ინსტრუმენტების ერთობლიობას; მცირე ბიზნესის მხარდამჭერ მაკროეკონომიკურ ინფრასტრუქტურას; მცირე ბიზნესში სა-

ხელმწიფო მეწარმეობას; მცირე ბიზნესისადმი საერთაშორისო დახმარებების მიღების რეგულირებას; მცირე ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფას რისკის გათვალისწინებით; რეგულირების კონტროლს; რეგულირების ორგანოებს (სქემა 1).

**საკანონმდებლო და ნორმატიული უზრუნველყოფა** გულისხმობს იმ კანონებისა და ნორმატიული აქტების მიღებას, რომელიც განსაზღვრავს მცირე ბიზნესის სტატუსს ეკონომიკაში და ხელს უწყობს მის შემდგომ განვითარებას (კონსტიტუცია, სამოქალაქო კოდექსი, სისხლის სამართლის კოდექსი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, საგადასახადო და საბაჟო კოდექსი, კანონები: „მეწარმეობის შესახებ”, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ”, „დაზღვევის შესახებ”, „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ”, „რეკლამის შესახებ”, „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ”, „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ”, „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ”, „ადგილობრივი საქმიანობისა და მოსაკრებლების შესახებ” და სხვ).

**რეგულირების ინდიკატორთა სისტემა** მოიცავს იმ მაჩვენებელთა ერთობლიობას, რომელთა ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი იქნება დავადგინოთ მცირე ბიზნესში არსებული საერთო მდგომარეობა, ასევე შევაფასოთ და გამოვლინოთ რეგულირების პროცესში წარმოშობილი სიძნე-

ლეგბი და ნაკლოვანებები. ასეთი მაჩვენებლებია, მაგალითად: მცირე ბიზნესის ხვედრითი წილი მთლიან ეროვნულ



პროდუქტსა და მთლიან პროდუქტში, გამოშვებული პროდუქტის მოცულობა, ძირითადი კაპიტალის მოცულობა, საშუალო ხელფასის სიდიდე; რეალიზებული პროდუქტის მოცულობა; მცირე ბიზნესის საწარმოთა „სიმჭიდროვე”, მცირე ბიზნესის დარგობრივი სტრუქტურა, მცირე ბიზნესის მხარდამჭერი ინფრასტრუქტურის სტრუქტურა და ა.შ.

რეგულირების დონისძიებათა სისტემა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მცირე ბიზნესის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრას და მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას, ასევე იმ დონისძიებათა ერთობლიობას, რომელთა განხორციელებაც აუცილებელია დასახული მიზნის მისაღწევად.

რეგულირების დონისძიებათა სისტემის შინაარსი განისაზღვრება ქვეყნის მთელი ეკონომიკის და ასევე მცირე ბიზნესის განვითარების დონით. პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის, მათი განვითარების პირველ ეტაპზე, სტრატეგიული მიმართულება არის მცირე ბიზნესის ფორმირება, იმ მაკროეკონომიკური კლიმატის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მცირე ბიზნესის ჩამოყალიბებას და ა.შ.

მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების ინსტრუმენტებიდან შესაძლებელია გამოვყოთ ადმინისტრაციული და ეკონომიკური ხასიათის ინსტრუმენტები. პირველს მიეკუთვნება: ლიცენზირება, რეგისტრაცია, ანტიმონოპოლიური აკრძალვები, კოტირება, ბუნებისდაცვი-

თი ხასიათის აკრძალვები და სხვა. ადმინისტრაციული ხა-  
შუალებები ეყრდნობა სახელმწიფო ხელისუფლების ძალებს  
და არაა დაკავშირებული მატერიალურ მოტივაციებთან.  
ისინი განსაზღვრავენ არა ეკონომიკურ პირობებს, არამედ  
მის გარე სამყაროს აყალიბებენ ეფექტიანი ფუნქციონირები-  
სა და განვითარებისათვის. ნორმალურად ფუნქციონირებადი  
საბაზრო ეკონომიკის პირობებში ადმინისტრაციული ხასია-  
თის მეთოდები არც ისე მნიშვნელოვანია. არაბუნებრივი სა-  
ბაზრო მექანიზმის პირობებში ისინი მიზანშეწონილნი გახ-  
დებიან იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკური საშუალე-  
ბები და სამეწარმეო მოტივაცია არ იქნება საკმარისი. მათი  
ფართო გამოყენება არღვევს ეკონომიკური მექანიზმის ნორ-  
მალურ განვითარებას. ეკონომიკური ხასიათის ინსტრუმენ-  
ტებიდან აღსანიშნავია: პროგნოზები, გეგმები, პროგრამები,  
სტანდარტები, ნორმატივები, ტარიფები, სახელმწიფო ინვეს-  
ტიციები, სააღრიცხვო განაკვეთი, სარეზერვო განაკვეთი,  
საკრედიტო შეღავათები, საგადასახადო განაკვეთები, საბა-  
ჟო გადასახდელები, საგადასახადო შეღავათები, სახელმ-  
წიფო შესყიდვები, სუბსიდიები, კომპენსაციები, ფულად-საკ-  
რედიტო, ფისკალური, მონეტარული ინსტრუმენტები და სხვ.

ეკონომიკური რეგულირების მეთოდი ითვალისწინებს  
არა პირდაპირ დირექტიულ გაფრთხილებებს, არამედ მოქ-  
მედებს დასარეგულირებელი ობიექტის ინტერესებიდან გა-

მომდინარე. მცირე ბიზნესის განვითარების ეკონომიკური რეგულირება შესაძლებელია განხორციელდეს პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით.

ეკონომიკური რეგულირების პირდაპირი მეთოდების მიზანს წარმოადგენს მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, რომელიც უნდა განხორციელდეს: სახელმწიფო სუბსიდირებით; სახელმწიფო პროგრამების განხორციელებით; სახელმწიფო მეწარმოების განვითარებით.

მცირე ბიზნესის განვითარების სახელმწიფო მაკროეკონომიკური რეგულირების ამოცანის სირთულიდან და მასშტაბებიდან გამომდინარე, შეიძლება წარმოიშვას მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც მთლიანად დარგის, რეგიონის ანდა ეკონომიკის მთელ სფეროს მოიცავს. ასე მაგალითად, რომელიმე რაიონის მცირე ბიზნესის გამოცოცხლება, რომელიც მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, ითხოვს კაპიტალის დაბანდებას მის ინფრასტრუქტურაზე, მასტიმულირებელი ღონისძიებების გატარებას მხარდაჭერისა და ახალი დარგების განვითარებისათვის, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი ინვესტიციები, სამუშაო ძალა და ა.შ. მაგრამ ასეთ დროს საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ ამან, შეიძლება, სამუშაო ძალებისა და კაპიტალის მეზობელი რეგიონებიდან შესაძლო გადმოდინება და მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება გამოიწვიოს.

ასეთი ხასიათის ნაკლოვანებათა თავიდან არიდების აუცილებლობა ითხოვს ერთიანი კომპლექსური ეკონომიკური პროგრამების შექმნას მცირე ბიზნესის განვითარების მიზნით. ეს პროგრამები უზრუნველყოფილი უნდა იყოს მიზნობრივი დაფინანსებით.

**მცირე ბიზნესის მხარდაჭერი მაკროინფრასტრუქტურა** მოიცავს მთელი ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებად ისეთ ორგანიზაციებს, როგორიცაა: მცირე ბიზნესის განვითარების სააგენტოები და ცენტრები, სადაზღვევო კომპანიები და ფონდები, ლიზინგური კომპანიები, ბიზნესინკუბატორები, ტექნოპარკები, საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრები, მცირე ბიზნესის მხარდაჭერი ცენტრალური ფონდი და სხვა.

მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების ერთ-ერთი ელემენტია **სახელმწიფო მეწარმეობა** მცირე ბიზნესის სფეროში. იგი გულისხმობს მცირე საწარმოთა ფუნქციონირებას უშუალოდ სახელმწიფო საკუთრებაში. აქ სახელმწიფო მხარდაჭერა მცირე ბიზნესისადმი იმაში გამოიხატება, რომ სახელმწიფო საკუთრებაში იმყოფება ისეთი საწარმოები, რომელთა ფუნქციონირება განვითარების იმ ეტაპისათვის კერძო სექტორში შეუძლებელია.

ხშირ შემთხვევაში საბაზო მექანიზმის უუნარობა ან მისი უარყოფითი ეფექტები რეალურად განაპირობებს ეკო-

ნომიკაში სახელმწიფოს პირდაპირ ჩარევას. ეკონომიკური მეთოდებით სახელმწიფოს მხრიდან მცირე ბიზნესის განვითარების პირდაპირი ჩარევის მნიშვნელოვანი ელემენტების რიცხვს განეკუთვნება სახელმწიფო მეწარმეობა, მცირე ბიზნესის საწარმოების არსებობა სახელმწიფო სექტორში და სახელმწიფო საწარმოების მონაწილეობა საქონლისა და მომსახურების წარმოებასა და მიწოდებაში.

ასეთ დროს სახელმწიფო გამოდის, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი (ეკონომიკის სუბიექტი), რეალური განმსაზღვრელი საერთო ეროვნული ინტერესებისა, რომელიც გულისხმობს შემდეგს: მცირე ბიზნესის საწარმოების სტრუქტურულ გადანაწილებას ქვეყნის მასშტაბით; დარგობრივი და ტერიტორიული დისპროპორციების შემსუბუქებას; მცირე საწარმოების, ფირმების უახლესი ტექნოლოგიებით სტიმულირებას; მცირე ბიზნესის ეფექტიანობის ამაღლებას.

მცირე ბიზნესის სფეროში განსახელმწიფოებრიობის მასშტაბები დამოკიდებულია კონკრეტულ ეკონომიკურ და ისტორიულ პირობებზე, საზოგადოების მდგომარეობასა და სხვა ფაქტორებზე. იქ, სადაც სახელმწიფო სექტორი წარმოდგენილია საკმაოდ ვრცლად, პრივატიზაცია, ნაციონალიზაცია (რეპრივატიზაცია) განიხილება, როგორც საკუთრების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების სხვადასხვა დანიშნულების ფაქტორები და მონაცვლეობს, გამომდინარე შექ-

მნილი კონკრეტული პირობებიდან. გარდამავალ პერიოდში პრივატიზაცია ემსახურება ახალი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ეკონომიკური ბაზის ფორმირებას, კერძო მესაკუთრეთა სისტემის ჩამოყალიბებას მნიშვნელოვანწილად ადმინისტრაციული საშუალებებით. ნაციონალიზაცია, ე.ო. სამუშაოების კერძო საკუთრებიდან გადასვლა სახელმწიფოებრივში, წარმოადგენს საბაზო ეკონომიკის გლობალური გამყარების და სტაბილიზაციის მძლავრ ინსტრუმენტს მისი განვითარების კრიტიკულ პერიოდში (კრიზისის დროს, ომის შემდგომ პერიოდში და. ა.შ.). მცირე ბიზნესში სახელმწიფოს წილი არაა მუდმივი, იგი შეიძლება დროებით შემცირდეს ანდა გადიდეს.

ამდენად, მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმა უნდა უზრუნველყოს მცირე საწარმოების პრივატიზება-ნაციონალიზაციის რაციონალური შეთანაწყობა ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურაში.

მცირე ბიზნესისადმი საერთაშორისო დახმარების მიღების რეგულირება ნიშნავს სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო დახმარების მოზიდვას და მისი მცირე ბიზნესში ეფექტიანი გამოყენებისათვის ხელის შეწყობას, რაც უნდა განხორციელდეს იმ ორგანოს მიერ, რომელიც უშუალოდ არეგულირებს მცირე ბიზნესს.

**რეგულირების კონტროლი** გულისხმობს მცირე ბიზ-

ნესის რეგულირების პროცესში, შესაბამის ინდიკატორთა ანალიზის საფუძველზე, არსებული ნაკლოვანებების გამოვლენას და მათი აღმოფხვრის გზების დასახვას ან კორექტივების შეტანას რეგულირების მექანიზმში.

**მცირე ბიზნესის უსაფრთხოება რისკის გათვალისწინებით.** ამ მიმართულებით უნდა გატარდეს ღონისძიებანი, რაც შეამცირებს მცირე ბიზნესის როგორც ეკონომიკურ, ისე სხვა სახის რისკებს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში რისკი ბიზნესის ძირითადი ელემენტია, განსაკუთრებით კი მცირე ბიზნესისათვის.

რისკის ძირითადი სახეებია: სამეწარმეო კომერციული, ფინანსური (საკრედიტო), საინვესტიციო და ბაზრის.

სამეწარმეო საქმიანობაში რისკისგან დანაკარგები იყოფა: მატერიალურ, შრომით, ფინანსურ, დროის და სპეციალური სახის დანაკარგებად.

განასხვავებენ წმინდა სახის რისკებს, როცა მოსალოდნელია მხოლოდ ზარალი და სპეციულაციური სახის რისკებს – როცა მოსალოდნელია როგორც მოგება, ისე ზარალი. რისკის უარყოფითი შედეგების მინიმიზაცია ხდება რისკის მართვის, რისკზე კონტროლისა და რისკის ფინანსირების მეთოდით.

ამასთან, რისკის უარყოფითი შედეგების შემცირებას ხელს უწყობს ქვეყანაში არსებული სადაზღვევო სისტემა,

სადაც ხდება დაზღვევადი რისკების დაზღვევა. გარდა დაზღვევადი რისკებისა, არსებობს არადაზღვევადი რისკები, როგორიცაა: საბაზრო, პოლიტიკური და სხვა.

მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების ორგანოები მოიცავს სახელმწიფო ხელისუფლების სამივე შტოს – როგორც საკანონმდებლოს, ისე აღმასრულებელს და სასამართლოს.

მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი წარმოადგენს ლოგიკურად შეკრულ მთლიან სისტემას, რომლის ელემენტებს შორის არსებობს მჭიდრო დინამიკური ურთიერთკავშირი.

ეკონომიკურ ლიტერატურაში მცირე ბიზნესის განვითარების სამი მოდელია ცნობილი: მცირე ბიზნესი, რომელიც არ ითვალისწინებს მცირე საწარმოთა მასშტაბების (ზომის) გადიდებას. მცირე ბიზნესის ამ ტიპის განვითარება მიუთითებს მცირე საწარმოების (ფირმების) რიცხოვნობის ზრდაზე; მცირე ბიზნესი, რომელიც ითვალისწინებს შემდგომ მცირე საწარმოთა საქმიანობის მასშტაბების (ზომების) ზრდას, მაგრამ ნელ-ნელა, ნელი ტემპებით, ისე, რომ იგი თანდათანობით გადის მცირე ბიზნესის არეალიდან საშუალო ან მსხვილ ბიზნესში. მცირე ბიზნესი, რომელიც ითვალისწინებს მცირე საწარმოთა სწრაფ განვითარებას, უახლესი ტექნოლოგიების უმოკლეს ვადებში ათვისებას. იგი

შეიცავს მაღალ რისკს და დროის უმოკლეს გადებში გადა-  
დის მცირე ბიზნესიდან მსხვილში.

ქვეყნის ეკონომიკური თუ პოლიტიკური მდგომარეო-  
ბიდან გამომდინარე, ასევე ქვეყნის ეკონომიკის დონისა და  
მისი საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების არსებული სუ-  
რათის გათვალისწინებით, უნდა მოხდეს მცირე ბიზნესის  
განვითარების ზემოთ მოყვანილი სამივე მოდელის ხელშეწ-  
ყობა და ამის გათვალისწინებით მარეგულირებელი მაკრო-  
ეკონომიკური მექანიზმის ჩამოყალიბება.

ჩვენ მცირე ბიზნესს განვიხილავთ დინამიკაში. ამდე-  
ნად, შემოთავაზებული მოდელი, მისი ელემენტები (ქვესის-  
ტემები) ექვემდებარება მუდმივ ცვლილებას, შევსებასა და  
დახვეწას.

აღნიშნული პრობლემები დღესდღეობით განსაკუთრე-  
ბით აქტუალურია პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის, რად-  
გან ამ სახელმწიფოებში ჯერ კიდევ გრძელდება საბაზრო  
ეკონომიკის ჩამოყალიბება. მცირე ბიზნესი, რომელიც წარ-  
მოადგენს კონკურენციის განვითარების, მსხვილი ბიზნესის  
ჩამოყალიბების, სტაბილურობის, ინოვაციების და ა.შ. პირ-  
ველ წყაროს, გვევლინება, როგორც აღნიშნულ ქვეყნებში  
მიმდინარე ექსტრემალური სიტუაციებიდან თავის დაღწევის  
ერთ-ერთი მძლავრი საშუალება.

ამდენად, ამ ქვეყნებში მცირე ბიზნესის განვითარების

ხელშემწყობი მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმის ფორმირება და მისი გამართული ფუნქციონირება საბაზრო ეკონომიკის სრულყოფის აუცილებელი პირობაა.

### §. 3.2. მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მიზითადი მიმართულებები და გზები საქართველოში

საქართველოში არსებობს მცირე ბიზნესის ფართოდ განვითარების პოტენციალი. ჩვენთან 2007 წლის მონაცემებით, ყოველ მცირე საწარმოზე მოდის 236 მცხოვრები, ხოლო ყოველ 1000 მცხოვრებზე 4 მცირე საწარმო, მაშინ, როდესაც საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, ნორმალური კონკურენციული გარემოსთვის მცირე საწარმოთა სიმჭიდროვის ინდიკატორად მიღებულია 30–50 მცხოვრებზე ერთი მცირე საწარმო, ანუ, რაც იგივეა, 30–20 მცირე საწარმო ყოველ 1000 მცხოვრებზე.

განვითარებულ ქვეყნებში მცირე საწარმოთა რაოდენობა მნიშვნელოვნად ჭარბობს სიმჭიდროვის „პრიტიკულ“ დონეს, ანუ, მაგალითად, აშშ-ში ყოველ 1000 მცხოვრებზე მოდის 74 მცირე საწარმო. მცირე საწარმოთა მაღალი კონცენტრაციით ხასიათდება იტალია – 68 და იაპონია – 49 ერთეული 1000 მცხოვრებზე [117, გვ. 346], ე.ი. ყოველ 1000 მცხოვრებზე საქართველოში მცირე საწარმოთა სიმჭიდროვე

18-ჯერ ნაკლებია ვიდრე აშშ-ში, 17-ჯერ ნაკლები, ვიდრე იტალიაში და 12-ჯერ ნაკლები, ვიდრე იაპონიაში.

ჩვენ მიერ შემოთავაზებულ მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმში პირველი ბლოკი წარმოადგენს რეგულირების სამართლებრივ უზრუნველყოფას.

მიგვაჩნია, რომ დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისათვის უნდა მომზადდეს კანონთა შემდეგი პაკეტი:

1. საქართველოს კანონი „მცირე ბიზნესის შესახებ”;
2. საქართველოს კანონი „მცირე საწარმოთა ურთიერთგარანტიების საზოგადოებათა შესახებ”;
3. საქართველოს კანონი „მცირე საწარმოთა ინვაციური საქმიანობის შესახებ”;
4. საქართველოს კანონი „მცირე ბიზნესის სახელშეკრულებო ურთიერთობათა რეგულირების შესახებ”;
5. საქართველოს კანონი „მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ”.

საქართველოს კანონში „მცირე ბიზნესის შესახებ” უნდა განისაზღვროს მცირე ბიზნესის არსი, მცირე საწარმოს შეფასების კრიტერიუმები და ზომა; მცირე ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები; მცირე საწარმოთა რეგისტრაციის პირობები, ვადა, წესი, საკუთრების ფორმები,

უარი საწარმოს რეგისტრაციაზე და ა.შ.; მცირე საწარმოთა ბუღალტრული ანგარიშების გამარტივებული წესები; მცირე საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა; მცირე საწარმოს გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა ნატურით, ლიკვიდურობა; ინფორმაციის გამოქვეყნება და კონფიდენციალურობა; ექსპერტების დანიშვნა.

მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი სიცოცხლისუნარიანი ვერ იქნება, თუ, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრული არ იქნება მცირე ბიზნესის განვითარების შეფასების კრიტერიუმები და მცირე საწარმოს ზომები. ამ დროს უნდა ვიხელდებანელოთ არა რომელიმე სხვა ქვეყნის მონაცემებით, არამედ აუცილებელია, გავითვალისწინოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა.

ნაშრომის მეორე თავში ჩატარებული კვლევის საფუძველზე მიგვაჩნია, რომ საქართველოსათვის მცირე ბიზნესის განვითარების შეფასების კრიტერიუმად მიღებულ იქნეს: რეალიზებული პროდუქციის წლიური მოცულობა (ბრუნვა); დასაქმებულთა რაოდენობა; მცირე საწარმოთა საერთო რაოდენობა; მცხოვრებთა რაოდენობა ერთ მცირე საწარმოზე; 1000 მცხოვრებზე მცირე საწარმოთა რაოდენობა; მცირე ბიზნესის ხვედრითი წილი: მშპ-ში, დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში, საწარმოთა საერთო რაოდენობაში; მცირე ბიზნესის საწარმოებში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელ-

ფასი.

რაც შეეხება საწარმოს მცირე საწარმოზე მიკუთვნების კრიტერიუმებს, უნდა გამოვიდეთ ქვეყნის ეკონომიკის მას-შტაბებიდან და მისი განვითარების დონიდან. კერძოდ, უნდა გავიანგარიშოთ ერთ საწარმოზე მოსულ მაჩვენებელთა (ჩვენ მიერ შემოთავაზებულ კრიტერიუმთა მიხედვით) სიდიდეები. საშუალო სიდიდეზე ნაკლები სიდიდის მქონე საწარმოები უნდა მივაკუთვნოთ მცირე საწარმოებს, საშუალო მაჩვე-ნებლების მქონე საწარმოები – საშუალო საწარმოებს, ხო-ლო საშუალოზე მაღალი მაჩვენებლების მქონე საწარმოები – მსხვილ საწარმოებს.

მეორე თავში ჩატარებული ანალიზიდან გამომდინარე და განჭვრეტადი პერსპექტივის გათვალისწინებით, საქარ-თველოში მცირე საწარმოებს უნდა მივაკუთვნოთ საწარმო-ები, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 10 კაცს, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვა – 150 ათას ლარს.

საქართველოში არსებული მდგომარეობიდან გამომდი-ნარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია „მცირე ბიზნესის შესა-ხებ” კანონით, მცირე საწარმოთა ორგანიზაციულ-სამარ-თლებრივ ფორმად (საქ. კანონში „მეწარმეთა შესახებ” გან-საზღვრული ფორმებიდან) განისაზღვროს: ინდივიდუალური საწარმო; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) და კოოპერატივი.

რაც შეეხება სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგა-

დოებას, საძქიო საზოგადოებას და კომანდიტურ საზოგა-  
დოებას, ამ ფორმების გამოყენება მცირე ბიზნესში, მით  
უმეტეს, ისეთი მცირე ეკონომიკის შქონე ქვეყნისათვის, რო-  
გორიც საქართველოა, შეუძლებელია.

კანონით „მცირე საწარმოთა ურთიერთგარანტიების სა-  
ზოგადოებათა შესახებ”, უნდა განისაზღვროს „კრედიტორ-  
თა კავშირის” ფუნქციები. იგი იფუნქციონირებს მთავრობის  
კონტროლისა და გარანტიის ქვეშ. იგი უნდა მოემსახუროს  
მცირე საწარმოებს: გასცეს სესხები ნებისმიერი საქმიანო-  
ბისათვის როგორც წარმოების განვითარების, ისე კავშირის  
წევრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი შვილების  
სწავლა-განათლებისათვის. მან უნდა განახორციელოს კრე-  
დიტორთა კავშირის წევრთა ოჯახების კონსულტაციები  
ფინანსურ საკითხებზე; კონსულტაციები და ფინანსური და-  
ხმარებები კავშირის წევრებზე, რომლებიც აღმოჩნდებიან  
მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში; კრედიტებზე პროცენტს  
დააწესდს მცირე ბიზნესის განვითარების აღმინისტრაცია,  
მთავრობასთან შეთანხმებით. კრედიტზე პროცენტის მაქსი-  
მალური განაკვეთი ფულადი სესხის გაცემისას არ უნდა  
აღემატებოდეს 4%-ს. კრედიტორთა კავშირის ფონდში უნდა  
ინახებოდეს წევრების მიერ შემოტანილი მთელი ფულადი  
სახსრები, გარდა იმისა, რაც კრედიტის სახით გაიცემა.  
კრედიტორთა კავშირის ყველა წევრი უნდა იყოს თანას-  
წორი, მათ მიერ შემოტანილი წილის სიდიდის მიუხდავად.

სესხი და კრედიტები შეუძლია მიიღოს მხოლოდ მისმა წევრებმა.

კავშირში შეტანილ ფულზე დიგიდენდი არ გაიცემა, ამის სანაცვლოდ, მისი დაშლისას თითოეულმა წევრმა უნდა მიიღოს ადრე მათ მიერ ჩადებული მთლიანი თანხა. გარდა ფულადი საშუალებებისა, შეიძლება ჩაიღოს ინვენტარი, მოწყობილობები, უახლესი ტექნოლოგია (რომელსაც შეაფასებს მბა მთავრობასთან შეთანხმებით), რომლთა გამოყენება ან არენდით, ლიზინგით გაცემა მოხდება „ლიზინგისა“ და „არენდის“ განაკვეთებთან შედარებით შედავათიანი განაკვეთით.

კრედიტორთა კავშირს ხელმძღვანელობს დირექტორთა საბჭო. იგი შედგება კავშირის წევრებისაგან.

ამავე კანონით უნდა განისაზღვროს მცირე ბიზნესის რისკების შესაძლო დაზღვევა რისკების სადაზღვევო კომპანიაზე გადანაწილების შესაძლებლობით.

საქართველოს კანონში „მცირე საწარმოთა ინოვაციური საქმიანობის შესახებ“, უნდა განისაზღვროს ის სფეროები, რომელიც მიეკუთვნება ინოვაციურ საქმიანობას, კერძოდ, მეცნიერება, საცდელი საკონსტრუქტორო საქმიანობა, გამომგონებლობა, განათლება და სხვ.

ამასთან, კანონით უნდა განისაზღვროს სპეციალური ნორმები და ხელშემწყობი ღონისძიებები ინოვაციური საქმია-

ნობის წახალისებისათვის მცირე ბიზნესში.

კანონში უნდა განისაზღვროს ტექნოპარკების, ვენჩურული კომპანიების საქმიანობა, სახელმწიფო საწარმოების ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მხრიდან ინვესტორთა წამახალისებელი საქმიანობა ინოვაციურ მცირე ბიზნესში.

კანონში უნდა განისაზღვროს ვენჩურული საქმიანობა. ვენჩურულ (სარისკო) საქმიანობას ეწევა ვენჩურული კომპანიები. ეს არის ინოვაციური კომპანიები, რომლებიც მზად არიან, გაიღონ ვენჩურული კაპიტალი.

ვენჩურული საქმიანობის ძირითად სუბიექტებს წარმოადგენენ: მეცნიერ-მუშაკები, რომელთაც გააჩნიათ იდეა, ინოვაციური პროექტი, მაგრამ არ გააჩნიათ დაფინანსების წყაროები; ინვესტორები, რომლებსაც აქვთ კაპიტალი და უნდათ მიიღონ შემოსავალი, რომელიც საბანკო დეპოზიტების განაკვეთზე მაღალია; მენეჯერები, რომლებიც ორგანიზებას უკეთებენ ვენჩურულ ფონდს.

კანონში უნდა განისაზღვროს ვენჩურული ფონდის საქმიანობის ძირითადი სახეები, ვენჩურული საქმიანობის ძირითადი სუბიექტები, ასევე მცირე ინოვაციური ფირმები. ისინი წარმოადგენენ დამაკავშირებელ რგოლს სამეცნიერო სფეროსა და წარმოებას შორის. სამეცნიერო სფეროსათვის მცირე ინოვაციური საწარმოები (მის) გამოდიან როგორც მეცნიერული პროდუქციის მომხმარებელი და როგორც მეც-

ნიერული შედეგების კომერციალიზაციის საშუალება. წარმოების სფეროსთვის მცირე ინოვაციური საწარმოები გამოდის, როგორც ერთ-ერთი ძირითადი წყარო, რომელიც ამაღლებს კონკურენტუნარიანობას და წარმოების მოდერნიზაციას.

კანონში უნდა განისაზღვროს მცირე ინოვაციური ფირმების ტიპები. კანონში ცალკე უნდა განისაზღვროს „მეცნიერულ-ტექნიკური პარკის“ ფუნქციები, რომელიც არის სპეციალური ორგანიზებულად გამოყოფილი ტერიტორია, სადაც განსაკუთრებული შედავათიანი რეჟიმია შექმნილი ინოვაციური მეწარმეობის ფუნქციონირებისათვის.

მოცემულ ტერიტორიაზე თავმოყრილია მცირე ბიზნესის მხარდამჭერი ინფრასტრუქტურა, მეცნიერული ინფრასტრუქტურა, ინოვაციური კომპანიები, რომლებიც ერთად იყენებენ ინფრასტრუქტურის ობიექტებს. პარკი, როგორც წესი, განაწილებულია ცალკეულ ფუნქციონალურ სექტორებად და ჰყავს ერთიანი მმართველობის ორგანო ტექნოპარკის ადმინისტრაციის სახით. ტექნოპარკის შექმნის ინიციატორები უნდა იყვნენ სახელმწიფო ორგანოები, უნივერსიტეტები ანდა სამეცნიერო ცენტრები; ტექნოპარკის შექმნაში ასევე შეუძლიათ ჩაერთონ მსხვილი კორპორაციები, საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები.

ტექნოპარკის სტატუსის მიკუთვნება (მინიჭება) ნებადარ-

თუდი აქვს სახელმწიფო მართვის ორგანოებს. ის შეიძლება შეიქმნას კანონმდებლობით შეუზღუდავი ნებისმიერი ფორმით როგორც კომერციულ, ისე არაკომერციულ საფუძველზე, როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთა მონაწილეობით, მათ შორის უცხოელის.

მეცნიერულ-ტექნიკური პარკის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს: საუკუთესო პირობების ფორმირება ინოვაციური საქმიანობის და მცირე ინოვაციური ფირმების განვითარებისათვის; მეცნიერულ-კვლევითი სამუშაოების წარმატებული კომერციალიზაციის და ახალგაზრდა მკვლევართა და მეცნიერთა ნაციონალურ საქმიანობაში მონაწილეობის სტიმულირება, მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ეფექტიანი გაცვლის ორგანიზება მსოფლიო ბაზარზე. ტექნოპარკი ახორციელებს შემდეგ ოპერაციებს: ქმნის აუცილებელ ინფრასტრუქტურას; ავითარებს და ასწავლის მეცნიერებატევადი პროდუქციის მენეჯმენტისა და მარკეტინგის ახალ მეთოდებს; ქმნის აუცილებელ ინფორმაციულ ფინანსურ რესურსებს, მცირე ინოვაციური ფირმების ფინანსურ და სხვა შედაგათებს; პარკში შემავალ მცირე ინოვაციურ კომპანიებს აძლევს დაბორატორიულ და საწარმოო ფართობს და მოწყობილობას; არჩევს ბიზნესპროექტებს; ახორციელებს პროდუქციის მარკეტინგს, მათ შორის მსოფლიო ბაზარზე.

მსოფლიოში ცნობილია მეცნიერულ-ტექნიკური პარკების რამდენიმე სახე:

- მეცნიერული, ანუ კვლევითი პარკი, რომელიც დაკავებულია მეცნიერული მუშაობის ეფექტიანი წარმართვისათვის (განხორციელებისათვის) პირობების შექმნით;
- ტექნოლოგიური პარკი – უზრუნველყოფს მცირე მეცნიერებატევადი საწარმოების შექმნას, ორიენტირებულს მეცნიერულ-კვლევითი სამუშაოების კომერციალიზაციაზე;
- მეცნიერულ-ტექნიკური პარკი;
- სამრეწველო პარკი – უზრუნველყოფს მცირე ინოვაციური საწარმოების განთავსებას განსაზღვრულ ტერიტორიაზე, ქმნის საწარმოს შენობას და სამუშაო ადგილებს.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა: მეცნიერული პარკების ორგანიზაციის ამერიკული მოდელი; მასში ჩართულია სამი ძირითადი სახეობის ტექნოპარკი: მეცნიერული პარკი, რომელიც დაკავებულია მეცნიერული კვლევის ორგანიზაციით; კვლევითი პარკი, რომელიც დაკავებულია ინოვაციების დამუშავებით და მათი დაყვანით მხოლოდ სამრეწველო პროტოტიპის სტადიამდე; ინკუბატორები და დიდი ბრიტანეთის ინოვაციური ცენტრები, რომლებიც ეხმარებიან მცირე ინოვაციურ კომპანიებს, სწავლულებს, გამომგონებლებს, რომლებსაც სურთ საკუთარი საქმის ორგანიზება.

ტექნოპარკის სტრუქტურაში შედის:

- დირექცია – რომელიც დებს ხელშეკრულებებს მეწარმე-მომხმარებლებთან, შეარჩევს ინვესტიციურ პროექტებს, აკონტროლებს პარკის მიმდინარე ფინანსირებას, ახორციელებს ტექნოპარკის მოქმედი ობიექტების ექს-ალუატაციას და ახალი ობიექტების მშენებლობას;
- კომერციული ცენტრი, რომელშიც შედის კონსალტინგური, ინჟინერინგული, აუდიტორული ფირმები, ვენტურული ფირმები, მცირე მეცნიერებატევადი ფირმების ინკუბატორი;
- ტექნოლოგიური ცენტრი, რომელშიც გაერთიანებულია საპროექტო, საკვლევი, მეცნიერული, სამრეწველო განყოფილებები (ჯგუფები);
- ბიზნესცენტრი;  
მცირე მეცნიერებატევადი კომპანიისათვის მეცნიერულ-ტექნიკურ პარკში განთავსებას (ანუ მის ჩარჩოებში მოხვედრას) აქვს რიგი უპირატესობა:
  1. მცირეა საწყისი ხარჯები მთლიანად ბიზნესისა და წარმოების ორგანიზაციაზე: ტექნოპარკში შექმნილია შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რომლის გამოყენება შესაძლებელია შედავათიან პირობებში, მოქმედებენ კონსალტინგური კომპანიები;
  2. დაბალია მიმდინარე ხარჯები კომუნალურ მომსა-

ხურებაზე შედარებით დაბალი ტარიფების არსებობის წყალობით, დაბალია სატრანსპორტო და სასაწყობო ხარჯები, მოწყობილობის არენდის ღირებულება;

3. დაბალია სამეწარმეო საქმიანობის რისკი კვალიფიციური კონსალტინგური დახმარების შესაძლებლობების წყალობით. დაბალია ნაციონალურ კანონმდებლობებში მიმდინარე ცვლილებების გავლენა მცირე ინოვაციური ფირმის ფუნქციონირებაზე ინდივიდუალური შედავათების და სახელმწიფო გარანტიების მიღებით.

ტექნოპარკების როლი მნიშვნელოვანია ასევე მეცნიერული საქმიანობის სტიმულირებაში, მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების საზღვარგარეთ გადინების შემცირებასა და უცხოური კადრების მოზიდვაში.

მცირე საწარმოების სამეწარმეო საქმიანობა წარმოუდგენელია მცირე ბიზნესის სახელშეკრულებო ურთიერთობათა რეგულირების შესახებ კანონის არსებობის გარეშე. საბაზრო ეკონომიკა დამყარებულია თავისუფალ სამეწარმეო კავშირებზე, ეს კავშირები, როგორც წესი, ფორმირდება ხელშეკრულებით ბაზრის სუბიექტებს შორის.

მცირე საწარმოების ხელმძღვანელობისთვის ძირითად სიძნეელეს წარმოადგენს ფინანსების მოზიდვა, კრედიტის აღება. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს თავდებობის ინსტიტუტის არსებობა, რაც ხელს შეუწყობს მცირე ბიზნესის

განვითარებას, გააადგილებს მცირე საწარმოთათვის კრედიტის მიღების შესაძლებლობას. ამდენად, ამ კანონში გამკაც-რებული უნდა იყოს ვალდებულებები, განსაზღვრული უნდა იყოს კრედიტის თანხა, რასაც დებულობს თავდებით მცირე საწარმო, ამასთან, კანონით უნდა იყოს განსაზღვრული თავდებობის სათავდებო თანხა და თავდებობის განაკვეთი.

ადნიშნულ კანონში უნდა განისაზღვროს მცირე საწარმოთა სახელშეკრულებო ურთიერთობების სამართლებრივი ნორმები ბაზრის სხვა სუბიექტებთან (მსხვილ საწარმოებთან, სახელმწიფო ინსტიტუტებთან, საკრედიტო დაწესებულებებთან, ურთიერთშორის და სხვა), კერძოდ ლიზინგური, ფრანჩაიზინგული, ვენჩურული, საიჯარო ხელშეკრულებები.

ლიზინგი – ეს არის სახელშეკრულებო შეთანხმება, რომლის მიხედვით მცირე საწარმოს ეძლევა უფლება, გამოიყენოს გარკვეული ქონება (უძრავი, მოძრავი) განსაზღვრული დროით, შეთანხმების თანახმად, პერიოდული გადასახადის სანაცვლოდ. კანონით უნდა განისაზღვროს ლიზინგის განხორციელებისას მონაწილე სამი მირითადი სუბიექტი: მოწყობილობათა მწარმოებელი კომპანია (ლიზინგის ობიექტის შემქმნელი მსხვილი საწარმო), ლიზინგის გამცემი (სპეციალური ლიზინგური კომპანია, კომერციული ბანკების ქვეგანყოფილებანი), ლიზინგის მიმღები მცირე საწარმო. ლიზინგის უნარია ის, რომ იგი ამცირებს მოწყობილობას.

ბილობათა მორალურ გაცვეთაზე რისკს. უნდა განისაზღვროს ლიზინგური გადასახადის სიდიდე მცირე საწარმოსათვის.

საქართველოში, დღეს არსებული მდგომარეობით, მცირე ბიზნესს ლიზინგი შეუქმნის მთელ რიგ ხელსაყრელ გარემოს: იგი მცირე საწარმოებს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს მოწყობილობანი და დაიწყოს საკუთარი წარმოება ისე, რომ არ გაიღოს მსხვილი ერთდროული ხარჯები. ხშირად მცირე საწარმოებისათვის ლიზინგი ძირითადი ფონდებით უზრუნველყოფის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს, მაშინ, როცა დღეს მცირე ბიზნესი ვერ აღწევს ბანკებიდან საჭირო სიდიდის კრედიტების მიღებას, მუდმივი დანახარჯებისა და სხვა საჭიროებისათვის.

ფრანჩაიზინგი – ეს არის სახელშეკრულებო ურთიერთობით განმტკიცებული ორგანიზაციული ფორმა ბიზნესში, რომელიც აძლევს ინდივიდუალურ მეწარმეს უფლებას, გამოიყენოს შედარებით მსხვილი საწარმოს საქონლის მარკა და გაყიდოს მისი საქონელი ან მომსახურება განსაზღვრულ (გარკვეულ) რეგიონში (ტერიტორიაზე). ამ უფლების გამოფრანჩაიზის მფლობელი (ლიცენზიანტი), როგორც წესი, მცირე საწარმოს მფლობელი, უხდის კომპანიას, ფრანჩაიზის გამცემს (ლიცენზიანტს), პირველად შესატანს, ხოლო შედგომ იხდის ყოველთვიურ შესატანს.

კანონით უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების საგანი (სახელი, რეპუტაცია, საქმის წარმოების საშუალებები, სასაქონლო ნიშანი, საქონლისა და მომსახურების გაყიდვის უფლება).

ფრანჩაიზინგული ხელშეკრულების ობიექტი კანონით უნდა იქნეს დაცული არასანქცირებული სარგებლობისაგან.

კანონში უნდა აისახოს ფრანჩაიზინგის შემძენის (მცირე საწარმოს) ექსპლუზიური უფლებები, პასუხისმგებლობა. ხელშეკრულების მიხედვით უნდა განისაზღვროს ფრანჩაიზინგზე მცირე საწარმოს გადასახდელები.

კანონით განსაზღვრული უნდა იყოს ფრანჩაიზინგის სამი სახე: სასაქონლო; საწარმო; საქმიანი (მცირე ფირმის მიერ ორგანიზაციის შექმნის უფლება).

ვენეცურული (სარისკო) კაპიტალი, ფართო გაგებით, ნიშნავს უპირველესად მაღალი ტექნოლოგიების სფეროში, სარისკო პროექტებზე ფინანსური შედეგების მისაღებად ყველა სახის ხარჯის გადებას. ვიწრო გაგებით კი ნიშნავს ხანგრძლივი პერიოდით და საშუალო პერიოდით ინვესტიციებს კრედიტის ფორმით ან აქციების შესყიდვით, რომელიც გულისხმობს მცირე საწარმოების შექმნით მეცნიერებატევადი პროექტების განხორციელებას.

კანონში უნდა განისაზღვროს ლიცენზირების წესები, რომელიც წარმოადგენს მცირე და მსხვილი ფირმების

ურთიერთდამოკიდებულების ორგანიზაციის ფორმას, რომელიც ითვალისწინებს ლიცენზიაზე ლიცენზიის გამცემისა-გან უფლების გადაცემას (ტექნოლოგიის გამოყენებაზე, პატენტზე, „ნოუ-ჰოუზე“) ერთჯერადი ან პერიოდული გადა-სახადის სანაცვლოდ. როგორც წესი, ლიცენზირება გამო-იყენება იმ შემთხვევაში, როცა ლიცენზიარია მსხვილი კომპანია, ხოლო ლიცენზიანტი – მცირე საწარმო.

მცირე ბიზნესში დღეს არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მცირე საწარმოზე თავდებით გაიცეს 150 000 ლარამდე, 85%-იანი თავდებობის გარანტით, ხოლო 150 000 ლარიდან 500 000 ლარამდე 75%-იანი თავ-დებობის გარანტით, თავდებობის საერთო მაქსიმალური თანხა საქართველოს მცირე საწარმოებისათვის განისაზ-დვროს 500 000 ლარით.

ამასთან, განისაზღვროს თავდების მომსახურების გა-ნაკვეთი 150 000 ლარამდე, თავდებისათვის მთლიანი სათავ-დებო თანხის 0,25%; ხოლო 150 000 ათას ლარს ზევით კი 0,5%-ით.

დღეს საქართველოში მცირე საწარმოებში დაქირა-ვებულთა შრომითი უფლებების მექანიზმი არ არსებობს. ჯერ კიდევ არ არის დანერგილი დამქირავებელსა და დაქი-რავებულს შორის ხელშეკრულებითი (კონტრაქტით) ურთი-ერთობა.

მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით საქართველოში შრომითი ურთიერთობის რეგულირება უნდა განხორციელდეს იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ არის შემუშავებული. ეს ორგანიზაცია შეიქმნა 1919 წელს და დღეს მსოფლიოს 170 ქვეყანას აერთიანებს. ამ ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები დაფუძნებულია სამშერივ წარმომადგენლობაზე – მშრომელი (დაქირავებული), დამქირავებელი და ხელისუფლება. ეს ორგანიზაცია იღებს კონვენციებს, სადაც ჩამოყალიბებულია მშრომელთა უფლებები.

საქართველოს კანონში „მცირე ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ“, უნდა განისაზღვროს მცირე საწარმოთა განვითარების ხელშემწყობი ფონდებისა და ცენტრების ფუნქციები; ჩამოყალიბდეს მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემა; განისაზღვროს სახელმწიფო მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა - იურიდიული დახმარება (მცირე ბიზნესის შექმნისას იურიდიული კონსულტაციები); კონსალტინგური დახმარება (პარტნიორის მოქებნა, საქმიანობის შესწავლა, კონსულტაციები ეკონომიკური დასაბუთებულობის მომზადებისას); ფინანსური დახმარება (დაფინანსების გარე წყაროზე მისაწვდომობის გაიოლება); სახელმწიფოს მონაწილეობა პრიორიტეტულ პროექტებში; ინფრასტრუქტურული დახმარება (შენობის შეთავაზება, კავშირგაბმულო-

ბის მომსახურება); მარკეტინგული დახმარება.

სახელმწიფო მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა უნდა მოიცავდეს მეწარმეების მოსამზადებელ ცენტრებს; ბიზნესინ-გუბატორებს; ინოვაციურ ცენტრებს ან ტექნოპარკებს; სა-გაჭრო-სამრეწველო პალატებს (ცენტრალური, რეგიონული); მეწარმეობის მხარდამჭერ ფონდებს.

ამ კანონით უნდა დაფუძნდეს „საქართველოს მცირე ბიზნესის განვითარების ერთიანი ეროვნული ფონდი“.

მცირე ბიზნესის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა განისაზღვრება არა მხოლოდ სპეციფიკური კანონებით, არამედ სხვა კანონებითაც, რომლებიც საერთოა მთელი ეკონომიკი-სათვის. მაგალითად, საქართველოს კანონებით „მეწარმეთა შესახებ“, „საგადასახადო კოდექსი“, „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“, „სალი-ცენზიო მოსაკრებლების შესახებ“, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, „დაზღვევების შესახებ“, „რეკლამის შესახებ“, „პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“, „გარემოს დაცვის შესახებ“, „გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის შესახებ“ და სხვა.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონი არეგულირებს მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა მოწყობის ორგანიზა-ციულ-სამართლებრივ ფორმებს, განსაზღვრავს მათ და აწე-რიგებს მათთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული

კანონი არ განიხილავს მცირე საწარმოს; აქ არაა დაკონკრეტული მცირე ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების და მცირე ბიზნესის საწარმოთა ზომები. ეს და სხვა მრავალი ფაქტორი განაპირობებს ქვეყანაში მცირე ბიზნესის განვითარების საკანონმდებლო პაზის შექმნას მუწარმეობის ზოგადი კანონმდებლობის არსებობის გვერდით.

გარდა ეკონომიკური კანონებისა, მცირე ბიზნესს არ გულირებს ზოგადი კანონები, ისეთები, როგორიცაა „კონსტიტუცია”; „სისხლის სამართლის კოდექსი”; „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი”, „ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა კოდექსი” და სხვა.

მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მქანიზმის შემდეგი შემადგენელი ნაწილია რეგულირების ინდიკატორთა სისტემა: ამ მაჩვენებლებს შეიძლება მივაკუთვნოთ მცირე ბიზნესის განვითარების რაოდგნობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები.

რაოდგნობრივი მაჩვენებლებია: მცირე ბიზნესში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა; მცირე ბიზნესში დასაქმებულთა რაოდგნობა; მცირე საწარმოთა რაოდგნობა; მცირე ბიზნესის საწარმოთა სიმჭიდროვე; მცირე ბიზნესის ხვედროთი წილი მთლიან ეროვნულ პროდუქტში.

თვისებრივ მაჩვენებლებს შეიძლება მივაკუთვნოთ: მცირე ბიზნესის დარგობრივი სტრუქტურა; ინოვაციურ საწარმოთა ხვედრითი წილი მცირე საწარმოთა საერთო რაოდგ-

ნობაში; მცირე ბიზნესის რეგიონული სტრუქტურა; საშუალო ხელფასის სიდიდე, მწარმოებლურობა, კაპიტალადჭურვილობა, კაპიტალურება, სამუშაო დროის ხანგრძლივობა მცირე ბიზნესში.

მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების დონისძიებათა სისტემა, როგორც თეორიულ მოდელში აღვნიშნეთ, გულისხმობს მცირე ბიზნესის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრასა და შესაბამისი მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას, ასევე იმ დონისძიებათა დასახვას, რომელიც აუცილებელია მიზნის მისაღწევად.

საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების სტრატეგია თანამედროვე ეტაპზე უნდა მდგომარეობდეს ეკონომიკაში მცირე ბიზნესის ხვედრითი წილის მნიშვნელოვან ამაღლებაში მცირე საწარმოთა რიცხოვნობის ზრდისა და მათი ოვისებრივი სრულყოფის საფუძველზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მცირე ბიზნესის განვითარებას ინოვაციურ სფეროში.

რეგულირების ფორმების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების შერჩევა დამოკიდებულია სარეგულირებელ ობიექტსა და ეკონომიკის განვითარების დონეზე. ასევე იმ დონისძიებათა ხასიათზე, რომელთა გატარებაც არის დაგეგმილი რეგულირების დროს. ეს მეთოდები ძირითადად ადმი-

ნისტრაციული და ეპონომიკური ხასიათისაა. მათი მეშვეობით ხორციელდება პირდაპირი ან არაპირდაპირი რეგულირება, სათანადო ინსტრუმენტების გამოყენებით.

ადმინისტრაციული მეთოდებით მცირე ბიზნესის რეგულირება მეტწილად პირდაპირ ხასიათს ატარებს. იგი ნიშნავს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომელიც ეფუძნება აკრძალვას, ნებართვას და ძალდატანებას. არსებობს ეკონომიკური რეგულირების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდი. მაკროეკონომიკური რეგულირების არაპირდაპირ ეკონომიკურ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება: საგადასახადო, საამორტიზაციო, ფულად-საკრედიტო, ფისკალური, სავალუტო, საბაჟო ბერკეტები, ასევე ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა: პროგნოზირება, დაგეგმვა, პროგრამირება.

საქართველოში მცირე ბიზნესის მარეგულირებელ ორგანოებს მიეკუთვნება როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი (პრეზიდენტი, მინისტრთა კაბინეტი) და სასამართლო ორგანოები.

პარლამენტი იღებს შესაბამის სპეციფიკურ და ზოგადეკონომიკურ კანონებს, რომლებიც განსაზღვრავს „თამაშის წესებს” მცირე ბიზნესში. აღმასრულებელი ორგანოები განსაზღვრავენ მცირე ბიზნესის განვითარების სტრატეგიას და შეიმუშავებენ შესაბამის პოლიტიკასა და ღონისძიებათა სისტემას. როგორც პარლამენტი, ისე აღმასრულებელი ხელი-

სუფლება ახორციელებს კონტროლს მიღებული კანონებისა და დონისძიებათა სისტემის ცხოვრებაში გატარებაზე.

სასამართლო ხელისუფლების ორგანოები მცირე ბიზნესს, ისევე, როგორც ეკონომიკის სხვა სუბიექტებს, იცავს უკანონობისა და უსამართლობისაგან, რითაც ხელს უწყობს მცირე ბიზნესის გაჯანსაღებას.

ერთმანეთისგან უნდა გამოიყოს მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების სპეციფიკური და არასპეციფიკური ორგანოები.

სპეციფიკური ორგანოებიდან საქართველოში მიზანშეწონილად მიგვაჩნია მინისტრთა კაბინეტთან შეიქმნას „საქართველოს მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია“. ეს უკანასკნელი უნდა შეიქმნას, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო მცირე ბიზნესზე დახმარების გაწევის მიზნით, თავისუფალი კონკურენციის შენარჩუნების პირობებში.

საქართველოს მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

მისი ფუნქციები უნდა იყოს:

1. მცირე ბიზნესის განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების უზრუნველყოფა;
2. შესაბამისი კანონების მომზადება მცირე ბიზნესის

განვითარებასთან დაკავშირებით;

3. მცირე ბიზნესის განვითარებისათვის შესაბამისი სახლმწიფო დაფინანსების განსაზღვრა და წარდგენა მთავრობასა და პარლამენტში, დამტკიცების შემდეგ მისი განხორციელების ორგანიზაცია;
4. მცირე ბიზნესის საქმიანობის გაანალიზება და შესაბამის ღონისძიებათა დასახვა;
5. მცირე და მსხვილ ბიზნესს შორის კონტაქტების დამყარების ორგანიზება;
6. საქართველოში მცირე ბიზნესის ინფრასტრუქტურის განსაზღვრა და მისი კოორდინაცია;
7. მცირე ბიზნესის საინფორმაციო უზრუნველყოფა;
8. მცირე ბიზნესის განვითარების სხვა მასტიმულირებელ ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება;
9. შესაბამისი პროგრამების შემუშავება;
10. დახმარების აღმოჩენა (თავდებად დადგომა) კრედიტების მიღების დროს;
11. ინვესტორების მოძიება მცირე ბიზნესისათვის;

საქართველოს მცირე ბიზნესის აღმინისტრაციის დაფინანსება უნდა ხდებოდეს სახელმწიფოს მხრიდან.

არასპეციფიკური ორგანოებიდან მცირე ბიზნესის მარეგულირებელი ფუნქცია უნდა შეითავსოს ყველა ეკონომიკური ხასიათის სამინისტრომ, განსაკუთრებით ეკონომიკის

განვითარების სამინისტრომ.

ეკონომიკის განვითარების სამინისტრო: 1. შეიმუშავებს მცირე ბიზნესის განვითარების სტრატეგიასა და სახელმწიფო პოლიტიკას. 2. განიხილავს „მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის“ მიერ შემუშავებულ საკანონმდებლო აქტებს და, საჭიროების შემთხვევაში, მხარს დაუჭერს მის წარდგენას საკანონმდებლო ორგანოში. 3. ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის შემუშავების დროს განსაზღვრავს პრიორიტეტულ დარგებში მცირე ბიზნესის განვითარების მიმართულებებს. 4. ხელს უწყობს მცირე ბიზნესის სფეროში პერსპექტიული სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოების დაფინანსებას, უახლესი ტექნოლოგიების დანერგვას.


მცირე ბიზნესის მხარდამჭერი მაკროეკონომიკური ინფრასტრუქტურის არსებობა მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლია. საქართველოს მცირე ბიზნესის ადმინისტრაციასთან უნდა შეიქმნას მცირე ბიზნესის მხარდამჭერი მაკროინფრასტრუქტურა (სქემა 2). ამ სტრუქტურაში შემავალი ერთეულების ფუნქციები ძირითადად უნდა იყოს შემდეგი:

საქართველოს მცირე ბიზნესის განვითარების ეროვნულმა ფონდმა უნდა: მოიზიდოს ფინანსური რესურსები და

უზრუნველყოს მათი უფასტიანი გამოყენება მიზნობრივი პროგრამების, პროექტების და ღონისძიებების განსახორციელებლად მცირე ბიზნესში; უზრუნველყოს მცირე ბიზნესში მომუშავე მეწარმეები ხელმისაწვდომი, სწრაფი და მაღალ-ხარისხოვანი ფინანსური მომსახურებით; გასცეს კრედიტები შესაქმნელ, ახლად შექმნილ და არსებულ მცირე საწარმოებზე; გასცეს შედაგათიანი და უპროცენტო კრედიტები სახლმშიფოსთვის პრიორიტეტულ სფეროებში დასაქმებულ მცირე საწარმოებზე.

„მცირე ბიზნესის განვითარების ტექნოპარკმა“ უნდა: შექმნას მცირე ინოვაციური ფირმების საქმიანობისა და განვითარების ხელშემწყობი პირობები; მოახდინოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგთა სწრაფი კომერციალიზაცია და ინოვაციურ საქმიანობაში მეცნიერთა სტიმულირება; მოახდინოს მეცნიერებატევადი წარმოების ორგანიზაცია; ჩაატაროს წვრილი ფირმების კადრებისათვის სემინარები და კონსულტაციები საინოვაციო საქმიანობის პრობლემატიკაზე; ხელი შეუწყოს მცირე საწარმოებს მაღალტექნოლოგიების გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად; ხელი შეუწყოს წვრილი ფირმების იდეების, ტექნოლოგიებისა და პროდუქციის გატანას უცხოურ ბაზარზე; შეიმუშაოს და განახორციელოს პროექტები მცირე საწარმოთა პერსონალის სწავლების მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსური საქმი-

ანობის სფეროში; დაეხმაროს ინოგაციურ მცირე ფირმებს  
საწარმოების და ბიზნესის ორგანიზებაში; გარკვეულ



ტერიტორიაზე (რუსთავში, ქუთაისში, ზუგდიდში, თელავში) თავი მოუყაროს ინოვაციური საწარმოებისათვის მოწყობილობებს, გამოყოს დროებითი სარგებლობისათვის ლაბორატორიული და სამრეწველო ფართობი.

**მცირე ბიზნესის განვითარების ბიზნესინკუბატორმა უნდა:** შექმნას პირობები, რაც აუცილებელია მცირე საწარმოების განვითარებისათვის მათი დაარსებიდან სრული ფინანსური დამოუკიდებლობის მიღწევამდე; შესთავაზოს მცირე საწარმოებს საწარმოო და საოფისე ფართი, გაუწიოს სხვადასხვა პროფესიული მომსახურება; მონაწილეობა მიიღოს მისი წევრი წვრილი ფირმების საინოვაციო პროგრამებში.

**მცირე ბიზნესის ლიზინგური კომპანია ახორციელებს:** მოძრავი და უძრავი ქონების ოპერატიული ლიზინგის დანერგვას; მცირე საწარმოების უზრუნველყოფას მოწყობილობებით, ტექნოლოგიებით, შენობა-ნაგებობებით და სხვა; მეორადი მოწყობილობების ბაზის შექმნას მათი ლიზინგში გადაცემის მიზნით; მცირე ბიზნესის სუბიექტების სპეციალიზებული მოწყობილობებით უზრუნველყოფას (მაგ., სატრანსპორტო საშუალებებით, საგზაო-სამშენებლო ტექნიკით; სპეციალური მანქანებით და მექანიზმებით და ა. შ.); მცირე საწარმოებისათვის მოკლევადიანი იჯარით განსაკუთრებული მოწყობილობებისა და მცირე მექანიზაციის საშუალებების შეთავაზებას (მათ მომსახურე პერსონალთან ერთად);

ინფორმაციული ბაზის შექმნას მცირე ბიზნესისათვის მოწყობილობების მწარმოებელთა, ლიზინგის გამცემთა, ლიზინგის პოტენციურ მიმღებთა შესახებ.

**მცირე ბიზნესის მარკეტინგული მომსახურების ცენტრმა** უნდა უზრუნველყოს: ისეთი მარკეტინგული დონისძიებების შემუშავება, რომელიც მცირე საწარმოებს ხელს შეუწყობს შექმნას მომხმარებელზე ორიენტირებული ნაწარმი; დონისძიებების შემუშავება, რომელიც მცირე ბიზნესს ხელს შეუწყობს ბაზრის სეგმენტის რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯებით ათვისებაში; მოცემულ სეგმენტში გადახდისუნარიანი მოთხოვნის განსაზღვრა; დამატებითი პროდუქციის განსაზღვრა, რომლის მიწოდება შესაძლებელია უკვე არსებული მომხმარებლისათვის; ახალი მომხმარებლების დადგენა, რომლებიც შეიძენენ უკვე არსებული ასორტიმენტის პროდუქციას; მხარდაჭერა პრინციპულად ახალი პროდუქციის შესაქმნელად.

**მცირე ბიზნესის მარკეტინგული მომსახურების ცენტრის** საქმიანობა მოიცავს: პროდუქციაზე, მომარაგებასა და წარმოებაზე ორიენტირებულ მარკეტინგს. იმის შესაბამისად თუ რა მიმართულებით არის ორიენტირებული მცირე საწარმო, მარკეტინგული სამსახურის ცენტრს უნდა შეეძლოს შესაბამისი მარკეტინგის განხორციელება.

საქართველოს მცირე ბიზნესის ადმინისტრაციასთან არსებულმა აუდიტორული მომსახურების ცენტრმა უნდა

უზრუნველყოს: კონტროლი მცირე ბიზნესის სუბიექტებისა, თუ რამდენად არის დაცული მათ მიერ საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები და გასწიოს ამ მიმართულებით კონსულტაციები; კონტროლი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშსწორების მიმდინარეობის შესახებ; სამართლებრივი კონსულტაციები სამოქალაქო, სამეურნეო, შრომით, საბაჟო და საგადასახადო სამართალში.

**მცირე ბიზნესის კონსალტინგური მომსახურების ცენტრის ფუნქციებია:** საწყის ეტაპზე ბიზნესგეგმის შემუშავება მცირე საწარმოს ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის დასასაბუთებლად; იურიდიული მომსახურება საწარმოს რეგისტრაციის, საწესდებო ფონდის ფორმირებისა და საბუთების გაფორმების დროს; ინფორმაციის ფლობა ნაციონალური და საერთაშორისო ფონდების შესახებ, საიდანაც შეიძლება მცირე ბიზნესმა საფინანსო დახმარება მიიღოს; ინფორმაციის ფლობა იმ ინფრასტრუქტურაზე, რომელიც მოქმედებს მცირებიზნესის განვითარებაზე.

**მცირე ბიზნესის დამხმარე სასწავლო-საკონსულტაციო და საინფორმაციო ცენტრი** მოწოდებულია: დააკმაყოფილოს მზარდი დეფიციტი: ინფორმაციის, მარკეტინგის, კონსულტაციების სამეწარმეო საქმიანობის სხვადასხვა ასპექტში; აამაღლოს საწარმოთა საქმიანობის პროფესიული დონე; მოამზადოს მცირე ბიზნესისათვის: პროფესიული კადრები, კონსულტანტები და სახელმწიფო მოხელეები.

აღნიშნული ინფრასტრუქტურის ყველა ორგანიზაცია თავდაპირველად იარსებებს მაკროდონებზე და უნდა დაფინანსდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასევე მიზანშეწონილია სახსრების მოზიდვა მსხვილი ბიზნესიდან და საერთაშორისო დახმარებებიდან.

საბაზრო ეკონომიკის, მისი ინფრასტრუქტურისა და ასევე მცირე ბიზნესისა და მისი ინფრასტრუქტურის განვითარების კვალობაზე, შესაძლებელია, აღნიშნული ინფრასტრუქტურის რომელიმე ორგანიზაციის არსებობა მაკროდონებზე აღარ იყოს საჭირო და საბაზრო ინფრასტრუქტურას შეუერთდეს.

აღნიშნული ინფრასტრუქტურის ორგანიზება და კოორდინაცია უნდა უზრუნველყოს მცირე ბიზნესის განვითარების ადმინისტრაციამ.

შემდეგი ბლოკი მექანიზმში არის მცირე ბიზნესისადმი საერთაშორისო დახმარების მიღების რეგულირება.

ეკონომიკის საბაზრო პრინციპებით ჩამოყალიბების მხარდაჭერის მიზნით, კერძოდ, ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, რამდენიმე ფონდი და დონორი ორგანიზაცია ფუნქციონირებს საქართველოში, როგორიცაა: ეკრაზიის ფონდი, მსოფლიო ბანკი; მცირე ბიზნესის სუბიექტების ფინანსურ დახმარებაზე (მიკროსესხების გაცემა) მუშაობს „კორლდ ვიუნი”; გარკვეული სამუშაო იქნა გაწეული

ევროპის რეგონისტრუქტურისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ; ფონდი დია საზოგადოება – საქართველოს შემუშავებული აქცე 2006–2008 წწ. ეკონომიკური განვითარების პროგრამა, სადაც ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს მცირე ბიზნესის განვითარებაზე მხარდაჭერის პროგრამა.

**სახელმწიფოს მეწარმეობრივი საქმიანობა მაკროეკონომიკური რეგულირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია.** ამ დროს სახელმწიფო განაგებს იმ საწარმოებს, რომელთა ფუნქციონირება კერძო სექტორში არამომგებიანია ან მათი არსებობა იმ ეტაპისათვის შეუძლებელია, ხოლო ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელს წარმოადგენს.

საქართველოში, მცირე მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო სექტორში, უპირველეს ყოვლისა, უნდა ჩამოყალიბდეს მატერიალური წარმოებისა და ინოვაციურ საქმიანობაში დასაქმებული მცირე საწარმოები.

ხშირ შემთხვევაში საბაზო მექანიზმის უუნარობა რეალურად განაპირობებს პირდაპირ ჩარევას სახელმწიფოს მხრიდან. ეკონომიკური მეთოდებით სახელმწიფოს მხრიდან მცირე ბიზნესის განვითარების პირდაპირი ჩარევის მნიშვნელოვანი სახეა სახელმწიფო მეწარმეობა.

მცირე ბიზნესის სფეროში განსახელმწიფოებრიობის მასშტაბები დამოკიდებულია კონკრეტულ ეკონომიკურ და ისტორიულ პირობებზე, საზოგადოების მდგომარეობაზე და

სხვა ფაქტორებზე. იქ, სადაც სახელმწიფო სექტორი წარმოდგენილია საქმაოდ ვრცლად, პრივატიზაცია-ნაციონალიზაცია (რეპრივატიზაცია) განიხილება, როგორც საკუთრების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების ფაქტორები და მონაცემებს გამომდინარე შექმნილი კონკრეტული პირობებიდან. პრივატიზაციის მოთხოვნა წარმოიქმნება, როგორც წესი, იმ დროს, როცა ქვეყნის ეკონომიკაში მდგრადებელი შედარებით მოწესრიგებულია და მრავალი სახელმწიფო ობიექტი გადაიარაღებულია. გარდამავალ პერიოდში პრივატიზაცია ემსახურება ახალი ეკონომიკური ბაზის ფორმირებას, კერძო მესაკუთრეთა ჩამოყალიბებას, მნიშვნელოვანწილად ადმინისტრაციული საშუალებებით. ნაციონალიზაცია, ე.ი. სამეურნეო ობიექტის გადასვლა კერძოდან სახელმწიფო საკუთრებაში, წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის სტაბილიზაციის მძლავრ ინსტრუმენტს. კრიტიკულ პერიოდებში (კრიზისი, ომი და ა.შ.) მცირე ბიზნესში სახელმწიფოს წილი არაა მუდმივი, იგი შეიძლება დროებით შემცირდეს ანდა გადიდეს.

მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მქანიზმები უნდა უზრუნველყოს მცირე საწარმოების პრივატიზაცია-ნაციონალიზაციის რაციონალური შეთანაწყობა ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე.

**მცირე ბიზნესის უსაფრთხოება საერთოდ ეკონომიკური**

უსაფრთხოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. მცირე ბიზნესის უსაფრთხოება ნიშნავს ისეთი პირობების შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს მის სტაბილურ და მდგრად განვითარებას მოსალოდნელ საშიშროებათა თავიდან აცილებით ან უარყოფით შედეგთა მინიმალური დანახარჯებით ლიკვიდაციის საფუძველზე.

მცირე ბიზნესის უსაფრთხოების ძირითადი ფუნქცია არის არამცირებიზნესის განვითარების უზრუნველყოფა, არა-მედ არსებულ და მოულოდნელ საფრთხეთა გამოვლენა და მათი თავიდან აცილება.

მცირე ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უნდა განისაზღვროს არსებული და მოულოდნელი საფრთხეები, შეირჩეს უსაფრთხოების მაჩვენებლები და დადგინდეს მათი ზღვრული მნიშვნელობები, შემუშავდეს უსაფრთხოების ღონისძიებები, განისაზღვროს უსაფრთხოების ორგანოები, შეირჩეს უსაფრთხოების ინსტრუმენტები.

არსებული და მოულოდნელი საფრთხეები შეიძლება იყოს შიდა და გარე, როგორც ეკონომიკური, ისე არაეკონომიკური ხასიათის.

საქართველოში ეკონომიკური განვითარების თანამედროვე დონეზე მცირე ბიზნესის განვითარების შიდა ეკონომიკურ საფრთხეებად შეიძლება მივიჩნიოთ: ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარების დაბალი დონე; მუშა-მოსამ-

სახურეთა დაბალი კვალიფიკაცია; სახელმწიფოს მხრიდან მცირე ბიზნესის მხარდაჭერის არასაკმაო დონე; მცირე ბიზნესის განვითარების მხარდამჭერი სრულყოფილი ინფრასტრუქტურის არარსებობა; საშუალო ხელფასის სიმცირე; მენეჯმენტისა და მარკეტინგის განვითარების დაბალი დონე; ეკონომიკური რეფორმების შეფერხება; განვითარებული საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების დაგვიანება; სტრუქტურული კრიზისის გაჭიანურება; ინვესტიციური აქტივების დაბალი დონე; საგადასახადო სისტემის ნაკლოვანებები; უცხოური კრედიტების არაეფექტური გამოყენება; საგარეო ვალის ზრდა; ექსპორტ-იმპორტის არაპოგრესული სტრუქტურა; ეროვნული ბაზრის დაუცველობა დაბალი ხარისხისა და ფალსიფიცირებული პროდუქციისაგან; საბაჟო კონტროლის დაბალი დონე; მომსახურების სფეროს, რეგიონების ეკონომიკის, სადაზღვევო სისტემის განუვითარებლობა და ა.შ.

არაეკონომიკური ხასიათის შიდა საფრთხეებიდან შეიძლება გამოვყოთ; ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა (იძულებით გადაადგილებულთა დიდი რაოდენობის არსებობა); ცუდი დემოგრაფიული სიტუაცია; რეგიონული სეპარატიზმი; ეკოლოგიური სიტუაციის გაუარესება; სტიქიური უბედურებები.

გარე ეკონომიკური ხასიათის საფრთხეებიდან აღსანიშ-

ნაგია ფინანსური კრიზისი, ფასების ზრდა სათბობზე და სხვ.

გარე არაეკონომიკური ხასიათის საფრთხეებს მიეკუთვნება: საერთაშორისო და რეგიონული პოლიტიკური მდგრადრეობის გაუარესება;

უსაფრთხოების ხარისხის შესაფასებლად აუცილებელია შესაბამის მაჩვენებელთა შერჩევა, მაგალითად: მცირებიზე სისტემის ხვედრითი წილი მთლიან ეროვნულ პროდუქტში (მთლიან შიდა პროდუქტში); მცირებიზე სტრუქტურა (დარგობრივი და რეგიონული); ინვესტიციების მოცულობა (გარე და შიდა); ხელფასის დონე; მცირებიზე ხვედრითი წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში.

რაც შეეხება რისკების გათვალისწინებას, ამ მიმართულებით უნდა გატარდეს ისეთი ღონისძიებანი, რომელიც შეამცირებს მცირებიზე სისტემის სუბიექტების საქმიანობის როგორც ეკონომიკურ, ისე სხვა სახის რისკებს. დღეს საქართველოში მცირებიზე მაღალი რისკის გარემოში ფუნქციონირებს. რისკის შემცირების მიზნით, მცირე საწარმოებმა უნდა მიმართონ სადაზღვევო სისტემას. მათ უნდა მოახდინონ მოსალოდნელი რისკების დაზღვევა, მაგალითად, როგორიცაა: დაზღვევა ხანძრის გაჩენაზე, ქურდობაზე; კადრის (მუშის) მოულოდნელ სიკვდილზე და სხვა.

საქართველოში მცირებიზე განვითარების უსაფ-

რთხოების განსახორციელებლად უნდა განისაზღვროს საფრთხეთა ზღვრული ნორმები.

დღეს მცირე ბიზნესის განვითარებას საქართველოში საფრთხე ემუქრება, თუ სახელმწიფომ აქტიურად არ დაუჭირა მას მხარი.

მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმის კონტროლის ფუნქცია, უპირველეს ყოვლისა, ეკისრება პარლამენტს, რომელმაც უნდა გააკონტროლოს, თუ როგორ სრულდება მიღებული კანონები. კონტროლის ფუნქცია აკისრიათ აგრეთვე სასამართლო სელისუფლებას, მიღებულ ღონისძიებათა შესრულების დროს დაშვებული კრიმინალური დარღვევების ან სამეურნეო დავების განხილვისას.

მაკონტროლებელი ფუნქცია აკისრია აგრეთვე მთავრობას მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე.

კონტროლის ფუნქცია უნდა განხორციელდეს შესაბამის ინდიკატორთა ანალიზის საფუძველზე. შედეგების მიხედვით მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებები ან ხარვეზების გამოსასწორებლად, ან მაკროეკონომიკურ ღონისძიებათა სისტემაში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

საქართველოში დღეს მწვავედ დგას საკითხი მცირე ბიზნესის როგორც რაოდენობრივი ზრდის, ისე თვისებრივი

დონის ამაღლების მიმართულებით. ამ მხრივ უნდა განხორციელდეს წამახალისებელი ღონისძიებანი, კერძოდ, მის მიმართ შემოღებულ იქნეს განსაკუთრებული საგადასახადო შედაგათები (შემცირებული პროცენტული განაკვეთები) იმ რეგიონებისა და დარგების მცირე საწარმოებისათვის, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის პრიორიტეტულს წარმოადგენენ. მაგალითად, უნდა წახალისდეს მცირე საწარმოების ფორმირება ისეთ რეგიონებში, როგორიცაა: მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხეთი, ცხინვალი, აფხაზეთი, ასევე ისეთ დარგებში, როგორიცაა: გადამამუშავებელი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, თევზჭერა, ტურიზმი.

მცირე ბიზნესი საჭიროებს დაცვას დემპინგის, არაჯანსადი კონკურენციის, არასწორი რეკლამების და სხვა სახის „ბიუროკრატიული ბაზრის”, ანუ ბიუროკრატიული გაერთიანებების ქმედებებისაგან, რომლებიც ახშობენ საბაზრო მექანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებას.

აქ უნდა განხორციელდეს ფასების რეგულირება სახელმწიფოს მხრიდან, კერძოდ, უნდა მოხდეს ფიქსირებული ფასების, ფასების დისკრიმინაციის, ფასწარმოქმნის არაკეთილსინდისიერი მეთოდების გამოყენების აკრძალვა. სახელმწიფოს მიზანი უნდა იყოს პატიოსანი კონკურენციის სტიმულირება, ამ სფეროში ბაზრის მონაწილეთა უფლებების დაცვა. ადნიშნული პრობლემების დარეგულირება უნდა უზრუნ-

გელუოს მცირე ბიზნესის განვითარების ადმინისტრაციამ.

დღეს საქართველოში მცირე ბიზნესის ნაკლები პო-  
პულარობა გამოწვეულია იმითაც, რომ არ ხდება ქვეყნის  
მასშტაბით მცირე ბიზნესით მოსახლეობის დაინტერესება.  
მცირე ბიზნესის პოპულარიზაცია მცირე ბიზნესის განვი-  
თარების ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს მასმედიის  
საშუალებებით. ამასთან, აღნიშნული საკითხის უზრუნველ-  
ყოფას ხელი უნდა შეუწყოს მცირე ბიზნესის მაკროეკონო-  
მიკური რეგულირების რგოლმა, მცირე ბიზნესის მსარდამ-  
ჭერმა ინფრასტრუქტურამ.

დღეს მცირე ბიზნესისათვის საგადასახადო კოდექსით  
რაიმე განსაკუთრებული შეღავათები არ არსებობს. კანონით  
„მეწარმეთა შესახებ”, მცირე ბიზნესს განესაზღვრებოდა გა-  
მარტივებული საბუღალტრო საქმიანობა, რომელიც 2006  
წელს, ამ კანონში შეტანილიცვლილებების გამო, გაუქმდა.

დღეს მცირე ბიზნესის საგადასახადო სისტემა არ რე-  
გულირდება. გადასახადების ადმინისტრირების საკითხიც არა-  
დამაკმაყოფილებელია. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შეიქმ-  
ნას მცირე ბიზნესის საგადასახადო კანონმდებლობა, რომე-  
ლიც სამართლებრივად უზრუნველყოფს და დაარეგული-  
რებს მცირე ბიზნესის გადასახადებისა და მისი ადმინის-  
ტრირების სისტემას. ამ მიზნით საგადასახადო კოდექსში  
უნდა გამოიყოს ცალკე კარი „მცირე საწარმოთა გადასახა-

დები”.

მცირე ბიზნესის ადმინისტრაციამ და მცირე ბიზნესის განვითარების ერთიანმა ეროვნულმა ფონდმა უნდა უზრუნველყონ შეღავათიანი კრედიტების გაცემა მცირე ბიზნესზე. მცირე ბიზნესზე გაცემული კრედიტის საპროცენტო წლიური განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 8–10%-ს; კრედიტის გაცემის ხანგრძლივობა განისაზღვროს 10 წლის ვადით, პირველი ორი წელი კრედიტის დაბრუნებისაგან გათავისუფლებით. პრიორიტეტულ მცირე საწარმოებზე კრედიტი გაიცეს 2–5% საკრედიტო განაკვეთით, 5 წლის ვადით, ერთი ან ორი წლით საპროცენტო განაკვეთისაგან გათავისუფლებით. კრედიტის გაცემისას მცირე საწარმოების მიმართ თავდებობის ინსტიტუტი უნდა დაინერგოს. სათავდებო მომსახურება არ უნდა აღემატებოდეს თავდებით გაცემული კრედიტის 0,5%-ს; ეს შესაძლებელია, მსხვილმა ბიზნესმაც აიღოს თავის თავზე ბანკის წინაშე. აღნიშნული საკითხები უნდა განისაზღვროს კანონით „მცირე საწარმოთა ურთიერთგარანტიების საზოგადოებათა შესახებ”.

საქართველოში მცირე ბიზნესში დღეს არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მცირე საწარმოზე თავდებით გაიცეს კრედიტები 150 000 ლარამდე, 85%-იანი, ხოლო 150 000 ლარიდან 500 000 ლარამდე 75%-იანი თავდებობის გარანტიით. თავდებობის საერთო მაქსიმა-

ლურითანხა საქართველოს მცირე საწარმოებისათვის განისაზღვროს 500 000 ლარით.

ამასთან, განისაზღვროს თავდების მომსახურების განაკვეთი 150 000 ლარამდე, თავდებისათვის მთლიანი სათავდებო თანხის 0,25%-ით, ხოლო 150 000 ლარს ზევით კი 0,5%-ით.

რაც შექება მცირე ბიზნესის თვისებრივი დონის ამაღლებას, აქ უნდა მოხდეს მაღალი ხარისხის, კონკურენტუნარიან და ინოვაციურ წარმოებაზე ორიენტირებულ მცირე საწარმოთა წახალისება როგორც საგადასახადო შეღავათებით და ნულოვანი საბაჟო ტარიფებით, ასევე ამ საწარმოებში დაჩქარებული ამორტიზაციის მეთოდის გამოყენებით, კერძოდ, ამორტიზაციის არსებული ნორმატივის გაორმაგებით. ასევე უნდა მოხდეს ძირითადი ფონდების ჩამოწერა ამორტიზაციის ანარიცხების სახით, მათი საწყისი დორებულების 50%-მდე, რომელთა მომსახურების ასაკი აღჭმატება სამ წელს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი პრიორიტეტული დარგების შერჩევას, რომლებიც, სათანადო საინვესტიციო ხელშეწყობის შემთხვევაში, შეძლებენ მაქსიმალური უკუგების მიღებას მოკლევადიან პერსპექტივაში და განაპირობებენ წარმოების მოცულობისა და შემოსავლების ზრდას, სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანების გაზრდას. ამასთან, ამ დარგების მცირე საწარმოების მიერთონ განაკვეთი 150 000 ლარით, თავდების მომსახურების განაკვეთი 150 000 ლარამდე, თავდებისათვის მთლიანი სათავდებო თანხის 0,25%-ით, ხოლო 150 000 ლარს ზევით კი 0,5%-ით.

მოებმა უნდა შეძლონ იმპორტის ჩანაცვლება ადგილობრივი წარმოების საქონლით. ასეთ დარგებად გვესახება მსუბუქი და კვების მრეწველობა.

უნდა განხორციელდეს მცირე ბიზნესის სტრუქტურული სრულყოფა; ხელი უნდა შეეწყოს სწრაფგანვითარებად მცირე ბიზნესს, ასევე მცირე საწარმოებს, რომლებიც თავიანთ საქმიანობას უახლესი ტექნოლოგიების ათვისებით იწყებენ. ასეთი მცირე საწარმოები, მათი საქმიანობის დაწყებიდან ორი წლის განმავლობაში ყველა სახის გადასახადისაგან უნდა გათავისუფლდნენ. ასევე მათზე უნდა გაიცეს შეღავათიანი კრედიტები.

Abesadze Ramaz Kakulia Eteri

## **Macroeconomic Regulation Mechanism**

### **of Small Business in Georgia**

#### **SUMMARY**

World experience of countries with market economy shows that small business might play a significant role in the regulation of national economy problems. Creation of new working places, introduction of new technologies and services are the indices of great significance of small business. Owing to them definite demands of large corporations are satisfied and economy is provided with specialized goods and services. It enables clever businessmen to expose their potential. Demonstration of

great importance of small business is the fact that more than a half of produced goods falls to its share in the economy of developed countries.

The most important is the role of small business in the process of post-communist transformation because it is one of the significant factors of unemployment reduction and strengthening of economic stability as well.

Great significance of small business and its weakness with regard for market forces (insufficiency of resources, complicity to get investment etc) stipulates the existence of effective mechanism of state support for small business the existence of macroeconomic regulation is very important to develop small business, the aim of which is to guarantee the realization of small business in country economy and active support of its development. The actuality of the theme lies in the fact that in Georgian economic literature the problems of macroeconomic regulation of small business development is not practically studied.

### **Main aims and objectives of the research.**

Main aim of the monograph is to elaborate theoretical model of macroeconomic regulation of small business in a post-communist country and its use in Georgia. Hence, the following objectives were put and solved: establishment of peculiarities of world experience of state support to develop small business; elaboration of theoretical mechanism of macroeconomic regulation of small business development in Georgia; determination of main trends of macroeconomic regulation of small business development in Georgia; determination of macroinfrastructure

of state support of small business development in Georgia; elaboration of the system of measures of macroeconomic regulation of small business development in Georgia.

The principle result of the work is that an important economic problem is solved, namely, creation of the mechanism of state support of small business in Georgia and determination of the system of measures for its practical realization. Besides, from main results of the research might be outlined the following: is constructed a theoretical model of the mechanism of macroeconomic regulation of small business development; is determined main trends of macroeconomic regulation of small business development in Georgia; is elaborated the system of specific measures to develop small business in Georgia; is offered the system of measures of practical realization of the mechanism of macroeconomic regulation of small business development in Georgia.

#### **ლიტერატურის სია**

1. აბესაძე რ. ენერგოეკოლოგიური ბაზრის ფორმირებისა და მისი მაკროეკონომიკური რეგულირების ოპიული პრობლემები. თბ., 1999.
2. აბესაძე რ. ეკონომიკური რეფორმების განხორციელების ძირითადი შედეგები და მომავლის ამოცანები საქართველოში. წიგნში: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. ტ. 2, თბ., “გეცნიერება”, 2002.

3. აბესაძე რ., სარჩიმელია რ., არევაძე ნ., მელაშვილი გ. ეკონომიკური განვითარების და პროგნოზირების პრობლემები. თბ., “უნივერსალი”, 2004.
4. აბესაძე რ. ენერგოეკოლოგიური ბაზრის ფორმირებისა და მისი მართვების მიზანი (საქართველოს მაგალითზე). ავტორეფერაცი ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1999.
5. აბესაძე რ. გარემო ბუნებაზე ენერგოზემოქმედების სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტი საბაზრო ეკონომიკის პირობებში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი, შრომების კრებული, „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში”, ტ. I, თბ., „მეცნიერება”, 2000.
6. აბესაძე რ. ეკონომიკური რეფორმების განხორციელების ძირითადი შედეგები და მომავლის ამოცანები საქართველოში. წიგნში: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. ტ. 2, თბ., “მეცნიერება”, 2002.
7. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარების ფაქტორები. წიგნში: “საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობ-

ლემები საქართველოში”, გ. 4, ობ., “მეცნიერება”, 2004.

8. აბესაძე რ. ენერგეტიკული ბაზრის ფორმირებისა და მისი სახელმწიფო რეგულირების თეორიული ასპექტები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (ინგლისურ ენაზე). ქ. საქ. მეც. აკად. „მაცნე”. ეკონომიკის სერია, № 1–2, 1998.
9. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. ობ., „ადვოკატი მეოხი”, 2005–2006.
10. ამაღლობელი ი., ჩიბუხაშვილი ა. მცირე ბიზნესი საქართველოში. ბიულეტენი საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრი, №21, 1999.
11. ანანიაშვილი ი., აჩელაშვილი გ., მესხია ი., პაპავა გ., სილაგაძე ა., წერეთელი გ. მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები. ობ., „მეცნიერება”, 2003.
12. ანასაშვილი თ. მცირე ბიზნესის როლი და მნიშვნელობა განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში. – ეკონომიკა, №10–12, 1999.
13. ანდლულაძე რ., ქაძულია რ. მცირე ბიზნესის განვითარების საფუძვლები. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა”, 5–6 დეკემბერი, №329-330, 1999.

14. აქუბარდია თ. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება  
და ეკონომიკური პოლიტიკა. თბ., 2005.
15. ბერიძე რ. გზა ცივილიზებული ბიზნესისაკუნ. თბ.,  
„განათლება”, 1992.
16. ბიჭიაშვილი ნ., ბიჭიაშვილი ლ. ბიზნესის  
ორგანიზაცია და მართვა. თბ., თსუ გამომცემლობა,  
1997.
17. ბურდული გ. კერძო მეწარმეობის შექმნის ზოგიერთი  
საკითხები – სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია  
„სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების თანამედროვე  
პრობლემები”, თბ., მეცნიერება, 1995.
18. გვაჯაია ლ. მცირე და საშუალო საწარმოები  
გარდამავალ ეკონომიკაში. სოციალური ეკონომიკა,  
№3, 2001.
19. გველესიანი რ. მცირე და საშუალო მეწარმეობის  
სტრატეგია და კულტურა. თბ., „სამშობლო”, 1999.
20. გველესიანი რ. მცირე და საშუალო მეწარმეობის წარ-  
მატების საიდუმლოებანი – სოციალური ეკონომიკა,  
№1, 1999.
21. გოგიჩაიშვილი ფ. ხელოსნობა საქართველოში. თბ.,  
თსუ გამომცემლობა, 1976.
22. გოგოხია რ. საბაზრო ეკონომიკა. თბ., 1996.

23. **გუბაშვილი პ.** საქართველოს სსრ სახალხო მეცნენებისა 1921–1961. აკადემიის გამომცემლობა. თბ., 1961.
24. **გონაშვილი გ.** მცირე ბიზნესის განვითარების სამართლებრივი საფუძვლები საქართველოში, ეკონომისტთა მესამე რესპუბლიკური კონფერენციის მასალები. – თბ., თსუ გამომცემლობა, 2000.
25. **დალაქიშვილი რ.** მცირე ბიზნესის განვითარების ტენდენციები. ეკონომისტთა მესამე რესპუბლიკური კონფერენციის მასალები. – თბ., თსუ გამომცემლობა, 2000.
26. **ერქომაიშვილი გ.** მეწარმეობის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებანი საქართველოში. თბ., თსუ გამომცემლობა, 2004.
27. **ერქომაიშვილი გ.** ფირმის ეკონომიკა, თბ., 2005.
28. **ერქომაიშვილი გ.** ბიზნესი, თბ., 2008.
29. **ერქომაიშვილი გ.** ფრანჩაიზინგის სისტემა – რესტრუქტურიზაციის დამაჩქარებელი. – მაკრო-მიკრო ეკონომიკა, №4-5, 1999.
30. **ვერულაძე პ.** მცირე ბიზნესის საგადასახადო რეგულირება. – ეკონომიკა, №8-9, 1999.
31. **თარგამაძე გ.** მცირე ბიზნესის განვითარების ძირითადი მიმართულებანი. – ეკონომიკა, №3-4, 2002.

32. **თეორაული არჩ., თეორაული ც. მაკროეკონომიკური რეგულირების თავისებურებანი და საბაზრო ურთიერთობათა განვითარების კანონზომიერებანი საქართველოში.** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებული, „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში”. ტ. I, თბ., „მეცნიერება”, 2000.
33. **თეორაული არჩ.** საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის და ბიზნესის განვითარების კანონზომიერებანი საქართველოში. თბ., მაცნე, 1993.
34. **კაპულია ე. ბიზნეს საქმიანობაზე მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები, როგორც ეკონომიკური რისკის არალის განმსაზღვრელნი.** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებული, „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში”. ტ. IV, თბ., „მეცნიერება”, 2004.
35. **კაპულია ე. მცირე ბიზნესი და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებული. ტ. IV, „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“, თბ., „მეცნიერება“, 2004.

36. კაგულია ე., აბესაძე რ. მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმის ზოგიერთი ასპექტი. ქ. ეკონომიკა, №6, ობ., 2006.
37. კაგულია ე. მცირე ბიზნესის ფორმირების თავისებურებანი პოსტკომუნისტურ საქართველოში, ქ. ეკონომიკა, №8, 2006.
38. კაგულია ე. საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა საბაზრო პრინციპებზე გადასვლის წინა პირობები. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „პოსტსაბჭოური ქვეყნების ეკონომიკის განვითარების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები საქართველოს მაგალითზე“ მასალები. ობ., „მეცნიერება“, 2002.
39. კაგულია ე. ტექნოლოგიური პროგრესის როლი, ქვეყნის მსუბუქი მრეწველობის კონკურენტუნარიან (ხარისხის გარანტის) საწარმოთა ფორმირებაში, ეკონომისტთა მესამე რესპუბლიკური კონფერენციის მასალები, ობ., თსუ გამომცემლობა, 2000.
40. გესონი ჰ. ბიზნესის აქსიომები (საქმიანი ბესტსელერი). ობ., ბიზნესი, 1999.
41. კოპლატაძე ი. მცირე ბიზნესი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. – ეკონომიკა, №3-4, 1992.
42. მაგარნელი კ., ბრიუ ს. ეკონომიკი, ნაწილი I, II. ობ., „საქპროფგამი“, 1993.

43. მაკმილანი წ. იაპონიის სამრეწველო სისტემა. თბ., 2003.
44. მაქსოვგი გ. მცირე საწარმოები: ელასტიკურობა, ეფექტობა. – ეკონომიკა, №3-4, 1992.
45. მენქიუ გ. ეკონომიკის პრინციპები. თბ., დიოგენე, 2000.
46. მესხია ი., ხაბურზანია ლ., კაჯულია რ. საქართველოს სამეცნიერო რეფორმის მიმდინარეობის ანალიზი და მისი სრულყოფის წინადადებები. თბ., 1993.
47. მესხია ი. მაკროეკონომიკური გარემო და სოციალური სტაბილიზაცია – სოციალური ეკონომიკა, №1, 1999.
48. მექაბიშვილი გ. მცირე მეწარმეობა და მისი როლი საბაზრო ეკონომიკაში. საქ. მეც. აკად. მაცნე. ეკონომიკისა და სამართლის სერია, №2, 1992.
49. მექაბიშვილი გ. სახელმწიფო და ეკონომიკა. თბ., 1996.
50. მეწარმეობა საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია ფაქტები, ციფრები, კომენტარები 2000, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბ., 2000.
51. მეწარმეობა საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია ფაქტები, ციფრები, კომენტარები 2001. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბ., 2001.

52. მეწარმეობა საქართველოში 2002. სტატისტიკური კრებული. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბ., 2002.
53. მეწარმეობა საქართველოში 2003. სტატისტიკური კრებული. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბ., 2003.
54. მეწარმეობა საქართველოში 2004. სტატისტიკური კრებული. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი. თბ., 2004.
55. მეწარმეობა საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია 2005. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, სტატისტიკური პუბლიკაცია. თბ., 2005.
56. მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის კონცეფცია (პროექტი). თბ., საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობის და გაჭრობის სამინისტრო. თბ., 2001.
57. მცირე საწარმოები საქართველოში. 2003. სტატისტიკური კრებული. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბ., 2004.

58. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში  
ცვლილებების შეტანის შესახებ. თბ., Parliament of Georgia - კანონმდებლობა 22.07.2006.
59. ნიდლი დ. ბიზნესი კონტექსტში, ბიზნესი და მისი გარემო, შესავალი, თბ., BGC biznes, 2003
60. პაპაგა გ. სამრეწველო ფირმის ორგანიზაცია და მართვა (ორტომეული), თბ., „სამშობლო“, 1998.
61. პაპაგა გლ. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბ., თსუ გამომცემლობა, 2005.
62. პაპაგა გლ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომიკა და საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2002.
63. პაპაგა გლ. რეფორმების მიმდინარეობისა და საქართველოს ეკონომიკის განვითარების პერსპექტივების შესახებ (რუს. ენაზე) – საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის მასალები. თბ., დიოგენე, 1997.
64. სამადაშვილი უ. ბიზნესის საფუძვლები. თბ., 2005.
65. სამადაშვილი უ. ბიზნესის საფუძვლები. თბ., 2007.
66. სამეწარმეო საქმიანობა საქართველოში 1998. სტატისტიკური კრებული. საქართველოს სტატისტიკის სახლმწიფო დეპარტამენტი. თბ., 1999.

67. სამუელსონი პ., ნორდჰაუსი გ. ეკონომიკა. ტ. I–IV. თბ., 2000.
68. სანთელაძე ნ. მაკროეკონომიკური რეგულირების სტრატეგია და სამეცნიერო პოლიტიკა გარდამავალ პერიოდში. – საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის მასალები. – თბ., დიოგენე, 1997.
69. სარჩიმელია რ. რისკის ელემენტები. თბ., „მარჯი”, 2003.
70. საფარეიშვილი ო., ხარაიშვილი გ. ბიზნესის ორგანიზაცია, მართვა და ანალიზი. 2 ტომად. თბ., 1994.
71. საქართველოს მრეწველობა 1985–1996 წლებში, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბ., 1997.
72. საქართველოს სტატისტიკური წელიწლეული 1999, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბ., 1999.
73. საქართველოს სტატისტიკური წელიწლეული 2001, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბ., 2002.
74. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების 2003 წლის ინდიკატური გეგმა. თბ., 2003.

75. საქართველოს სტატისტიკური წელიწლეული 2005, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ., 2005.
76. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი, თბ., კვარტალური მიმოხილვა, ივნისი, 2006.
77. საქართველოს კონსტიტუცია. თბ., „ლდ”. 2002.
78. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. თბ., „BCG”, 2005.
79. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. თბ., „სამართალი”, 2002.
80. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. თბ., „ლდ”, 2002.
81. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ”. – თბ., „ადვოკატი მეოხი”, №37-38-ის დამატება, 2006.
82. საქართველოს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ”. ქ. – „ადვოკატი მეოხი”, №37-38-ის დამატება, 2006.
83. საქართველოს კანონი „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ” ქ. – „ადვოკატი მეოხი”, №37-38-ის დამატება, 2006.

84. საქართველოს კანონი „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ”. ქ. – „ადვოკატი მეოხი”, №37-38-ის დამატება, 2006.
85. საქართველოს კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ”. ქ. – „ადვოკატი მეოხი”, №37-38-ის დამატება, 2006.
86. საქართველოს კანონი „სალიცენზიო მოსაკრებლის შესახებ”. ქ. – „ადვოკატი მეოხი”, №37-38-ის დამატება, 2006.
87. საქართველოს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ”. Parliament of Georgia – კანონმდებლობა, 2006.
88. საქართველოს კანონი „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ”. Parliament of Georgia – კანონმდებლობა, 2002.
89. საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ”. ქ. – „ადვოკატი მეოხი”. №37-38-ის დამატება, 2006.
90. საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ”. ქ. – „ადვოკატი მეოხი”, №37-38-ის დამატება, 2006.
91. საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ”. ქ. – „ადვოკატი მეოხი”, №37-38-ის დამატება, 2006.
92. საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ”.

93. სმიტი ა. გამოკვლევა სალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. თბ., 1938.
94. ფანცულაია გ. პრივატიზაცია. სტრატეგიული პვლევისა და განვითარების ცენტრი. ბიულეტენი №21, 1999.
95. ტურაშვილი ნ., გიგილაშვილი ნ. მცირე ბიზნესი საქართველოში. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. №1, 1995.
96. ქავთარაძე თ. მცირე ბიზნესი: იმედები და რეალობა. თბ., „ლეგა“, 2006.
97. ქეშელაშვილი ო. ბიზნესის ორგანიზაცია. თბ., „მნათე“, 1995.
98. ქეგხიშვილი ნ. მცირე ბიზნესი განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში. ეკონომიკა, №4-5, 1995.
99. შენგელია თ. მაკროეკონომიკური რეგულირების აუცილებლობა და ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორები საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებული, „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“. ტ. III, თბ., „მეცნიერება“, 2003.
100. შუბლაძე გ. ბიზნესის საფუძვლები (დამხმარე სახელმძღვანელო). თბ., 2000.

101. **შურლაია თ. მცირე** ბიზნესის ადგილი ეკონომიკაში. ეკონომიკა, №6-8, 1994.
102. **შურლაია თ. მცირე** ეკონომიკის დიდი პოტენციალი. ეკონომიკა, №8, 2001.
103. **შურლაია თ. მცირე** ბიზნესის სისტემური სტრუქტურა – მაკრო-მიკრო ეკონომიკა, №3 (52), 2002.
104. **წერეთელი გ. საქართველო** საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა ჩამოყალიბების გზაზე. – ეკონომიკა, №8-9, 1992.
105. **წერეთელი გ. პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობის შეფასების საკითხებისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებული, „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში”. ტ. III. ობ., „მეცნიერება”, 2003.**
106. **ჩიქაგა ლ. ინოვაციური ეკონომიკა. ობ., „სიახლე“, 2006.**
107. **ციციაშვილი რ. თანამედროვე ბიზნესი, ობ., „მეცნიერება“, 1996.**
108. **მნელაძე ლ., მნელაძე ლ. ბიზნესი ტ. I. ობ., თხუ გამომცემლობა, 1999.**

109. მნელაძე დ., მნელაძე ლ. ბიზნესი, ორგანიზაცია და  
მართვა. ტ. I, ტ. II, თბ., თსუ გამომცემლობა, 1999.
110. ჭანტურია ლ., ნინიძე თ. მეწარმეთა შესახებ კანონის  
კომენტარი, მესამე გამოცემა. თბ., „სამართალი“, 2002.
111. ჭითანავა ნ. საბაზრო ეკონომიკის რეგულირება  
(ორგანიზაციული პროცედურები). თბ., 1996.
112. ხვედელიანი ა. მცირე ბიზნესის განვითარების  
პირობები. – ეკონომიკა, №5-6, 1992.
113. ხუსკიგაძე მ. ეკონომიკური ზრდის სახელმწიფო  
რეგულირება გარემო ბუნებისდაცვითი ფაქტორების  
გათვალისწინებით. საქართველოს მეცნიერებათა აკა-  
დემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებული,  
„საბაზრო ეკონომიკის განვითარების პროცედურები  
საქართველოში”, ტ. I. თბ., „მეცნიერება”, 2000.
114. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, ტ. IV,  
თბ., თსუ გამომცემლობა, 1967.
115. . . . .
116. . . . .
117. „ „ „ „ „ „

• • « »

2002.

118.

.. .. 1999.

119.

... « ... - », 2003.

120.

( ). 7, 2003.

121

», 2003.

122

123

”

123. " " " " 7 2003

7, 2003.

124.

» 19

125

» 1990

126

», 1994.

127.

2

», 1989.

128.

, 4, 2003.



141. . . . ., « », 1968.
142. . . . , 7, 2003.
143. . . . ., « », 1997.
144. . . . , 5/1999.
145. <http://oppr.russmir.ru/?2>.  
: (17.10.05).
146. <http://www.business-magazine.ru/religios/224637/>.  
: . 2005.
147. <http://referat.niv.ru/referat/pl?02/240-2391/index.hum.04/01-2006>.  
: . 2006.
148. [http://www.investments.com.ua/mp\\_USA/](http://www.investments.com.ua/mp_USA/).  
? 2006.
149. [http://www.investments.com.ua/media/analytics/sb\\_USA/](http://www.investments.com.ua/media/analytics/sb_USA/).  
. 2006.
150. [http://www.russia.com/news/print.asp\\_id-6516/](http://www.russia.com/news/print.asp_id-6516/).  
. 2004.
151. [http://www.investments.com.ua/media/analytics/small\\_bus/](http://www.investments.com.ua/media/analytics/small_bus/).  
. 2006.

152. <http://www.ck-ua.com/regpregem.htm>. 2006.
153. <http://open-referat.djenbo.com/referats/vldoc.5531.html>. «. 2005.
154. [http://www.bizneslaw.uz/5-6/s+5\\_3.htm](http://www.bizneslaw.uz/5-6/s+5_3.htm). 2006.
155. Ўлойжрио аңғарылған 2007, სақартаველოს ეროვნულо  
δаңы, 2007.
156. Мемлекеттік სақартаვеլонған. სტАТИСТИКАЛЫҚ  
ДАГАРЛЫМАНДЫРЫМ. 2008.

# შირვანისი

## შესაგალი

5

თავი I.	მცირე პიზესი და მისი მაპროეკონო- მიკური რეგულირების თეორიული პროცესები	
§ 1.1.	მცირე პიზესის არსი, მნიშვნელობა და პრიტერიუმები	8
§ 1.2.	მცირე პიზესის სახელმწიფო მსარდა- ჟერის გამოცდილება საზღვარგარეთის შემცვებელი	31
თავი II.	მცირე პიზესის განვითარების თანა- მედროვე დონე საქართველოში	
§ 2.1.	მცირე პიზესის ფორმირების ფანდენ- ციები საქართველოში	54
§ 2.2.	მცირე პიზესის სახელმწიფო რეგული- რების თანამედროვე პროცესები სა- ქართველოში	68
თავი III.	მცირე პიზესის მაპროეკონომიკური რეგულირების მექანიზმის თეორიული მოდელი და მისი პრაქტიკული რეალი- ზაციის ძირითადი მიმართულებები და გზები საქართველოში	
§ 3.1.	მცირე პიზესის განვითარების მაპრო- ეკონომიკური რეგულირების მექანიზ-	

- § 3.2. მცირე გიზენსის განვითარების მაკრო-  
ეკონომიკური რეგულირების ძირითადი  
მიმართულებები და გზები საქართვე-  
ლოში 102

**SUMMARY**

141

**ლიტერატურის სიახლოესი**

143